

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინგლისური ფილოლოგია

ანა ბოჭორიშვილი

„ ეტიკეტის პრაგმატიკული სტრუქტურა ინგლისურსა  
და ქართულში “

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის  
(ფილოლოგიის მიმართულებით) მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

მეცნიერ-ხელმძღვანელი :

ფილოლოგიის  
მეცნიერებათა დოქტორი,  
თსუ სრული პროფესორი  
ლილი გოქსაძე



თბილისი.  
2008

## ს ა რ ჩ ე გ ი

|                              |   |     |
|------------------------------|---|-----|
| შესავალი                     |   | 3   |
| თავი I                       | ინგლისური და ქართული წერილების ზოგიერთი ლინგვისტური მახასიათებელი                         | 20  |
|                              | § 1. ინგლისური და ქართული ბიზნეს წერილების ეტიკეტის ზოგიერთი ლინგვისტური მახასიათებელი    | 20  |
|                              | § 2. ინგლისური და ქართული შინაურული წერილების ეტიკეტის ზოგიერთი ლინგვისტური მახასიათებელი | 37  |
| თავი II                      | ინგლისური და ქართული საქმიანი სატელეფონო საუბრების ზოგიერთი ლინგვისტური მახასიათებელი     | 51  |
| თავი III                     | სამეტყველო ეტიკეტის ზოგიერთი მახასიათებელი სასაუბრო ინგლისურსა და ქართულში                | 66  |
| თავი IV                      | ნაჩუქარ წიგნთა წარწერების ლინგვისტური ანალიზი   | 93  |
| თავი V                       | მამაკაცისა და ქალის მეტყველების ზოგიერთი მახასიათებელი, გენდერული თავისებურებანი          | 116 |
| ზოგადი დასკვნები             |   | 139 |
| გამოყენებული ლიტერატურის სია |   | 152 |

## შესავალი

როგორც ცნობილია ენის მთავარი დანიშნულებაა ადამიანებს შორის კომუნიკაციის დამყარება. კომუნიკაცია მეტად რთული პროცესია. იგი წარმოადგენს ინფორმაციის , იდეების, აზრების გაცვლას ორ ან მეტ პიროვნებას შორის. კომუნიკაცია ხორციელდება ინფორმაციის გამგზავნის და ინფორმაციის მიმღების ანუ მოსაუბრის და მსმენლის ან მწერლის და მკითხველის საშუალებით.

კომუნიკაცია არა მარტო სხვადასხვა საშუალებით , არმედ სხვადასხვა ფორმითაც მყარდება. ინფორმაციის გაგზავნა და მიღება შეიძლება ხდებოდეს ზეპირი ან წერითი ფორმით და შესაბამისად გვექნება მიმართება : მოსაუბრე - მსმენელი , მწერალი - მკითხველი. ბუნებრივია , კომუნიკანტთა რაოდენობა განსხვავდება სიტუაციისა და კომუნიკაციის ტიპის მიხედვით.

წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად საჭიროა მოსაუბრემ საუბრისას გაითვალისწინოს არა მხოლოდ საკუთარი ინტერესები, არამედ მსმენლის ინტერესებიც . ასევე , კომუნიკაციისას დიდი მნიშვნელობა აქვს სამეტყველო ეტიკეტს. ვინაიდან სამეტყველო ეტიკეტი თავაზიანობის განუყოფელი ნაწილია.

უნდა აღინიშნოს , რომ წარმატებული კომუნიკაციის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი არის კომუნიკანტების ფონისეული ანუ ზიარი ცოდნა. კომუნიკანტთა შორის გაუგებრობა უფრო მეტია განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციისას , ვიდრე მაშინ , როდესაც მოსაუბრეები ერთსა და იმავე სამეტყველო კოლექტივს განეკუთვნებიან .

თუ სამეტყველო ეტიკეტის ესა თუ ის ფორმა მიუღებელია ერთ – ერთი კომუნიკანტისათვის , მაშინ მათ შორის არსებული საკომუნიკაციო პროცესი ჩაიშლება . დაუშვებელია ერთი ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელი სამეტყველო ეტიკეტის ნორმები მეორე ენობრივ კოლექტივში გადავიტანოთ , ვინაიდან ამგვარი ქმედება უსიამოვნო შეგრძნებას , გაკვირვებას ან ყოფით შოკს გამოიწვევს კომუნიკანტებს შორის .

წარმატებული კომუნიკაციისათვის საჭიროა საყოველთაოდ დადგენილი ეტიკეტის ნორმების ცოდნა და დაცვა. აქვე უნდა ითქვას რომ ხშირად

წარუმატებელი კომუნიკაციის ან ურთიერთობის არასასიამოვნოდ დასრულების მიზეზი სწორედ ეტიკეტის ნორმების არცოდნა ან მათი არასწორად გამოყენებაა.

სიტყვა ეტიკეტი (*Etiquette*) ფრანგული ენის მეშვეობით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელდა და დამკვიდრდა. ცნება „ ეტიკეტს“ არაერთი განმარტება მოეძებნება:

ა) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ეტიკეტს შემდეგნაირად განმარტავს :

„თავის დაჭერისა და თავაზიანი მოპყრობის წესები მეფის კარზე, თავად-აზნაურთა თუ ბურჟუაზიის მაღალ წრეებში დიპლომატთა შორის,,

(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი,123.)

ბ) ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს:

„ეტიკეტი არის ქმედება ან ქმედებათა ერთობლიობა , რომელიც ადამიანთა ყოფით ურთიერთობაში ფიქსირდება, არის უაღრესად დეტალიზებული, აქვს შესრულების სავალდებულო ხასიათი და მის შემადგენელ ელემენტებს ახასიათებს ზუსტი თანმიმდევრობა”

(ჯავახიშვილი ივ.,126.)

გ) რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონი ეტიკეტს შემდეგნაირად განმარტავს:

1. საკანონმდებლო ტერმინი, რომელიც სასამართლო პროცესის ჩანაწერს აღნიშნავს, ე.ი. ოქმი ან ოქმების ჩასაწერი დავთარი;
2. წერილის ან თხოვნის დაწერის წესი;
3. სამეფო კარის წეს-ჩვეულება, ცერემონიალური მიმართვის დაცვა”

( , 94.)

დ) ოქსფორდის მაღალი საფეხურის შემსწავლელთა ლექსიკონის მიხედვით ეტიკეტი არის:

„წეს-ჩვეულება , რომელიც ოფიციალურად გამყარებულ საურთიერთო მანერას წარმოადგენს”

(Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English,30.)

ე) ვებსტერის ლექსიკონის მიხედვით:

„ ეტიკეტი არის კარგი საზოგადოებრივი საურთიერთო ფორმების ერთობლიობა, შესაბამისი ტრადიციული წესები, რომლებიც ასეთ საურთიერთო ფორმებს აწესებენ”

(Webster New World English Dictionary,73.)

ვ) ენციკლოპედია ბრიტანიკა ეტიკეტის ცნებას ხსნის შემდეგნაირად:

„ ცერემონიალურ ჩვეულებებთან დაკავშირებული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს საზოგადოებაში არსებულ მოქცევის წესებს , უმეტესად ოფიციალურ საცერემონიო წესებს, რომლებსაც ვხვდებით საკარო დღესასწაულებზე, ზეიმებზე და სხვა; პროცედურა, რომელიც სამსახურეობრივ დაწინაურებას, დანიშვნას ეხება გარკვეულ ორგანიზაციაში ან საზოგადოებაში ”

(Encyclopedia Britannica,34.)

ზ) ამერიკის მემკვიდრეობითი ლექსიკონის მიხედვით ეტიკეტი არის :

„ნორმები, წესები, რომლებსაც მოითხოვს კარგი აღზრდა , ავტორიტეტების მიერ დაწესებული სოციალური ან ოფიციალური ყოფა-ცხოვრებისათვის ”

(The American Heritage Dictionary , 6.)

თ) ეთიკის ლექსიკონის მიხედვით ეტიკეტი არის :

„ ქცევის წესთა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ადამიანურ ურთიერთობებს ( გარშემომყოფდამი მოპყრობა , მიმართვისა და მისაღმების ფორმები, ქცევა საზოგადოებრივ ადგილებში , მანერები, სამოსი) ეტიკეტი არის ადამიანისა და საზოგადოების

შინაგანი კულტურის შემადგენელი ნაწილი. მასში შედის ის მოთხოვნები რომლებიც იძენენ ცერემონიალის ასე თუ ისე მკაცრად რეგლამენტირებულ ხასიათს და რომელთა დაცვას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ქცევის ფორმის განსაზღვრისათვის .ეტიკეტი გამოხატავს ზნეობრიობის პრინციპების ამა თუ იმ შინაარსს, ტრადიციულად საზოგადოებაში იგი, როგორც წესი, იქცევა რიტუალად, აქვს თავისი ფორმა, მკაცრად ჩამოყალიბებული ხასიათი . იგი გამოიხატება დეტალურად დამუშავებულ თავაზიანობის წესების რთულ სისტემაში , ახდენს სხვადასხვა კლასისა და წოდების თანამდებობის პირთა მოპყრობის და სხვა წრეში ქცევის წესთა კლასიფიცირებას”

ყველა ზემონახსენები განმარტებების გათვალისწინებით შევიმუშავეთ ეტიკეტის ჩვენეული სახელმძღვანელო განმარტება :

ეტიკეტი თავაზიანი მანერების და სოციალურად მოწესრიგებული ქცევის ნორმების ერთობლიობაა და მოიცავს ადამიანთა ქცევის ნორმებს შინ, სამსახურში, ტრანსპორტში და საერთოდ საზოგადოებაში.

ხოლო , ლინგვისტური ეტიკეტი არის სხვადასხვა სიტუაციაში კომუნიკაციისათვის დამახასიათებელი ლინგვისტური ნორმების ერთობლიობა.

თუ რომელიმე პიროვნება , რომელიც ამყარებს კომუნიკაციას სხვა პიროვნებასთან , არ დაიცავს საზოგადოებაში ეტიკეტით მიღებულ ნორმებს , შესაძლოა მათი ურთიერთობა დაიძაბოს და საერთოდ შეწყდეს კიდევ , ვინაიდან მათ შორის არ შედგა წარმატებული კომუნიკაცია .

ეტიკეტის ნორმების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანური ურთიერთობების შენარჩუნებაში. როგორც უკვე ავღნიშნეთ , დამიანებს კომუნიკაციისას ზიარი ცოდნა უნდა ჰქონდეთ ეტიკეტის ნორმების შესახებ , რათა მათ წარმატებით შეძლონ კომუნიკაციის დამყარება , წინააღმდეგ შემთხვევაში წარმატებული კომუნიკაცია არ შედგება არა მარტო სხვადასხვა

ყოფის წარმომადგენელთა შორის , არამედ ერთსა და იმავე ყოფის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობისასაც კი.

ეტიკეტის დაცვა მეტად მნიშვნელოვანია ზეპირი თუ წერიტი ურთიერთობისას , სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ , საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლინგვისტური ეტიკეტი. ინგვისტური ეტიკეტი თავს იჩენს ზეპირი ან წერიტი კომუნიკაციისას თავაზიანობის ნორმების სახით და მდგომარეობს მოსაუბრის მიერ ოფიციალური , ნეიტრალური თუ შინაურული სტილისათვის შესაფერისი ენობრივი ფორმების შერჩევაში.

მოცემულ ნაშრომში განვიხილავთ ინგლისურ და ქართულ ენებზე წარმოებულ საქმიან სატელეფონო და ყოველდღიურ ( არასატელეფონო ) საუბრებს, ბიზნეს და შინაურულ წერილებს , ქალისა და მამაკაცის მეტყველებისათვის დამახასიათებელ თავაზიან ფორმებს , მათ შორის არსებულ გენდერულ სხვაობებს , ნაჩუქარ წიგნებზე გაკეთებულ ოფიციალურ, შუალედურ და შინაურულ წარწერებს, მოვახდენთ მათ შეპირისპირებით შესწავლას და გავარკვევთ მათ შორის მსგავსება-განსხვავებებს ინგლისურსა და ქართულში.

ჩვენი შრომის მიზანია გამოვავლინოთ თავაზიანობის (ეტიკეტის) ნორმები ადამიანთა ურთიერთობისას სხვადასხვა სიტუაციებში:

1) განვიხილოთ როგორც ოფიციალური (სატელეფონო საუბრების მაგალითზე) ასევე ყოველდღიური, შინაურული საუბრები ინგლისურ და ქართულ ენებში, გამოვავლინოთ ეტიკეტის ნორმების მსგავსება-განსხვავება ამ ტიპის საუბრებს შორის ორივე ენაში.

2) განვიხილოთ ბიზნეს (საქმიანი) და შინაურული წერილები, გამოვავლინოთ მათთვის დამახასიათებელი ეტიკეტის ნორმებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავება ინგლისურსა და ქართულში

3) მოვიძიოთ მსგავსება და განსხვავება ინგლისურსა და ქართულში ქალისა და მამაკაცის მიერ თავაზიანობის ნორმების გამოყენებისას.

4) გაავანალიზოთ საჩუქრად მიცემულ წიგნებზე გაკეთებული წარწერები ინგლისურ და ქართულ ენებში, მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია და ვაჩვენოთ ამ წარწერების ძირითადი თავისებურებანი.

5) გავარკვიოთ თუ როგორ ვლინდება ეტიკეტი სასაუბრო და სამწერლობო ინგლისურსა და ქართულში.

მოცემულ ნაშრომში ჩვენი საკვლევი საგანი, ბიზნეს საუბრები, ბიზნეს მიმოწერა, ყოველდღიური საუბრები და შინაურული მიმოწერა ვერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებად ფორმებს წარმოადგენს, რომელთაც არა ერთი მახასიათებელი აქვს სხვადასხვა კულტურაში. ჩვენი ამოცანაა დავადგინოთ ეტიკეტის (თავაზიანობის) ის ნორმები, რომელთა დაცვა სავალდებულოა წარმატებული კომუნიკაციის განხორციელებისათვის, როგორც ინგლისურში, ასევე ქართულში, ვინაიდან წარმატებული კომუნიკაცია რთული პროცესია არა მარტო სხვადასხვა ყოფითი კოლექტივის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობისას, არამედ ერთსა და იმავე ყოფითი კოლექტივის წევრებს შორისაც.

ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოძიებული ნორმები საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ წარუმატებელი კომუნიკაცია (ასევე ყოფითი შოკი) ინგლისურ და ქართულ გარემოში.

როგორც ცნობილია, არცერთი სოციალური აქტის განხორციელება არ შეიძლება კომუნიკაციის გარეშე. კომუნიკაციის საშუალებით მყარდება ურთიერთობა ადამიანთა შორის, ხდება თვალსაზრისთა გაცვლა, გრძნობების გადაცემა. კომუნიკაციის მეშვეობით ადამიანები აღწევენ გარკვეულ მიზნებს, ახდენენ შთაბეჭდილებებს სხვებზე და ქმნიან პიროვნულ ავტორიტეტს. კომუნიკაციის ჩვენთვის საინტერესო უმთავრესი საშუალებაა ენა, ხოლო ენა, რომელზეც ადამიანი საუბრობს, არსებით გავლენას ახდენს ამ ადამიანის აზროვნებასა და მის მიერ სამყაროს ინტერპრეტაციის პროცესზე. ემოციური მნიშვნელობის წყალობით ენამ შეიძლება ასახოს მოლაპარაკის პირადი გრძნობა და მისი დამოკიდებულება მსმენელის მიმართ ან იმის მიმართ რაზეც საუბრობს იგი.

როგორც აღვნიშნეთ, კომუნიკაცია რთული პროცესია, რომელიც სხვადასხვა გზით უწყვეტად მიმდინარეობს ადამიანთა შორის. სტრუქტურული ორგანიზებულობის, და კულტურული მახასიათებლების გამო კომუნიკაცია შესაძლებელს ხდის ადამიანთა შორის ურთიერთობის დამყარებას და ხელს უწყობს ამ ურთიერთობების განმტკიცებასა და შენარჩუნებას.



კომუნიკაციის დასამყარებლად საჭირო საკომუნიკაციო უნარებს ადამიანი ეუფლება საუბრის (დიალოგი/პროლოგი) პროცესში. საუბრისას მოსაუბრეების მიერ აზრის გამოთქმა , ჯერობის დაცვა - მოსაუბრისა და მსმენელის როლების ცვალებადობა განიხილება როგორც საუბრის უმთავრესი მახასიათებლები .

ჯერობის დაცვა საუბრისას ძირითადად შეუმჩნეველად და ქვეცნობიერად ხდება , თუმცა როგორც დაკვირვება ცხადყოფს არის:

- 1) ჯერთა გადაფარვის
- 2) ჯერთა შეწყვეტინების
- 3) თანადროული საუბრის
- 4) საუბარში დიდი პაუზების არსებობის შემთხვევებიც .

მოცემული ნაშრომის ამოცანა განიხილოს ასეთი შემთხვევები და გაარკვიოს თუ როგორია ამ თვალსაზრისით ლინგვისტური ეტიკეტის ნორმები.

მოცემულ ნაშრომში ეტიკეტის ნორმებს განვიხილავთ პრაგმატიკის თვალსაზრისით. ტერმინი პრაგმატიკა (**Pragma**) ბერძნულიდან მოდის და ნიშნავს „საგანს“ , „საქმეს“ , „ქმედებას“ . როგორც ცნობილია, პრაგმატიკა – ენათმეცნიერების დარგი, ეფუძნება ჩ. პირსისა და ჩ. ვ. მორისის ნიშანთა თეორიას (სემიოტიკას). პრაგმატიკის განვითარებისათვის გარკვეული წინაპირობა შექმნა ლინგვისტიკის ისეთმა დარგებმა , როგორცაა სტილისტიკა, კომუნიკაციური სინტაქსი , მეტყველებისა და სამეტყველო ქმედების თეორია , კომუნიკაციური თეორია და სხვა . ამ ლინგვისტურ დარგთაგან პრაგმატიკა ყველაზე მჭიდროდ უკავშირდება კომუნიკაციის თეორიას, რადგან მისი კვლევის საგანია ენობრივ ნიშანთა ფუნქციონირება მეტყველებაში, კომუნიკაციური ურთიერთობის წესები და მართებულობა ანუ ენის გამოყენების შესწავლა სიტუაციაში.

ჩვენი ინტრესის სფეროს წარმოადგენს ის, რასაც გულისხმობს ენის გამომყენებელი საუბრისას. ვინაიდან ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანი წარმოთქმულ წინადადებას განსხვავებულ, დამატებით დატვირთვას აძლევს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მის მიერ წარმოთქმულ წინადადებას ანიჭებს დამატებით, ნაგულისხმევ მნიშვნელობას, რაც ძირითადად კონტექსტისა და სიტუაციიდან გამომდინარე, ზიარი ცოდნის, დროისა თუ სივრცის წყალობით თანამოსაუბრეებისათვის გასაგები ხდება. მაგ.: შეიძლება ადამიანმა წარმოთქვას ფრაზა:

***It's hot in here !*** (აქ ცხელა)

მაგრამ იგულისხმოს სხვა რამ, მაგ:

***Please open the window!***

(*ფანჯარა გააღე გეთაყვა*)

ან

***Is it all right if I open the window?***

(*შეიძლება ფანჯარა გავადლო?*)

თანამოსაუბრეებისათვის სიტუაციიდან გამომდინარე ნაგულისხმები მნიშვნელობა გასაგებია. ასევე მაგ:

A-მ - B-ს ნათხოვარი მანქანა საწვავის გარეშე დაუბრუნა ,

B-ს პასუხი:

***It was nice of you to fill the car up!***

(*რა კარგია რომ საწვავი ჩაასხი*)

ან

***What a shame you couldn't find the petrol tank!***

(*აბსუს პენზინგასამართი სადგური რომ ვერ იპოვე!*)

( Tomas J, 68.)

ეს ფრაზები , რა თქმა უნდა , არ უნდა იქნას გაგებულნი პირდაპირი მნიშვნელობით. ამ შემთხვევაში ნაგულისხმევი აზრის გაგება არ არის რთული, თუ სიტუაციას გავითვალისწინებთ.

როგორც ვხედავთ, ადამიანები ხანდახან არ ამბობენ იმას, რასაც სინამდვილეში გულისხმობენ. სწორედ ასეთი გამონათქვამები ადასტურებს, რომ ხშირად ადამიანები პრაგმატულ დატვირთვას აძლევენ მათ მიერ წარმოთქმულ ფრაზებს, შესაბამისად სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციაში ადამიანს სხვადასხვა სამეტყველო მოთხოვნები უჩნდება, იგი ენას სხვადასხვა მიზნის განსახორციელებლად იყენებს და ამისათვის გამონათქვამთა უსასრულო სიმრავლიდან მხოლოდ ერთს, მისი მოთხოვნის მიხედვით, პრაგმატიკული დამოკიდებულების გათვალისწინებით, ყველაზე უფრო შესაბამის გამონათქვამს ირჩევს. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს

გამონათქვამები იწვევენ გაურკვევლობას. ადამინებს ყოველთვის არ შეუძლიათ სწორად გაშიფრონ მოსაუბრის მიერ ამა თუ იმ სიტუაციაში ნაგულისხმები ინფორმაცია. მოსაუბრე გარკვეულ საკომუნიკაციო გამიზნულობას დებს მის მიერ ნაგულისხმევ ფრაზაში . წარმატებული კომუნიკაციისათვის კი სწორედ ამ გამიზნულობის სწორი აღქმაა საჭირო.

საკომუნიკაციო გამიზნულობას ანუ მოსაუბრის პრაგმატიკულ დამოკიდებულებას მისი ნათქვამისადმი, მსმენელი სწორად აღიქვამს ისეთი სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა ეტიკეტის ცოდნა, ზიარი ცოდნა, ზიარი გარემო, დრო, სიტუაცია, კონტექსტი, ინტონაცია, უესტ-მიმიკა, ასევე კომუნიკაციათა ნაცნობობის ხარისხი და მათი ურთიერთდამოკიდებულება. ჯ. ტომასის (Tomas J, 68.) მიხედვით ისეთი უბრალო ფრაზაც კი, როგორცაა: *Is that your car?* (*ეს შენი მანქანაა?*) აღიქმება იმ კონტექსტისა და სიტუაციის მიხედვით, რომელშიც იგი წარმოითქმის. სხვადასხვა სიტუაციის მიხედვით ამ ფრაზაში ჩადებული საკომუნიკაციო გამიზნულობა (პრაგმატიკული მნიშვნელობა) შეიძლება განსხვავებულ დატვირთვას და მნიშვნელობას იძენდეს. მაგ. შეიძლება აღამიანი ამ ფრაზით აღტაცებას გამოთქვამდეს, ან სინანულს, ჩივილს ( შეიძლება გზაზე ეღობება ) , თხოვნას ( სადმე წაიყვანის მიზნით ) და ა.შ. მსგავსი მაგალითები ცხადყოფს, რომ გამონათქვამის პირდაპირ მნიშვნელობასა და კონტექსტუალურად ნაგულისხმევ საკომუნიკაციო მნიშვნელობას შორის არის სხვაობა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსაუბრეს მისი პაგმატიკული დამოკიდებულება გამოამჟღავნოს ამა თუ იმ ფრაზის მეშვეობით .

მეტი თვალსაჩინოებისათვის აღვნიშნავთ, რომ ეს მოვლენა შეგვიძლია შევადაროთ ლოკუციასა და ილოკუციას. სწორედ ილოკუციური ძალა არის პრაგმატიკული მნიშვნელობა ამა თუ იმ ფრაზისა . ადამიანები არაპირდაპირ გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს სხვადასხვა მიზეზის გამო, ეს შეიძლება იყოს მოსაუბრეთა სურვილი იყვნენ მეტად საინტერესო, რომ მეტი დატვირთვა მისცენ ნათქვამს და ასევე იმისათვის, რომ იყვნენ მეტად თავაზიანნი. თავაზიანობა კი სხვადასხვა სიტუაციას სხვადასხვაგვარად მიესადაგება .  
მაგ. ფრაზები:

*“ I wonder if I might ask you to do something!”*

და

**“ Please, do something!”**

ორივე თავაზიანია, თუმცა პირველი ფრაზა მეტად, ვიდრე მეორე. მოსაუბრე სიტუაციის და კონტექსტის, ასევე სხვა არაერთი გამონათქვამის გათვალისწინებით ირჩევს მისთვის სასურველ ფორმას .

ჯ. ლიჩის, (Leech G.,37.) ასევე პ. ბრაუნის და ს. ლევისონის (Brown P., Levinson S., 9.) აზრით თავაზიანობა პრაგმატიკული ფენომენია. თავაზიანობის გამოყენება მოსაუბრისათვის ერთგვარი სტრატეგიაა დასახული მიზნის მისაღწევად ( ურთიერთობის დამყარებისა და შენარჩუნების მიზნით ) .

ბრაუნისა და ლევისონის მიხედვით (Brown P.,Levinson S.,9.) , თავაზიანობის ნორმები გამოიყენება მსმენელის ან მოსაუბრის, მწერლის ან მკითხველის ლინგვისტური „სახის“ ( **Face** ) დასაცავად.

სოციოლინგვისტიკაში „სახე“ განიხილება როგორც საყოველთაოდ აღიარებული და შეთანხმებული საზოგადოებრივი იმიჯი , რომელსაც მოსაუბრეები კომუნიკაციისას ერთმანეთის მიმართ თანაზიარად იყენებენ.

„ სახე ” ხელს უწყობს დადებითი იმიჯის შექმნას , რაც უკეთ წარმოაჩენს კომუნიკანტს და მის კულტურას, შეხედულებებს , მის სამეტყველო მანერას და თავიდან ააშორებს სახის რღვევისადმი მიმართული ქმედების საშიშროებას

**( FTA- Face Threatening Act )**.

კომუნიკაციისას მეტად მნიშვნელოვანია ენის გამოყენება ისე , რომ კომუნიკანტმა ზუსტად გაიგოს თუ რას გულისხმობს მოსაუბრე , ზუსტად აღიქვას მოსაუბრის მიერ წარმოთქმულის პრაგმატიკული მნიშვნელობა . ვინაიდან კომუნიკანტთა მიერ ინფორმაციის სწორი გაგება დამოკიდებულია მათ ზიარ ( ფონისეულ ) ცოდნაზე , შესაბამისად რაც მეტია ფონისეული ცოდნა მათ შორის , მით უფრო სრულყოფილად აღიქვამენ ისინი გამონათქვამის ნაგულისხმევ პრაგმატიკულ მნიშვნელობას .

საკმაოდ ხშირია კომუნიკანტთა შორის გაუგებრობა, რასაც თან სდევს შეტყობინების არასწორი ე.წ. დეკოდირება . თუ მოსაუბრეები სხვადასხვა ყოფით კოლექტივს განეკუთვნებიან, არასწორი გაგებინების უფრო დიდი შანსი

არსებობს, ვიდრე მაშინ, როდესაც მოსაუბრე და მსმენელი ერთი და იგივე ყოფითი კილექტივის წევრები არიან, ვინაიდან მათ აქვთ ზიარი ცოდნა.

თითოეული ენა, ჩვენს შემთხვევაში ინგლისური და ქართული, განსხვავდება ერთმანეთისაგან თავაზიანობის გამოხატვის საშუალებებით. ამა თუ იმ კულტურის თავისებურებების შესახებ ზიარი ცოდნა საშუალებას აძლევს სხვადასხვა ყოფითი კილექტივის წარმომადგენლებსაც საუბრისას თავიდან აიცილონ სახის რღვევის საშიშროებისაკენ მიმართული ქმედება და შეიქმნან დადებითი იმიჯი.

*ძალაუფლება (power)*, *დისტანცია (distance)* და *გავლენის ხარისხი (weight of imposition)* არის ის სამი ფაქტორი, რომელთაც მოქმედებაში მოჰყავს თავაზიანობის (და სახის) სისტემა. (Scollon R., Scollon S.W., 55.)

*ძალაუფლება* მიგვითითებს მოსაუბრეებს შორის იერარქიულ უთანასწორობაზე. ძალაუფლების ფაქტორი იმის მიხედვით იჩენს თავს, თუ იერარქიის რომელ საფეხურზე დგანან კომუნიკანტები ე.ი. ძალაუფლების ფაქტორი ყველა ტიპის საუბარში არ მოქმედებს (მაგ. როდესაც კომუნიკანტები ერთსა და იმავე იერარქიულ საფეხურზე დგანან).

*დისტანცია* – თავაზიანობის სისტემის მეორე ფაქტორი – მიგვანიშნებს მოსაუბრეებს შორის არსებულ სიახლოვე – სიშორეზე. კომუნიკანტთა შორის ახლო დისტანცია ვლინდება თანასწორუფლებიანი ურთიერთობისას, ხოლო თუ კომუნიკაციას ამყარებენ სხვადასხვა იერარქიულ საფეხურზე მყოფი ადამიანები, მათ შორის ჩნდება დისტანციაც.

*გავლენის ხარისხი* – თავაზიანობის მესამე ფაქტორი – მიგვანიშნებს თუ რა გავლენას ახდენს საუბარზე მოსაუბრეთა სტატუსი.

პ. ბრაუნი და ს. ლევისონი (Brown P., Levinson S., 9) გამოყოფენ „*სახის*“ ორ ტიპს: *დადებითი სახე (positive face)* და *უარყოფითი სახე (negative face)*, (შესაბამისად *დადებითი თავაზიანობა / positive politeness* და *უარყოფითი თავაზიანობა / negative politeness*). საგულისხმოა რომ ტერმინები „*დადებითი*“ და „*უარყოფითი*“ არ უნდა იქნეს აგქმული, როგორც „*კარგი*“ და „*ცუდი*“ ან „*პოზიტიური*“ და „*ნეგატიური*“ \* ეს ტერმინები პირობითად არის შერჩეული კომუნიკანტთა განსხვავებული საკომუნიკაციო მიზნების და სტრატეგიების გამოსახატავად.

**დადებით სახეს** ახასიათებს ადრესატისადმი ძლიერი ინტერესი , კომუნიკანტთა ზიარი ცოდნის წინ წამოწევა . დადებითი სახის სურვილების ( *დადებითი თავაზიანობის* ) გამოხატვა ხორციელდება **ჩართვის სტრატეგიის** საშუალებით ( *involvement strategy* ) საშუალებით.

**უარყოფით სახეს** ახასიათებს კომუნიკანტთა ინდივიდუალურობის ხაზგასმა , პიროვნული ღირებულებების დაყენება საზოგადოებრივზე წინ , ოფიციალურობა . უარყოფითი სახის სურვილების ( *უარყოფითი თავაზიანობის* ) გამოხატვა ხდება **დამოუკიდებლობის სტრატეგიის** ( *independence strategy* ) საშუალებით . (Scollon R., Scollon S.W.,57.)

მოცემულ ნაშრომში ვხელმძღვანელობთ სქოლონისა და სქოლონის მიერ თავაზიანობის სტრატეგიების დაყოფით ჩართვის და დამოუკიდებლობის სტრატეგიებად .

ჩართვის სტრატეგია სქოლონისა და სქოლონის მიხედვით (Scollon R., Scollon S.W., 57.)გულისხმობს:

- ა) ადრესატის მიმართ ყურადღების გამოჩენას .
- ბ) ადრესანტის მხრიდან ადრესატისადმი ინტერესის გამოჩენას.
- გ) საერთო ჯგუფის წევრობას (თანაბარუფლებიანობას).
- დ) პიროვნებებს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობას.

საპირისპიროდ , დამოუკიდებლობის სტრატეგია გულისხმობს რომ:

- ა) კომუნიკანტი დამოუკიდებელი და თავისუფალია ქმედებისას
- ბ) ადრესატი და ადრესანტი განსხვავებული ინდივიდები არიან განსხვავებული მიზნებით და სურვილებით.
- გ) კომუნიკაციისას ლექსიკა ოფიციალურია.

ჩართვის (სოლიდარობის) სტრატეგია შეიძლება გავაიგივოთ ბრაუნისა და ლევენსონის დადებით თავაზიანობასთან , ხოლო დამოუკიდებლობის

( დეფერენციალური ) სტრატეგია – უარყოფით თავაზიანობასთან.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი , რომ „ *სახის* ” ცნება თავაზიანობის ორივე სტრატეგიაშია გამოხატული , ნებისმიერი ტიპის კომუნიკაციისას ჩართვის და დამოუკიდებლობის სტრატეგიები თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული . შესაბამისად , რომელიმე ერთი სტრატეგიის განსაკუთრებით გამოყოფა და

საზგასმა საფრთხეს უქმნის მეორე სტრატეგიას და შედეგად მიიღება სახის რღვევის საშიშროებისაკენ მიმართული ქმედება .

თუ საუბრისას ადრესანტი უფრო მეტად ჩარტვის სტრატეგიას მიმართავს , მაშინ ადრესატის დამოუკიდებლობა იზღუდება . მეორე მხრივ , თუ ადრესანტი თავისუფლებას აძლევს ადრესატს , მაშინ ადრესანტისათვის ჩართვის სტრატეგიაც შეზღუდულია .

მაშასადამე ცნება „ *სახე* ” ემოციურადაა დატვირთული , იგი შეიძლება დაიკარგოს , განმტკიცდეს , შენარჩუნდეს , დაიხვეწოს , საუბრისას ან წერისას მას განუწყვეტლივ უნდა ექცეოდეს ყურადღება , რადგან სწორედ სახის განმტკიცების პროცესში მყარდება კომუნიკაცია . ამგვარად , კომუნიკაცია დამოკიდებულია *სახის* საერთო მოწყვლადობაზე ( *vulnerability* )

ე .ი. ადამიანთა ორი ჯგუფიდან ერთი იცავს *სახეს* შესაძლო შებღალვისაგან , მეორეთა *სახე* იბღალება და ამიტომ ყველა ცდილობს შეინარჩუნოს გარკვეული *სახე* .

გარკვეული ტიპის ქმედებანი , რომლებიც თავიანთი ბუნებით მოსაუბრის, მწერლის, მსმენლის და მკითხველის სურვილების საპირისპიროდ არიან მიმართულნი, ქმნიან *სახის* შინაგანად დაკარგვის საშიშროებას . ბრიტანული და ქართული ფატიკური კომუნიკაციის მაგალითებს თუ დავაკვირდებით , ნათელი გახდება რომ *სახისა* და მისი სურვილების უნივერსალური ცნება , რადიკალურად განსხვავებულ დატვირთვას იძენენ სხვადასხვა საზოგადოებაში . მიზეზი კი არის ამ საზოგადოებათა ყოფითი თავისებურებანი . თავაზიანობის ნორმები კი სწორედ სახის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად იქმნება .

ქმედებანი , რომლებიც ქმნიან სახის დაკარგვის საშიშროებას თავიანთი ბუნებით მოსაუბრის , მსმენლის , მწერლის და მკითხველის სურვილების საპირისპიროდ არიან მიმართულნი . ქმედებაში ვგულისხმობთ იმას, რაც უნდა შესრულდეს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის დროს .

*სახის* შესანარჩუნებლად საჭირო ქმედებანი და *saxis survil ebi* ( *positive face wants/negative face wants; დადებითი სახის სურვილები/უარყოფითი სახის სურვილები*) სათანადოდ უნდა იყოს აღქმული და გაგებულნი საზოგადოების სხვა დანარჩენ წევრთა მიერ , ანუ დაცული იყოს ეტიკეტის მათთვის სასურველი ნორმები , ხოლო იმ შემთხვევაში თუ მოსაუბრის ან მწერლის ნათქვამმა არ გაამართლა მსმენელის ან მკითხველის მოლოდინი და ამით ზიანიც მიაყენა მის იმიჯს , საქმე გვაქვს ე.წ. *saxis dakargvis*

*saSiSroebisadmi mimarTul I ingvistur qmedebasTan (FTA - Face Threatening Act).* ამ შემთხვევაში შედეგად მივიღებთ ეტიკეტის ნორმის რღვევას და წარუმატებელ კომუნიკაციას.

ჩვენი კვლევის მიზანია , დავადგინოთ ეტიკეტის ის ნორმები რომლებიც სასუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ლინგვისტური სახის დაკარგვა და შესაბამისად ხელი შევუწყოთ წარმატებული კომუნიკაციის დამყარებას ორი განსხვავებული ყოფის წარმომადგენლებს შორის .

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შეპირისპირებითი და აღწერილობითი მეთოდები.

საკვლევ მასალად აღებულია :

- ბიზნეს (საქმიანი) სატელეფონო საუბრები,
- ყოველდღიური საუბრების ჩანაწერები,
- ტელეგადაცემები,
- ბიზნეს და შინაურული წერილები,
- საჩუქრად მიძღვნილ წიგნებზე გაკეთებული წარწერები.

ზეპირი მეტყველებიდან ამოკრეფილი მაგალითები დაზუსტებულია ინგლისელ და ქართველ ინფორმანტებთან .

ნაშრომის პირველ თავში: „ინგლისური და ქართული წერილების ლინგვისტური მახასიათებლები “ განხილულია :

ა) ბიზნეს წერილების ეტიკეტის ლინგვისტური მახასიათებლები (§1)

და

ბ) შინაურული წერილების ეტიკეტის ლინგვისტური მახასიათებლები (§2).



§1-ში განვიხილავთ ეტიკეტის ნორმებს და მოთხოვნებს ინგლისურ და ქართულ ენებზე წარმოებულ ბიზნეს მიმოწერაში და გამოვავლენთ მსგავსება-განსხვავებებს მათ შორის . მოცემულ პარაგრაფში თანმიმდევრულადაა განხილული ორივე ენაზე სხვადასხვა მიზნით დაწერილი ბიზნეს წერილების ყველა კომპონენტი და შეპირისპირებითი მეთოდის გამოყენებით კვლევის შედეგად მიღებულია შვიდი მსგავსება და ხუთი განსხვავება.

§2-ში განხილულია ეტიკეტის ნორმები სხვადასხვა მიზნით დაწერილი ინგლისური და ქართული შინაურული წერილების მასალაზე , თანმიმდევრულადაა განხილული შინაურული წერილების კომპონენტები . შეპირისპირებითი მეთოდით კვლევის საფუძველზე მიღებულია ხუთი მსგავსება და ექვსი განსხვავება.

ნაშრომის II თავში: „საქმიანი სატელეფონო საუბრების ზოგიერთი ლინგვისური მახასიათებელი" განხილულია ბიზნეს სატელეფონო საუბრებისათვის დამახასიათებელი და სავალდებულო ეტიკეტის ნორმები. განხილულია ინგლისურად და ქართულად სხვადასხვა მიზნით წარმოებულ ბიზნეს სატელეფონო საუბრების კომპონენტები:

- მისალმება.
- მიმართვის ფორმა.
- მისალმების შემდგომი თავაზიანობის გამომხატველი ფრაზები. რომლებიც წარმატებულ კომუნიკაციებს უწყობს ხელს.
- მოსაუბრისა და მსმენელის მიერ საუბრისას ჯერობის დაცვა.
- დამამთავრებელი (დამშვიდობების გამომხატველი) ფრაზები.

ინგლისური და ქართული ბიზნეს სატელეფონო საუბრების შეპირისპირებითი კვლევის შედეგად მიღებულია ათი მსგავსება და ორი განსხვავება.

ნაშრომის III თავში: „სამეტყველო ეტიკეტის ლინგვისტური მახასიათებლები სასაუბრო ინგლისურსა და ქართულში" განხილულია სხვადასხვა სიტუაციაში წარმოებულ საუბრების ( *dial ogi / prol ogi* ) მახასიათებლები ორივე ენაში და საუბარია იმაზე თუ რა მნიშვნელობა ენიჭება

ამ მახასიათებლებს სრულყოფილი კომუნიკაციისათვის. ასევე განხილულია საუბრის კომპონენტები :

- დასაწყისი
- ძირითადი ნაწილი
- დასასრული
- საუბრისათვის დამახასიათებელი ეტიკეტის ნორმები
- ნორმებიდან გადახვევის შემთხვევები.

ინგლისური და ქართული საუბრების შეპირისპირებითი შესწავლისას გამოვლინდა ჩვიდმეტი მსგავსება და ორი განსხვავება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ეტიკეტის ნორმების უნივერსალურობას.

IV თავში „**საჩუქრად წარწერების ლინგვისტური ანალიზი**“ განხილულია ინგლისურ და ქართულ ყოფაში საჩუქრად მიძღვნილ წიგნებზე გაკეთებული წარწერები და ასევე ის ფრაზები, რომლებიც ჩუქებას ახლავს თან. საჩუქრად მიძღვნილ წიგნებზე გაკეთებული წარწერები განხილულია, როგორც სამწერლობო ფატიკური კომუნიკაციის ნიმუში. კვლევის შედეგად მიღებულ თავისებურებებზე დაყრდნობით ორივე ენაში მოვახდინეთ წარწერების შემდგენიერი კლასიფიკაცია:

- ოფიციალური წარწერები
- შუალედური წარწერები
- შინაურული წარწერები

მოცემულ თავში განხილულია ორივე ენაში სამივე ტიპის წარწერების მახასიათებლები და კვლევის შეპირისპირებითი მეთოდის გამოყენებით მიღებულია მსგავსება-განსხვავებანი (ათი მსგავსება და ორი განსხვავება) სამივე ტიპის წარწერებს შორის. აგრეთვე საუბარია სამივე ტიპის წარწერების მახასიათებლების არასწორად გამოყენების შედეგებზე.

V თავში „**მამაკაცის და ქალის მეტყველების ზოგიერთი მახასიათებელი (გენდერული თავისებურებანი)**“ განხილულია ის მიზეზები, რაც იწვევს ქალისა და მამაკაცის საუბარს შორის გარკვეულ სხვაობას და წარმოშობს

გაურკვევლობას. ასევე საუბარია ლინგვისტური სახის იმ სტრატეგიებზე, რომელთა გამოყენებაც საშუალებას აძლევს ქალსა და მამაკაცს მიაღწიონ წარმატებულ კომუნიკაციას.

მოცემულ თავში განხილულია ლინგვისტური ზღუდე და გამაძლიერებელი (ასევე მათ გამოსახატავად ხშირად გამოყენებული ფრაზები), როგორც ქალის მეტყველებისათვის დამახასიათებელი თვისება.

ყოველივეს გათვალისწინებით ქალის და მამაკაცის მეტყველებაზე ზოგადი დაკვირვებით გამოვლინდა ცხრა განსხვავებული მახასიათებელი, ხოლო ინგლისურ და ქართულ ენებში ქალისა და მამაკაცის მეტყველებაზე კვლევის შეპირისპირებითი მეთოდით დაკვირვებამ მოგვცა ერთი განსხვავება.

ნაშრომის ბოლოს მოცემულია ზოგადი დასკვნები.

## თავი I

### ინგლისური და ქართული წერილების ზოგიერთი ლინგვისტური მახასიათებელი

#### § 1. ინგლისური და ქართული ბიზნეს წერილების ეტიკეტის ზოგიერთი ლინგვისტური მახასიათებელი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეტიკეტი თავაზიანი მანერების და სოციალურად მოწესრიგებული ქცევის ნორმების ერთობლიობაა და მოიცავს ადამიანთა ქცევის ნორმებს შინ, სამსახურში, ტრანსპორტში და საერთოდ საზოგადოებაში.

ზოგი ფიქრობს, რომ ეტიკეტის ნორმები და წესები, უბრალო ფორმლობაა, მაგრამ ეს ასე არ არის. თავაზიანი ადამიანისათვის რომელიც ეტიკეტის ნორმებს იცავს, ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობა, საზოგადოების წევრებთან ურთიერთობა იოლია. ეტიკეტი ადამიანის შინაგან ბუნებას და მის სულიერ სილამაზეს წარმოაჩენს. (Maier P., 40.)

ლინგვისტური ეტიკეტის ენობრივი ნორმების დაცვა ადამიანური ურთიერთობის ყველა სფეროში და ყოველთვის სავალდებულოა.

ენობრივი ეტიკეტის დაცვა მეტად მნიშვნელოვანია ზეპირი და წერილობითი ურთიერთობისას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლინგვისტური ეტიკეტი.

ლინგვისტური ეტიკეტი თავს იჩენს ზეპირი თუ წერილითი კომუნიკაციისას თავაზიანობის ნორმების დაცვის სახით, ოფიციალური, ნეიტრალური თუ შინაურული სტილისათვის შესაფერისი ენობრივი ფორმების შერჩევაში.

მოცემულ თავში განვიხილავთ ეტიკეტის ნორმების სავალდებულო მხარეებს ინგლისურ და ქართულ ენებზე წარმოებულ ბიზნეს და შინაურულ მიმოწერაში და გამოვარკვევთ მსგავსება-განსხვავებებს ამ ორ ენაში.

ბიზნეს კომუნიკაციაში ზეპირმეტყველების და ქცევის ნორმების გარდა კომუნიკაციის წერილობით ფორმას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. წერილობითი დოკუმენტი ტექნიკურად კომუნიკაციის ყველაზე რთული ფორმაა, მის შესაქმნელად სპეციალური უნარ-ჩვევები, ცოდნა და შემოქმედებითი მიდგომაა საჭირო. საქმიანი პარტნიორი იმის მიხედვით ფასდება, თუ რამდენად კვალიფიციურად შეადგენს იგი წერილობით დოკუმენტს. (ჯოლია გ.,128.)

წერილობით დოკუმენტებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქმიან წერილს. ადრესატის მიერ დაწერილი ნებისმიერი სახის, ფორმისა თუ შინაარსის წერილი ამ პიროვნების სახეს წარმოადგენს. იგი გარკვეულწილად წარმოაჩენს ადრესანტის განათლებას, სოციალურ სტატუსს და წერილის მიმღებს ანუ ადრესატს გარკვეულ შთაბეჭდილებას უქმნის ადრესანტის შესახებ. (ჭიპაშვილი პ., 126.)

კარგად და ნათლად ჩამოყალიბებული წერილი თავისთავად გულისხმობს მისთვის დამახასიათებელი ყველა წესის გათვალისწინებას. წერილის შინაარსი , ბუნებრივია, ლაკონურად და გასაგებად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ადრესანტისა და ადრესატის მისამართი, წერილის გაგზავნის თარიღი და სხვა კომპონენტები მათთვის განკუთვნილ ადგილას უნდა იყოს მითითებული. ქაღალდი, რომელზეც წერილია დაწერილი შესაბამისი ხარისხის და ზომის უნდა იყოს. მნიშვნელოვანია ადრესანტმა გაითვალისწინოს თუ ვინ არის ადრესატი და რა ურთიერთობა აქვს მასთან , ასევე რა საკითხთან დაკავშირებით წერს წერილს. (Pileguard M. 45.) ენობრივი რეგისტრის ერთმანეთში არევა, მაგალითად ოფიციალური რეგისტრის და მისთვის დამახასიათებელი წესების შეცვლა შინაურულით, ყოველად მიურეებელია, ვინაიდან ასეთი საქციელი მკითხველში უარყოფით ემოციას , გაუგებრობას და უხერხულ გრძნობას გამოიწვევს.

დახვეწილად ჩამოყალიბებული წერილი, მოითხოვს გარკვეული წესების და ეტიკეტით დადგენილი ნორმების ზედმიწევნით შესრულებას, რაც საბოლოო ჯამში წერილს დასრულებულ და სრულყოფილ სახეს აძლევს და ამით წარმატებული კომუნიკაციის წინაპირობა შესრულებულია. (თოფურიძე თ., 114.)

საქმიანი წერილი ოფიციალური დოკუმენტია, რომელიც კომპანიის ბლანკზე იწერება. ამგვარი წერილები ინახება როგორც გამგზავნის, ისე მიმღების მიერ წერილთა ნუსხაში დასათაურებით 'Semosul i' , 'gasul i'.

წერილი სწორად, ეტიკეტით მიღებული ნორმების დაცვით უნდა იყოს დაწერილი. წერილის გარეგნული სახე, შინაარსი, აზრის გამოხატვის ენობრივი ხერხები მეტყველებს გამგზავნის პროფესიონალიზმზე და მის დამოკიდებულებაზე როგორც საკუთარი, ასევე პარტნიორი კომპანიისადმი. (Piotrovski M., 46.) ასე რომ შეცდომა გრამატიკაში, მართლწერაში და ეტიკეტის ნორმების დარღვევა დაუშვებელია.

საქმიანი წერილი სხვადასხვა მიზნით იწერება: ინფორმაციის მოპოვების, ინფორმაციის მიწოდების, რჩევა-მოსახრების მიცემის, შეკვეთის მიცემის თუ დადასტურების, საჩივრის ან საჩივარზე გამოსმაურების, შეთავაზების და ა.შ.

ჩვენს ხელთ არსებულ ინგლისურ და ქართულ ენებზე წარმოებულ ბიზნეს (საქმიანი) წერილების განხილვისას გამოიკვეთა სამწერლობო ეტიკეტის მახასიათებლები. საქმიანი წერილის წერისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი საქმიანი წერილი უნდა შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

1. ბლანკის ქუდი.
2. ადრესანტი.
3. ადრესატი.
4. თარიღი.
5. რეფერენტი.
6. მიმართვა.
7. წერილის დასათაურება.
8. წერილის ტექსტი (ტანი / ძირითადი ნაწილი).
9. დასასრული (თავზიანობის გამომხატველი ფრაზა).
10. ხელმოწერა.
11. დამატებითი ელემენტები (რაც ყოველთვის არ გვხვდება).

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

## 1.

წერილის ბლანკზე უნდა იყოს მოცემულ ტერიტორიაზე მოქმედი სტანდარტით დადგენილი რეკვიზიტები და მათი განმარტება. თითოეულ ბლანკს ახასიათებს სასათაურო რეკვიზიტების გასწვრივ, კუთხური, ან ცენტრალური განლაგება. მაგ.: სასათაურო რეკვიზიტი. **"Central Leathercraft ltd"** ან **"Star**

*Organization for Engineering Industries*" ისევე, როგორც რეკვიზიტი – „საქართველოს პარლამენტი“ ან „პარლამენტის აპარატი“ შესაძლოა მოთავსებული იყოს ფურცლის ზევით როგორც ცენტრში, ასევე მარჯვნივ, ან მარცხნივ. გერბი, ან ლოგო (ე.ი. ორგანიზაციის ემბლემის გამოსახულება) სასათაურო რეკვიზიტების გასწვრივ, ან ქვევით თავსდება. ბლანკის ქუდი ანუ სასათაურო რეკვიზიტი შეიძლება ორენოვანიც იყოს, მაგ.: **"World Bank Office Tbilisi"**, მის გასწვრივ **„მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა თბილისი“**, მათ შორის ლოგო, ქვევით კი მისამართი ორივე ენაზე. ორგანიზაციის დასახელება შეიძლება იყოს სრული ან შემოკლებული. იგი უნდა შეესაბამებოდეს სამართლებრივი აქტით დადგენილ დასახელებებს, მაგალითად:

***TC -Turner Communications***

***Es LTD-Electrical Supplies***

***NDI -National Democratic Institute***

***"ბეუზ" - გაზომვათა ურთიერთობის დეპარტამენტი***

***„სბა“ -საქართველოს ბანკების ასოციაცია.***

წერილის ბლანკზე თავსდება რეკვიზიტები: კავშირგაბმულობის კვანძის ინდექსი, საფოსტო და სატელეგრაფო მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, სააბონენტო ტელეფონის ნომერი, ფაქსის ნომერი, ინდექსი, ორგანიზაციის კოდი. დოკუმენტის რამდენიმე ენაზე შედგენისას ბლანკის რეკვიზიტები შესაბამისად უნდა ითარგმნოს. როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე წარმოებულ საქმიან წერილებში. რეკვიზიტები ბლანკის ქუდის ქვეშ იწერება. მაგ.:

***Financial Times Management***

***Pitman Publishing***

***128 long lane***

***London WC 2E 9 AN***

***Telephone: +44(0)1714472240***

***Facsimile: +44(0)1712405771***

*Airmail*  
*Eagle press Inc*  
*24 South Bank*  
*Toronto*  
*Ontario*  
*Canada M411 7LK*

*საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო*  
*საწარმოო გაერთიანება „მემატიანე“*  
*380005 საქართველო*  
*თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. 1*  
*ტელ (995 32) 37 18 42*  
*ფაქსი (995 32) 37 64 32*  
*ელ-ფოსტა: [mematiane@posta.ge](mailto:mematiane@posta.ge)*

*გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის დეპარტამენტი*  
*საქართველო, თბილისი*  
*0141 ჩარგლის ქ. №67*  
*ტელ/ფაქსი (995 32) 61 35 00*  
*ელ-ფოსტა: [gmm-metrology@yahoo.com](mailto:gmm-metrology@yahoo.com)*

2.

ადრესანტის მისამართი ინგლისურ ენაზე წარმოებულ საქმიან მიმოწერაში, ეტიკეტის მიხედვით, ფურცლის მარჯვენა კუთხეში უნდა მიეუთითოდ. ინგლისურში, ადრესანტის გვარი, მისამართის დასაწყისში ფურცლის ზედა მარცხენა კუთხეში რეკვიზიტების შემდეგ ხუთი ინტერვალის დაშორებით იწერება. მაგ.:

*Mr. B. Richardson ან Mr and Mrs Richardson; Dr. Simon Green.*

მაშასადამე, ჯერ ტიტული უნდა მიეუთითოთ, სახელის პირველი ასო, წერტილი და შემდგომ გვარი სრულად. ამერიკულ ვარიანტში ტიტულის



შემოკლებულ ფორმას წერტილი დაესმის, ხოლო ბრიტანულში – არა. ადრესანტის სახელი და მისამართი შემდეგი თანმიმდევრობით იწერება:

- 1) ადრესანტის ტიტული, სახელი, გვარი
- 2) თანამდებობა (თუ აუციელებელია)
- 3) შენობის / სახლის ნომერი
- 4) ქუჩის სახელწოდება
- 5) ქალაქის სახელწოდება
- 6) საფოსტო განყოფილება
- 7) საფოსტო ინდექსი.

მაგალითად:

***T. M. White***  
***Gray Black & white Solicitors***  
***London WC1H7BA***  
***United Kingdom BA430CH***

***Dr. Johr Parker***  
***G. Wood & Sons***  
***Bristol***  
***BS 12BQ***

იმ შემთხვევაში, თუ ადრესანტის გვარს არ მივუთითებთ, უნდა აღვნიშნოთ მისი თანამდებობა და შემდეგ კომპანიის მისამართი, მაგალითად:

***The Manager***  
***Devonshire Bank***  
***12 Market 2260 E***  
***United Kingdom***

ქართულ საქმიან წერილებში ადრესანტის მისამართი, ეტიკეტის მიხედვით, არ იწერება წერილის დასაწყისში. იგი მხოლოდ კონვერტზე უნდა აღინიშნოს. ქართულენოვან საქმიან წერილებში თავაზიანი მიმართვის, თანამდებობის,

სახელისა და გვარის მითითება საკმარისია. ფურცლის მარჯვენა მხარეს რეკვიზიტებიდან ხუთი ინტერვალის დაშორებით იწერება თარიღი, შემდგომ ადრესანტის ვინაობა მიცემით ბრუნვაში, მაგ:

*საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტს ბ-ნ გ. . . შ. . . -ს*

*საქართველოს კომერციული ბანკების ხელმძღვანელობას*

ან

*საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს,  
ბ-ნ გ. . . . . თ. . . . -ს.*

3.

ინგლისურ საქმიან წერილებში წერილის ადრესატის მისამართი წერილის ტექსტის ზევით ფურცლის შუაში იწერება, ქართულ წერილებში კი ადრესატის მისამართს მხოლოდ კონვერტზე მიუთითებენ.

4.

ინგლისურ ენაზე შესრულებულ საქმიან წერილებში შესაძლებელია თარიღის ორგვარი აღნიშვნა, რომლებიც ერთმანეთისგან კომპონენტების თანმიმდევრობით განსხვავდება. ბრიტანელები ჯერ რიცხვს, შემდეგ თვეს, და ბოლოს წელს აღნიშნავენ, ამერიკელები კი ჯერ თვეს, შემდეგ რიცხვს და წელს მიუთითებენ. ასე რომ სრული თარიღის ციფრებით აღნიშვნას შესაძლოა გაურკვეველობა მოჰყვეს, ამიტომ თვე ასოებით აღინიშნება, რიცხვი კი – ციფრებით, მაგ:

*October 11, 2005* (ამერიკული ვარიანტი),

ან

*11 October, 2005* (ბრიტანული ვარიანტი).

ქართულში, ეტიკეტის მიხედვით, ჯერ რიცხვი, შემდეგ თვე და შემდეგ წელი აღინიშნება. შესაძლოა, თვის აღმნიშვნელ ციფრს წინ ნული დაემატოს,

რაც გაუგებრობას აგვაცილებს თავიდან, მაგ: **11.02.05.** თუმცა უცხოელმა პარტნიორმა შესაძლოა სწორად ვერ გაიგოს ამგვარი აღნიშვნის შინაარსი, ამიტომ სასურველია უცხოელებთან ურთიერთობისას, მათთვის მისაღები სტანდარტებით ვისარგებლოთ. თარიღი ინგლისურენოვან საქმიან წერილებში უნდა იქნეს მითითებული ადრესატის მისამართსა და რეკვიზიტებს შორის მარჯვენა მხარეს ან წერილის ავტორის მისამართის ქვეშ, ხოლო ქართულ ენაზე წარმოებულ საქმიან წერილებში თარიღი შესაძლოა მიუთითოთ რეკვიზიტების ქვევით მარჯვენა ან მარცხენა კუთხეში შემდეგი ფორმებით:

**09.10.05**

ან

**10 ოქტომბერი, 2005 წელი.**

5.

რეფერენტის (reference) შესახებ მითითება წერილის ამკრეფის ან ჩამწერი პირის ინიციალებისგან შედგება, მაგ: **Our ref: G.R.** რეფერენტის მითითება იწერება ფურცლის მარცხენა კუთხეში რეკვიზიტისა და ადრესანტის მისამართს შორის. ჩვენს ხელთ არსებულ ქართულ ენაზე წარმოებულ საქმიან წერილებში მსგავსი მითითება არ შეგვხვედრია.

6.

წერილის ტექსტი, ტრადიციულად, ადრესატისადმი მიმართვით იწყება. აუცილებელია წერილის დასაწყისში ადრესატისადმი მიმართვის სწორი ფორმის არჩევა და შესაბამისად, მიმართვის ფორმიდან გამომდინარე წერილის შესატყვისი ლექსიკის და დასასრულის შერჩევა. მიმართვის ოფიციალურობის ხარისხი დამოკიდებულია წერილის ავტორისა და ადრესატის ურთიერთობაზე. ოფიციალური რეგისტრის მაჩვენებლებია **Dear Sir / Sirs; Dear Madam; Madam; Dear Mr./Mrs./Miss./Ms + პიროვნების გვარი/ტიტული; Dear Dr. + პიროვნების გვარი; ბატონო/ქალბატონო + პიროვნების სახელი/ტიტული.** მიმართვის ეს ფორმები, ჩვეულებრივ, გამოიყენება ოფიციალურ წერილებში და ბიზნეს კორესპონდენციებში. თუ წერილის ავტორი პირადად არ შეხვედრია ადრესატს

და / ან მას არც თუ ისე კარგად იცნობს, მაგრამ იცის მისი სახელი და გვარი, მაშინ წერილი დაიწეება მიმართვით: **Dear Mr. Watson, / Dear Mrs. Woods**, იმ შემთხვევაში, თუ ადრესატის სახელი არ ვიცით, მაშინ მიმართვა შემდეგნაირია: **Dear. Sir/Dear Madam.** უნდა აღინიშნოს, რომ მიმართვა **Dear Sirs** ხშირად კომპანიისადმი მიმართვად უფრო აღიქმება, ვიდრე კონკრეტული პიროვნებისადმი. შესაბამისად, მიმართვის ეს ფორმა, ზუსტად შეესაბამება იმ სიტუაციას, როდესაც წერილი ეგზავნება ფირმას, კორპორაციას, კომპანიას, რომლის მფლობელიც ორი ან მეტი პიროვნებაა. ასეთ დროს სავსებით შესაძლებელია მიმართვის ფორმას **Dear Sirs** ჩაენაცვლოს მიმართვის სხვა ფორმა **Messrs So and So** გასათვალისწინებელია რომ **Messrs** არის სიტყვის **messieurs** (ბატონებო) შემოკლებული ფორმა და მას ყოველთვის იმ პიროვნებების გვარები მოსდევს ვინც ამა თუ იმ ფირმას, კორპორაციას, კომპანიას უდგანან სათავეში. მაგალითად: **Messrs Parker & Smith**. ქართულში მსგავსი მიმართვის ფორმა არ დასტურდება. ხშირად მიმართვაში ადრესატის სახელთან და გვართან ერთად მის ტიტულსაც მიუთითებენ. განსაკუთრებით მაშინ, თუ ადრესატი ადრესანტზე უფროსია. ხშირია შემთხვევა, როდესაც ადრესანტმა არ იცის კომპანიაში სახელდობრ ვის მიმართოს მისთვის საინტერესო საკითხზე, ამიტომ ასეთ შემთხვევაში მიმართვის ფრაზა შემდეგია: **To whom it may concern**, ეს მიმართვა ფურცლის მარცხენა მხარეს მისამართის ქვემოთ ორი ინტერვალის დაშორებით უნდა განთავსდეს და მის ბოლოს მძიმე დაისვას.

რაც შეეხება ქართულ საქმიან წერილებს, მიმართვა ეტიკეტის მიხედვით ასევე ფურცლის მარჯვენა მხარეს, წერილის ტექსტის ზევით იწერება. მის შემდეგ ძახილის ნიშანი, ან მძიმე დაისმის. მიმართვის მიღებული ფორმაა:

*ძვირფასო ბატონო... (სახელი), ბატონო... (სახელი), ან ქალბატონო... (სახელი).*

თუ წერილი რამდენიმე ადამიანს ეძღვნება, მაშინ უნდა მივუთითოთ:

*პატივცემულო ასოციაციის წევრებო! / ძვირფასო კოლეგებო!*

ხოლო თუ ადრესანტმა არ იცის კომპანიაში სახელდობრ ვის მიმართოს, წერილს გზავნის ორგანიზაციის მისამართზე და მიმართვას წერს შემდეგი ფრაზით :

*კომპეტენტურ პირს !*

7.

საქმიანი წერილების უმეტესობა საგანგებოდ გამოყოფილი სათაურით იწერება. სათაური ასახავს მთავარ თემას, წერილის შინაარსს და ერთ წინადადებას არ აღემატება, მაგ.:

- *Inhouse Document Formats.*
- *Visit to Singapore.*
- *You Order #324.*
- *One day Management Conference.*
  
- *მკაცრი აღრიცხვის ფორმების დამზადების თაობაზე.*
- *ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე.*
- *საქართველოს საბანკო დაწესებულებებში ანგარიშის გახსნის თაობაზე.*

სათაური იწერება მისამართის შემდეგ, წერილის ტექსტის ზევით მარცხენა მხარეს, როგორც ინგლისურენოვან, ასევე ქართულენოვან საქმიან წერილებში.

8.

რაც შეეხება საქმიანი წერილის ტექსტს, სასურველია იგი მოკლე იყოს და სამი ნაწილისაგან შედგებოდეს: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასასრული.

მეტად მნიშვნელოვანია აბზაცების გამოყოფა როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ საქმიან წერილებში. აბზაცები ხელს უწყობს ახალი იდეების დაფიქსირებას. როგორც კი ჩნდება საჭიროება წერილებში სხვა შეხედულების

თუ დამოკიდებულების ჩვენების, ან ინფორმაციის ახალი ნაკადი უნდა იქნეს მოწოდებული, მაშინ აუცილებელია ახალ აბზაცზე გადასვლა. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროის ინგლისურ საქმიან მიმოწერაში აბზაცი შეწეული ხაზით კი არ იწყება, არამედ ერთი ინტერვალის გამოტოვებით. ქართულ საქმიან წილებში კი აბზაცი ტრადიციულად შეწეული ხაზით იწყება.

პირველ აბზაცში უნდა აღინიშნოს, თუ რა მიზნით მიმართავს ადრესანტი ადრესატს. შემდეგ აბზაცებში კი ეტიკეტის მიხედვით წერილის იდეა უნდა იქნეს განვითარებული. დასასრულს ხდება ერთგვარი შეჯამება წერილის მთავარი თემისა და დასკვნა.

თითოეული აბზაცი იწყება ე.წ. თემატური წინადადებით, რაც მკითხველს ეხმარება მოცემულ აბზაცში განთავსებული ინფორმაციის შინაარსის ადვილად და სწრაფად გაგებაში. საქმიანი წერილების ყველა სახელმძღვანელო ხაზს უსვამს, რომ თემატური წინადადება აბზაცის მთავარი იდეაა, იგი უნდა შეიცავდეს ერთადერთ აზრს, იყოს სიახლის შემცველი და შედგებოდეს არა უმეტეს 15-20 სიტყვისაგან. (Roberts J., 51.) თუ რომელიმე კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია დეტალურად უნდა გადავცეთ, მაშინ იგი დანართის სახით უნდა მივაწოდოთ ადრესატს. შეკვეცილი ფორმების გამოყენება (Im, don't, we've და ა.შ.) და ყოველდღიური სასაუბრო ენისთვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულების ხმარება საქმიან წერილში დაუშვებელია. საქმიან წერილში უნდა მოვერიდოთ მრავალსიტყვაობას, შევარჩიოთ მხოლოდ მნიშვნელოვანი ზუსტი ზმნები, დავაფიქსიროთ საკუთარი მოსაზრება მკაფიოდ, დავიცვათ პუნქტუაცია. ინგლისური და ქართული საქმიანი წერილების განხილვისას გამოვლინდა, რომ გრძელი წინადადებები წართულ საქმიან წერილებში უფრო შეიმჩნევა, ვიდრე – ინგლისურში. მაგალითად, მოვიყვანთ შემთხვევას, სადაც ინფორმაცია ვრცელი წინადადებით არის გადმოცემული და შემდგომ დაფურთავთ იმავე ინფორმაციის მომცველ უფრო მცირე, ჩვენი აზრით, უფრო მისაღებ ვარიანტს, რომელიც უფრო შეეფერება საქმიანი წერილის ეტიკეტით გათვალისწინებულ სტილს:

*„მასალა უნდა იყოს მოწოდებული ნაბეჭდი ფორმით, ფურცლის ერთ გვერდზე, ორმაგი ინტერვალით, რომელსაც უნდა ერთვოდეს სურათები, რომელიც გამოგ ზავნილ უნდა იყოს 2005 წლის 15 აგვისტომდე, თუ არსებობს მასალის ელექტრონული ვერსია, შესაძლებელია მისი გამოგ ზავნა ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის საშუალებით. თუ აღნიშნული პერიოდის*

*განმავლობაში მოხდება ცვლილებები, მათი გამოგზავნა უნდა მოხდეს არა უგვიანეს 2005 წლის 31 აგვისტოს".*

ეს შეტყობინება შესაძლებელია დეტალების გამოტოვების გარეშე გაცილებით უფრო ლაკონურად დავწეროთ:

*„გთხოვთ 2005 წლის 15 აგვისტომდე მოგვაწოდოთ მასალა ფურცლის ერთ გვერდზე ორმაგი ინტერვალით ნაბეჭდი სახით ან მისი ელექტრონული ვერსია. თან დაურთეთ სურათი. ცვლილებების შემთხვევაში გადავადება დასაშვებია 2005 წლის 31 აგვისტომდე“.*

სასურველია მრავალსიტყვიანი ფრაზების შემოკლებული და მათი უფრო ლაკონური ვარიანტის გამოყენება. შერლი თეილორის აზრით, ინგლისურენოვან საქმიან წერილებში ნაცვლად ფრაზისა *We shall be in a position to* სასურველია გამოვიყენოთ ფრაზა *We shall be able to*, ასევე

- *in the course of the next few weeks* – *during the next few weeks*
- *would you be so kind as to let me know* - *please let me know*
- *with reference to* - *about*
- *due to the fact that* - *because*
- *take into consideration* - *consider*
- *at the present time* - *now* და ა.შ.

ამის მიზეზი არის არა მარტო ადგილის ეკონომია, არამედ ისიც, რომ რაც უფრო ლაკონურად არის გამოთქმული აზრი წერილში, მით უფრო მეტად მიგვანიშნებს იგი ადრესატის პროფესიონალიზმზე, რაც გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს საქმიან ურთიერთობაში.

საქმიან წერილებში როგორც ინგლისური, ასევე ქართული სამწერლობო ეტიკეტის მიხედვით მნიშვნელოვანია ტექსტში კონკრეტული ადამიანების სახელების მითითება, რათა პასუხისმგებლობა უშუალოდ იქნეს განსაზღვრული ამა თუ იმ საკითხის თაობაზე, ეს კი საშუალებას იძლევა, თავიდან ავიცილოთ გაუგებრობები და დაგვეხმარება პრობლემის უფრო მოკლე ვადაში მოგვარებაში, მაგალითად:

*"Unfortunately, I have been unable to get the alarm system work and am very disappointed with my purchase. The manager of Stadfield's Mr. F. Fredericks has advised me to return the clock to you for correction of the fault".*

*„გაცნობებთ, რომ საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი გ. . . თ. . . . კურიერებს კონტროლის პალატის საერთაშორისო დეპარტამენტს და აქედან გამომდინარე ხშირად უწევს მივლინება საზღვარგარეთ".*

როგორც უკვე აღინიშნა, საქმიანი წერილები სხვადასხვა მიზნით იწერება. თემატიკის მიხედვით ლექსიკაც იცვლება. ჩვენს ხელთ არსებულ წერილებზე დაკვირვებით გამოიკვეთა ყველაზე ხშირად ხმარებული პირველი და ბოლო ფრაზები:

- *Thank you for your letter of. . .*
- *In reply to you inquiry of. . .*
- *With reference to your inquiry. . .*
- *Thank you for your order dated. . .*
- *We acknowledge with thanks. . .*
- *We notice that your. . .*
- *I was pleased to. . .*
- *We welcome the opportunity. . .*
  
- *გაცნობებთ რომ. . .*
- *მოგმართავთ ინიციატივით, რათა. . .*
- *მინდა მადლობა გადაგიხადოთ*
- *შეგახსენებთ, რომ. . .*
- *უპირველეს ყოვლისა, მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ. . .*
- *მაქვს პატივი გამოეხატო ღრმა პატივისცემა. . .*
- *მოგმართავთ. . . დაკავშირებით. . .*
- *მადლობას მოგახსენებთ. . . და სხვა*



ეს ფრაზები ცხადყოფს, რომ ინგლისური და ქართული საქმიანი წერილების პირველი ფრაზა, ან მადლობას გამოხატავს, რაც თავაზიანობის ფორმად და ეტიკეტის ნორმად მიიჩნევა, ან პირდაპირ მიუთითებს წერილის მიზანსა და შინაარსზე. რაც შეეხება დასკვნით ფრაზებს, რომლებიც უმეტესად წერილის შემაჯამებელი ფრაზებია, ისინი ძირითადად გამოხატავენ შემდგომი თანამშრომლობის სურვილს და იმედს, ან კიდევ ერთხელ მადლიერების გრძნობას უსვამენ ხაზს და წერილის მთავარ თემას უბრუნდებიან, მაგალითად:

- *We look forward to receiving. . .*
- *We shall be pleased to send. . .*
- *Please let me know if you can give us. . .*
- *We trust you will find...*
- *We hope...*
- *We apologize again...*
- *We shall be obliged if you...*
- *We must ask you to...*
- *Please accept our thanks...*
- *Please deal with this order as...*
- *We will be in touch with you....*
  
- *გთხოვთ, დაგერთოთ ნება. . .*
- *გთხოვთ, შეძლებისდაგვარად მოგვაწოდოთ. . .*
- *ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი ღრმა პატივისცემა. . .*
- *გთხოვთ, განიხილოთ. . .*
- *წინასწარ გიხდით მადლობას. . .*
- *მოუთმენლად ველით პასუხს. . .*
- *გამოეთქვამთ დიდ სურვილს. . .*
- *მოუთმენლად ველით თქვენთან შეხვედრას და ა.შ.*

9.

როგორც ცნობილია, ყველანაირი წერილი დასამშვიდობებელი ფრაზით სრულდება. უნდა აღინიშნოს, რომ თუ წერილი იწყება ფრაზით: **Dear Sir/Dear Madam** მაშინ წერილის დასასრულს იქნება ფრაზა **Faithfully Yours (Am.E.) / Yours Faithfully (Br.E.) + პიროვნების სახელი და გვარი**. ხოლო თუ წერილი იწყება ფრაზით **Dear Mr/Mrs/Miss/Ms + პიროვნების გვარი** და თუ ადრესატსა და ადრესანტს შორის შეხვედრა ერთხელ მაინც შედგა, წერილის ბოლოს იწერება ფრაზა **Yours Sincerely (Br.E.) / Sincerely Yours (Am.E.)** ან უბრალოდ **Sincerely**. ქართულ საქმიან წერილებში წერილის ტექსტის ქვევით ფურცლის მარჯვენა კუთხეში იწერება ფრაზა: **პატივისცემით / ღრმა პატივისცემით**. ხშირად ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც დასასრული ფრაზა **პატივისცემით** დაბეჭდილია, ხოლო სიტყვა **ღრმა** ან **ულრმესი** ხელით არის ჩამატებული ადრესანტის მიერ, რაც მეტი თავაზიანობისა და პატივისცემის გამომხატველია და ეტიკეტის ერთგვარ ნორმად მიიჩნევა.

## 10.

საქმიან წერილს, როგორც წესი, ის პირი აწერს ხელს, რომელმაც წერილი შეადგინა ან უკარნახა შემსრულებელს. ვინაიდან ხშირად ხელს გაურკვევლად აწერენ, წერილის დასასრულს მიღებულია ავტორის გვარის დაბეჭვდა მისი ხელმოწერის ქვეშ ან გვერდით. ხელმოწერა როგორც ინგლისური, ისე ქართულ საქმიან წერილებში თავაზიანობის გამომხატველი დასასრული ფრაზის ქვეშ იწერება.

## 11.

ხშირად საქმიან წერილზე გვხვდება მითითება **Enc. (enclosures)** და შემდეგ გვერდების რაოდენობა. ასეთი მითითება წერილის ბოლოს უნდა გაკეთდეს ეტიკეტის შესაბამისად, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ წერილს დანართი ახლავს. ქართულენოვან საქმიან წერილებში, მსგავსად ინგლისურისა, მინიშნება **დანართი** და შემდეგ გვერდების რაოდენობა ასევე წერილის ბოლოს, ხელმოწერამდე იწერება, ფურცლის მარჯვენა მხარეს.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ავტორი გამოთქვამს სურვილს წერილი ადრესატის გარდა სხვა პირებსაც გააცნოს, ვინაიდან ამის შესახებ ეტიკეტის

მიხედვით ადრესატის უნდა იყოს ინფორმირებული წერილის ბოლოს სვამენ ნიშანს *cc (copy circulated)* და შემდეგ მიუთითებენ იმ პიროვნებათა სახელებს, გვარებს და ასევე მათ თანამდებობებს, ვისაც უნდა გაეგზავნოს ასლი. ადრესატების მითითება ეტიკეტის მიხედვით თანამდებობების ანბანური რიგით უნდა განხორციელდეს. მაგალითად:

*cc - Mrs. Sarah Iohes, Accountant*  
*Mr. David Gibinson, Compang Secretary*  
*Mr. Norman Taylor, General Manager*

ხოლო ქართულ საქმიან წერილებში მითითება *ასლი* ეტიკეტის მიხედვით უნდა მოთავსდეს ფურცლის მარცხენა მხარეს თარიღისა და ადრესატის თანამდებობის მითითების ქვემოთ, მაგალითად:

*ასლი: საბანკო ასოციაციის წევრი ბანკების ხელმძღვანელობას*

ქართულში თანამდებობების ჩამონათვალი არ შეგხვედრია.

წერილის ტექსტის ქვემოთ შესაძლოა იყოს მითითება *P.S. (post scriptum)*, სადაც თავსდება მხედველობის არედან გამორჩენილი ინფორმაცია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კომპიუტერის შესაძლებლობებიდან გამომდინარე თანამედროვე პირობებში პოსტ სკრიპტუმის აუცილებლობა ნაკლებად ჩნდება და ნიშანი *P.S.* წერილის ბოლოს იშვიათია.

ამრიგად, ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე წარმოებული საქმიანი წერილებისათვის არსებობს ეტიკეტით გათვალისწინებული არაერთი ნორმა და გარკვეული მოთხოვნა. ლინგვისტური ეტიკეტის ენობრივი ნორმების დაცვა ადამიანური ურთიერთობის ყველა სფეროში და ყოველთვისაა სავალდებულო.

ინგლისური და ქართული ბიზნეს წერილების შედარებისას გამოვლინდა შემდეგი მსგავსებანი:

ა) ბლანკის ქუდისა და რეკვიზიტების განლაგება იდენტურია;

ბ) ყველაზე ხშირად ხმარებული პირველი და ბოლო ფრაზები უმთავრესად იდენტურია;

გ) წერილის სათაურების განლაგება და მოცულობა ერთგვარია;

დ) გამოყოფილია აბზაცები, რომელთა პირველი წინადადება თემატურია;

ე) იდენტურია ოფიციალური სტილისათვის დამახასიათებელი ენობრივი ნორმების ხმარება;

ვ) მსგავსია ხელმოწერის ფორმატი.

განსხვავება ინგლისურ და ქართულ ბიზნეს წერილებს შორის შემდეგში მდგომარეობს:

ა) მისამართსა და თარიღში;

ბ) მიმართვის ფორმასა და პუნქტუაციაში;

გ) წინადადებაში შემავალ სიტყვათა რაოდენობაში; ინგლისური წინადადებები ჩვეულებრივ უფრო ლაკონურია, ქართული კი მრავლსიტყვიანობით ხასიათდება;

დ) აბზაცების ვიზუალურ მხარეში. ინგლისურ წერილებში აბზაცები ინტეკვალით გამოიყოფა, ქართულში – შეწეული ხაზით.

ე) დამატებითი ელემენტების (cc, enc, ასლი) განლაგებაში.

## § 2. ინგლისური და ქართული შინაურული წერილების ეტიკეტის ზოგიერთი ლინგვისტური მახასიათებელი

მოცემულ ქვეთავში განვიხილავთ ლინგვისტური ეტიკეტის ნორმებს ინგლისურ და ქართულ ენებზე წარმოებულ შინაურულ მიმოწერაში.

შინაურული წერილები, ბიზნეს წერილების მსგავსად, თემატური მრავალფეროვნებით ხასიათდება. შინაურული წერილები იწერება მაგალითად მოკითხვის, მადლობის გადახდის, სიახლის შეტყობინების, ყურადღების, მეგობრული დამოკიდებულების გამოხატვის, სათხოვარის ან რჩევის თხოვნა-მიცემის მიზნით და ა.შ.

შინაურულ წერილებშიც სავალდებულოა ეტიკეტის ნორმების დაცვა, რაც ხელს უწყობს წარმატებული კომუნიკაციის განხორციელებას.

დაკვირვებამ ცხადჰყო, რომ შინაურულ წერილებს აქვთ გარკვეული სტრუქტურა, ისინი ძირითადად შეიცავენ შემდეგ კომპონენტებს:

1. გამგზავნის (ადრესანტის) მისამართი
2. თარიღი
3. მიმართვა
4. წერილის ტანი: ა) შესავალი (პირველი აბზაცი)  
ბ) ძირითადი ნაწილი (მეორე, მესამე, მეოთხე და შემდგომი აბზაციები)  
გ) დასასრული (ბოლო აბზაცი)
5. დამამთავრებელი ფრაზა
6. გამგზავნის სახელი (ხელმოწერა)
7. პოსტსკრიპტუმი P.S. (რაც ყოველთვის არ გვხვდება)

განვიხილოთ თოთოეული კომპონენტი:

- 1.

ინგლისურენოვან შინაურულ წერილებში წერილის გამგზავნის მისამართი არა მარტო კონვერტზე, არამედ წერილის ფურცელზეც, მარჯვენა ზედა კუთხეში უნდა იყოს მითითებული შემდეგი თანმიმდევრობით: გამგზავნის სახელი და გვარი (თუმცა ეს სავალდებულო არაა), ბინის, სახლის ნომერი, ქუჩის დასახელება, ქალაქის ფოსტის ინდექსი (კოდი), ტელეფონი (არ არის სავალდებულო და ხშირად არ მიუთითებენ) და თარიღი (რიცხვი, თვე, წელი). შესაძლოა სრული მისამართის ნაცვლად მიუთითოთ მხოლოდ ქალაქი (ან სოფელი) თარიღთან ზევით, ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო საფოსტო კოდის მითითება, თუმცა უმჯობესია მიუთითოთ.

ქართულ შინაურულ წერილებში მისამართი მხოლოდ კონვერტზე უნდა იყოს მითითებული. წერილის ფურცელზე გამგზავნის მისამართი არ იწერება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისამართში ჯერ ქალაქის საფოსტო კოდს (ინდექსს) შემდეგ ქუჩის დასახელებას, სახლის, ბინის ნომერს მიუთითებენ და ბოლოს წერილის მიმღების სახელს. მაგ.:

- ***53 West End Avenue***  
***Pinner. Middx : HA5IBN***  
***Tel: 01-866 1822***  
***I ... S... (სახელი და გვარი)***
  
- ***Flat A (side entrance)***  
***25 st. Quntin Avenue***  
***London WIDONX***  
***14 th December, 1986***  
***S... C... (სახელი და გვარი)***
  
- ***D... B...***  
***Niderwald str. 14***  
***Tel.: (06121) 80 52 71 62***  
***Wiesbaden***  
***18.04.90***

- *ქ. თბილისი 380008*  
*ც. დადიანის №313*  
*ბინა №5*  
*ა. . ბ. . . (სახელი და გვარი)*

2.

ინგლისურ შინაურულ წერილებში თარიღი წერილის ფურცელზე მისამართის ქვეშ იწერება ძირითადად შემდეგი ფორმით:

*Saturday, March 1<sup>st</sup>, 1985*

*Tuesday, June 14<sup>th</sup>, 1986*

ასევე:

*9<sup>(th)</sup> September, 1985*

ან

*9.09.1985*

წელი შეგვიძლია არც მიუთითოთ შინაურულ წერილებში. ჩვენს ხელთ არსებულ შინაურულ წერილებში მოიძებნა ისეთი შემთხვევები, როდესაც მისამართი დაბეჭდილია წერილის ფურცელზე ზედა ცენტრალურ მონაკვეთში, ხოლო თარიღი და წერილი ხელით არის დაწერილი. საინტერესოა, რომ ხელნაწერი მეტი პატივისცემის გამოხატველია, ვიდრე ნაბეჭდი ტექსტი.

ქართულ შინაურულ წერილებში თარიღი მითითებულია წერილის ფურცლის მარჯვენა ზედა კუთხეში, ან წერილის ტექსტის ქვევით შემდეგი ფორმით:

*20 ივლისი 1999*

*2 ოქტომბერი 98*

ან

23.01.97

3.

მისამართის და თარიღის მითითების შემდეგ ინგლისურ შინაურულ წერილებში ფურცლის მარცხენა მხარეს, წერილის ტექსტის ზემოთ იწერება შემომყვანი ფრაზა :

**Dear + სახელი +,**

ასევე

**My dear + სახელი +,** ( რაც ძირითადად ბავშვებისადმი / უმცროსისადმი  
უფროსების მიმართვისას გვხვდება )

ან

**My very very dear + სახელი +,**

ხშირად სახელის ნაცვლად ვხვდებით მიმართვას **friend** ;

მაგ.:

**My dear friend,**

სასიყვარულო წერილების შემთხვევაში , მიმართვის ფორმები განსხვავდება სხვა შინაურული წერილების მიმართვის ფორმებისაგან ძირითადად იმ მახევენებით , რომ წერილის დასაწყისში ადრესანტი საკუთარ განსაკუთრებულ , ორიგინალურ მიმართვის ფორმებს ირჩევს, რომელშიც დიდ სიბოძს , სიყვარულს აქსოვს, მაგალითად :

- **My darling + სახელი + !**
- **My dearest + სახელი + !**
- **My beloved + სახელი + !**
- **My love + სახელი + !**
- **My sweetheart + სახელი + !**
- **My angel + სახელი + !**



ქართულ შინაურულ წერილებში ფურცლის მარცხენა მხარეს, ან ფურცლის დასაწყისში, წერილის ტექსტის ზევით, შუაში იწერება ფრაზა:

*ჩემო საყვარელო + სახელი + !* ან

*ჩემო + სახელი + !*

ასევე ხშირია ფორმა:

*ჩემო ძვირფასო + სახელი კინობით ფორმაში/ან ზედმეტსახელი + !*

მაგ.:

*ჩემო პუსი-პუსი!*

*ჩემო საყვარელო მარიკუნა!* – რაც უფრო მეტი სიტბოს გამოხატველია, ვიდრე *ჩემო + სახელი + !*

ქართულ სასიყვარულო წერილებშიც, მსგავსად ინგლისურისა ვხვდებით შემდეგ ფრაზებს წერილის დასაწყისში :

- *საყვარელო+ სახელი + !*
- *ჩემო ანგელოზო+ სახელი + !*
- *ჩემო სიცოცხლე+ სახელი + !*
- *ჩემო უსაყვარლესო + სახელი + !*
- *ჩემო უძვირფასესო+ სახელი + !*

და ა.შ.

ინგლისურ და ქართულ სასიყვარულო წერილებში „როგორც ვხედავთ ხშირად იწერება ნაცვალსახელი “My” , „ ჩემო “ შემომყვან ფრაზაში.

#### 4.

შინაურული წერილების მეოთხე კომპონენტი წერილის შესავალია, სადაც უმეტეს შემთხვევაში წერილის გამგზავნი მადლობას უხდის წინა წერილისათვის წერილის ადრესატს და მოიკითხავს მას, ან კი ბოდიშს იხდის თუ დააყოვნა საპასუხო წერილის მიწერა, ან უბრალოდ, პირდაპირ სიახლეს აცნობებს მოკითხვის შემდეგ.

საპასუხო წერილის მიწერის შემთხვევაში ინგლისური შინაურული წერილების დასაწყისში, უმეტესად ვხვდებით შემდეგ ფრაზებს :

- *Thanks for your letter...*
- *Many thanks for you letter...*
- *Thank you for your letter...*
- *Thank you so much for your letter / kind note...*
- *What a pleasant surprise I had on 15<sup>th</sup> January, when I received a letter from you...*

თუ წერილი საპასუხოდ არ იწერება, მაშინ წერილის შინაარსიდან გამომდინარე უმეტესად გვხვდება განსხვავებული შესავალი ფრაზები, მაგ:

- *How long it seems since I last wrote to you.*
- *How are you all?*
- *It is now 11<sup>th</sup> October, so there has been a very long pause...*
- *I must apologize for not writing....*
- *I really should have written sooner...*
- *I'd like to apologize for...*
- *It's such a long time since we last met , so...*
- *How are you? I do hope things are well and that you are continuing to make great things out of all your work and effort...*
- *It was good to hear from you last week, even though our conversation was very brief...*
- *How are you? I suppose that you'll get this letter after your return from Lake Baikal...*

- *First of all, how are you? How is your Mother? I hope she is completely well now.*
- *How are you? I hope you and your family had a restful but enjoyable New Year! Where did you spend it, at home or with friends?* და ა.შ.

ქართული შინაურული წერილების პირველი ფრაზები, მსგავსად ინგლისური შინაურული წერილებისა, წერილის შინაარსის მიხედვით განსხვავებულია, მაგ.:

- *შენმა წერილმა ძალიან გამახარა.*
- *პირველ რიგში / უპირველეს ყოვლისა მინდა გითხრა, რომ ძალიან მენატრები.*
- *ამ წერილს სასტუმროდან გწერ, ამიტომ წინასწარ ბოდიშს ვიხდი რომ ლამაზ ფურცელზე არ არის დაწერილი.*
- *მიხარია, რომ საშუალება მომეცა X-ის საშუალებით სწრაფად მომეწვდინა შენთვის ეს წერილი.*
- *როგორ ხარ? სწრაფად მიწევს წერა და ბოდიში, რომ ლამაზად ვერ ვწერ.*
- *დიდი ხანია თქვენგან არაფერი მსმენია, როგორ ხართ? ხომ ყველაფერი მშვიდობიანად მიდის თქვენს ცხოვრებაში?*
- *მივიღე შენი ამანათი და ძალიან გამიხარდა, დიდი მადლობა ყველაფრისთვის.*
- *ამ წერილს ხვალვე წავიღებ ფოსტაში, რომ სასწრაფოდ მოვიდეს.*
- *ძალიან, ძალიან, ძალიან მენატრებით, ერთი სული მაქვს როდის ვნახავთ.*
- *მაპატიე რომ შენთვის კარგა ხანია წერილი არ მომიწერია, მაგრამ ამას თავის მიზეზები აქვს.*
- *რომ იცოდე რა კარგ დროს მივიღე შენი წერილი, ძალიან გამახარე, მადლობა.*

## 5.

შესავალ ნაწილს, სადაც როგორც ვნახეთ, პირველი ფრაზა შინაარსის მიხედვით განსხვავებულია, მოსდევს წერილის ძირითადი ნაწილი, რომელიც როგორც ინგლისურ ასევე ქართულ შინაურულ წერილებში რამდენიმე თემატურად განსხვავებული აბზაცისგან შედგება და მასში სიტყვების რაოდენობა მკაცრად განსაზღვრული არ არის. ინგლისურ წერილებში აბზაცი შეწყვეტილი ხაზით და/ან ინტერვალით გამოიყოფა, ქართულში კი მხოლოდ შეწყვეტილი ხაზით.

ძირითადი ნაწილი ორივე ენაში წერილის ყველაზე დიდი ნაწილია და მთავარ სათქმელს მოიცავს. წერილის რეგისტრის მიხედვით ლექსიკა როგორც ინგლისურში ასევე ქართულში შინაურულია, რაც გამოიხატება ყოველდღიური-შინაურული ფრაზების თუ შემოკლებების ხშირ ხმარებაში.

შინაურულ წერილებში ვხვდებით შემოკლებულ, შეკვეცილ ფორმებს, რაც საქმიან წერილებში ეტიკეტის მიხედვით მიუღებელია. მაგ.: შემოკლებების *don't / we've / well, I'm ...* და მსგავს ფორმებს ვერ შევხვდებით საქმიან წერილებში, ხოლო შინაურული წერილები ამგვარი შემოკლებების სიუხვით ხასიათდება.

შინაურულ წერილებს, საქმიანი წერილებისგან განსხვავებით არ ახასიათებთ მრავალსიტყვიანი და რთული წინადადებების გამოყენება. შინაურულ წერილებში ძირითადად თხრობის, ნარატიული სტილისთვის დამახასიათებელი ნიშნები სჭარბობს, შესაბამისად წინადადებები ორივე ენაში ძირითად წარსულ დროშია. თუმცა რა თქმა უნდა ყოველთვის არა, რადგან ხშირია როდესაც წერილის ავტორი წერილის წერის დროს მიმდინარე ამბებზე ან სამომავლო გეგმებზე წერს. აქვე უნდა ითქვას, წერილის ავტორი მის ადრესანტს შინაურულად მიმართავს, ხშირად მისი სახელის კინობით ფორმასაც იყენებს და სათქმელს შინაურული ლექსიკით გამოხატავს.

## 6.

შინაურული წერილების ძირითად ნაწილს ორივე ენაში დასასრული ანუ დასკვნითი ნაწილი მოსდევს. დასკვნითი ნაწილი წერილის ბოლო აბზაცია.

ორივე ენაში შინაურული წერილების დასკვნაში ძირითადად, სამომავლო სურვილების და დამშვიდობების გამომხატველი ფრაზები იწერება, მაგ.:

- *Anyway, I hope this letter proves legible and understandable!*

- *The sentiments are warm. They do remember Georgia with much affection and are hoping to return soon.*
- *Please, give my best regards to your mother, and to everyone else - especially...*
- *Do phone or write to let me know if I can be of help.*
- *Now I must end this long letter, my kindest regards to your mother and to you.*
- *I shall endeavor to be a better correspondent in the future. Look after yourself.*
- *I'd better run or the post office will close, greetings to everyone, especially your mother.*
- *Thanks for all your help with... Have a good year and please relax more... My best to your mother.*
- *I'm looking forward to seeing you.*
- *Don't forget me.*
- *I hope you're keeping well.*

- აბა შენ იცი, თავს მიხედვ, ერთი სული მაქვს თუ როდის გნახავთ ყველას.
- მოკითხვა გადაეცი ჩემგან X-ს და Y-ს.
- X-ს და Y-ს დიდი მოკითხვა გადაეცი ჩემგან / ჩვენგან.
- ძალიან გვენატრებით ყველანი და საქართველო.
- დროა გავიქცე, X-ი სკოლიდან მოვიყვანო. აბა გოცნი ბევრს და მომიკითხე ბებიკო.
- იმედია სურათები მოგეწონებათ. კიდევ დაგბეჭდავ და გამოგიგზავნი ყველასთვის ცალ-ცალკე. გოცნით ყველას.
- იმედია მალე გნახავთ და მოგეფერებით, მანამდე კი გოცნით ბევრს, ბევრს. მენატრებით.
- ვიმედოვნებ სურვილი მალე ამიხდება და მალე გნახავთ. გოცნით.
- დღეებს ვითვლი, მოუთმენლად ველი შეხვედრას. გოცნით ყველას.
- მომიკითხე ყველა ვისაც ვახსოვარ. ყველანი მიყვარხართ. გოცნით.

როგორც ვხედავთ ინგლისურ და ქართულ შინაურულ წერილებში, წერილის ავტორი დასკვნით აბზაცში უმეტესად მოკითხვას და შემდგომი შეხვედრის სურვილს გამოხატავს, სიტბოს ავლენს.

## 7.

დასკვნით აბზაცს კეთილი სურვილების გამომხატველი, დამამთავრებელი ფრაზა მოსდევს, რომელიც წერილის ტექსტის ქვემოთ დასკვნის შემდეგ, როგორც მარცხნივ ან მარჯვნივ, ისე ცენტრალურ მონაკვეთში შეგვიძლია მოვათავსოთ.

ინგლისურ და ქართულ შინაურულ წერილებში ძირითადად შემდეგი დამამთავრებელი ფრაზები გვხვდება:

- *Yours + წერილის ავტორის სახელი*
- *Yours truly + წერილის ავტორის სახელი*
- *Best Wishes + წერილის ავტორის სახელი*
- *All the best + წერილის ავტორის სახელი*
- *Lots of love + წერილის ავტორის სახელი*
- *Much love + წერილის ავტორის სახელი*
- *Every possible good wish + წერილის ავტორის სახელი*
- *My very best wishes + წერილის ავტორის სახელი*
- *Love from + წერილის ავტორის სახელი*
- *Kindest regards + წერილის ავტორის სახელი*
- *Yours ever + წერილის ავტორის სახელი*
- *Yours devoted + წერილის ავტორის სახელი*
- *Yours with love + წერილის ავტორის სახელი*
- *Affectionately yours + წერილის ავტორის სახელი* და ა.შ
  
- *სიყვარულით + წერილის ავტორის სახელი*
- *მუდამ შენი + წერილის ავტორის სახელი*
- *შენი. . . + წერილის ავტორის სახელი*
- *თქვენი. . . + წერილის ავტორის სახელი*

- *გოცნი ბევრს, შენი. . . + წერილის ავტორის სახელი*
- *საუკეთესო სურვილებით + წერილის ავტორის სახელი*
- *გოცნი ბევრს, ბევრს, არ დამივიწყო + წერილის ავტორის სახელი*
- *დიდი სიყვარულით + წერილის ავტორის სახელი*
- *შენი ერთგული + წერილის ავტორის სახელი*
- *შენი ერთგული გულშემბატოვარი + წერილის ავტორის სახელი და ა.შ*

სიყვარულისა და ერთგულების გამომხატველი ფრაზებით ხდება სასიყვარულო წერილების დასრულებაც, მაგალითად:

- *Your own loving. + წერილის ავტორის სახელი*
- *Your own + წერილის ავტორის სახელი*
- *Your for ever + წერილის ავტორის სახელი*
- *Yours + წერილის ავტორის სახელი*
- *სიყვარულით შენი + წერილის ავტორის სახელი*
- *მენატრები და მიყვარხარ + წერილის ავტორის სახელი*
- *გოცნი და გეხვევი + წერილის ავტორის სახელი*
- *შენი მოსიყვარულე + წერილის ავტორის სახელი*

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წერილის ბოლოს ინგლისურ ენაში, ქართულისგან განსხვავებით დამამთავრებელი ფრაზა **Kisses** ჩვენს მიერ შესწავლილ არც ერთ წერილში არ დაფიქსირდა, ქართულში კი ხშირად გვხვდება, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ რომ ეს ფრაზა ინგლისურ შინაურულ წერილებში არ იწერება და ასეთი ფორმით არ გამოიყენება.

## 8.

დასკვნით, კეთილი სურვილების გამომხატველ დამშვიდობების ფრაზის ქვევით წერილის ავტორის სახელი იწერება, იშვიათ შემთხვევაში, სახელი და გვარი. მაგ.:

- *With very best wishes*  
*David*
  
- *Yours*  
*Rudolf Löive*
  
- *Love from*  
*Mark*
  
- *Kindest regards*  
*Simon*
  
- *Every possible good wish*  
*Stephan*
  
- *საუკეთესო სურვილებით*  
*მერი*
  
- *შენი*  
*ნინო*
  
- *სიყვარულით და მონატრებით*  
*ვახო*
  
- *მუდამ შენი*  
*ქაპა*
  
- *გოცნი ბევრს, ბევრს*  
*ოთო*

9.

ხშირად წერილის ტექსტის ქვემოთ ვხვდებით მითითებას ***P.S. (Post scriptum)*** სადაც თავსდება მხედველობის არეღან გამორჩენილი ინფორმაცია.



უნდა აღინიშნოს, რომ მითითება **P.5.** ნაკლებად გვხვდება კომპიუტერით აკრეფილ წერილებში თანამედროვე შესაძლებლობებიდან გამომდინარე, თუმცა ინგლისურ და ქართულ შინაურულ ხელნაწერ წერილებში ეს მითითება საკმაოდ ხშირია.

როგორც ვხედავთ, ეტიკეტის ნორმების დაცვა სავალდებულოა, როგორც ინგლისურ ასევე ქართულ შინაურულ წერილებში, მიუხედავად იმისა, რომ შუნაურული წერილი უახლოესი ადამიანებისთვის იწერება.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ:

ინგლისური და ქართული შინაურული წერილების შედარებისას გამოვლინდა შემდეგი მსგავსებანი:

ა) შინაურული წერილები თემატური მრავალფეროვნებით ხასიათდება.

ბ) შინაურული წერილები მოიცავენ შემდეგ კომპონენტებს:

1. თარიღი
2. მიმართვა (მისალმება)
3. შესავალი (პირველი აბზაცი)
4. ძირითადი ნაწილი (შემდგომი აბზაცები)
5. დასასრული (ბოლო აბზაცი)
6. კეთილი სურვილების გამომხატველი ფრაზა
7. გამგზავნის სახელი
8. პოსტსკრიპტუმი (ყოველთვის არ გვხვდება)

გ) ლექსიკა შინაურულია (შემოკლებები, შინაურული ფრაზები)

დ) აბზაცების და სიტყვების რაოდენობა მკაცრად არაა განსაზღვრული.

ე) ბოლო აბზაცი ძირითადად მოკითხვას ეხება და შეხვედრის სურვილს გამოხატავს.

2. განსხვავება ინგლისურ და ქართულ შინაურულ წერილებს შორის შემდეგში მდგომარეობს:

ა) ინგლისურისგან განსხვავებით ქართულში გამგზავნის მისამართი არ იწერება წერილის ფურცელზე

ბ) ინგლისურ შინაურულ წერილებში შემომყვანი ფრაზა **Dear + პიროვნების სახელი +**, იწერება წერილის ტექსტის ზევით მარცხენა კუთხეში. ქართულში **ძვირფასო + პიროვნების სახელი + !** გვხვდება წერილის ტექსტის ზემოთ მარცხნივ ან ცენტრალურ ადგილას.

გ) შემომყვანი ფრაზის ბოლოს ინგლისურ ენაში დაისმის **,"** (მძიმე) ხოლო ქართულში **"'** (მახილის ნიშანი).

დ) აბზაცის ვიზუალური მხარე განსხვავებულია, ინგლისურ შინაურულ წერილებში აბზაცი გამოიყოფა შეწეული ხაზით და ინტერვალთ, ხოლო ქართულში მხოლოდ შეწეული ხაზით.

ე) ინგლისურ შინაურულ წერილებში დამამთავრებელ ფრაზაში არ გვხვდება სიტყვა **Kiss(es)**, ხოლო ქართულში ფრაზა „ **გოცნი (ბეერს)** " ხშირია.

ვ) დამამთავრებელი ფრაზის შემდეგ ინგლისურ შინაურულ წერილებში უმეტესად იწერება სახელი ან სახელი და გვარი, ხოლო ქართულ შინაურულ წერილებში მხოლოდ სახელი.

უნდა აღინიშნოს, რომ ნეიტრალური რეგისტრით დაწერილი წერილები არ დასტურდება არც ინგლისურში და არც ქართულში.

## თავი II

### ინგლისური და ქართული საქმიანი სატელეფონო საუბრების ზოგიერთი ლინგვისტური მახასიათებელი

ჩვეულებრივ ეტიკეტი განისაზღვრება, როგორც ადამიანთა თავაზიანი მანერების და ქცევის ნორმების ერთობლიობა შინ, სამსახურში, ტრანსპორტში და საერთოდ საზოგადოებაში. ენობრივი ეტიკეტი არის ამა თუ იმ სიტუაციაში სწორი ფრაზებისა და ენობრივი ფორმების ხმარების ხელოვნება.

თანამედროვე მსოფლიოში ხშირად მყარდება კონტაქტი სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს შორის. ამა თუ იმ ენაზე საუბრისას მნიშვნელოვანია სამეტყველო ეტიკეტის ნორმების ცოდნა და დაცვა. ნ. ი. ფონმანოვსკაია აღნიშნავს, რომ ურთიერთობის ეროვნული სპეციფიკით და სოციალურად განპირობებული სტერეოტიპები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ავირჩიოთ და გამოვიყენოთ ურთიერთობის ესა თუ ის ფორმა, როგორცაა ამა თუ იმ სიტუაციისათვის შესაფერისი მისაღება, დამშვიდობება, ბოდიშის მოხდა, მადლობის გადახდა, მილოცვა, სურვილების გამოთქმა, სხვადასხვა სახის თავაზიანი გამოთქმა, ენობრივი საშუალებების კეთილგანწყობილი დამოკიდებულების გამოვლენა მოსაუბრესთან / მსემენელთან არის ენობრივი ეტიკეტი. ( . . ., 96.)

ენობრივი ეტიკეტის დაცვა აუცილებელია, როგორც წერითი ისე ზეპირი მეტყველებისას. ზეპირი მეტყველებისას ამა თუ იმ სტერეოტიპისა თუ ენობრივი მახასიათებლის არჩევანი, ტრადიციულად, განპირობებულია მოსაუბრისა და მისი მსემენლის სოციალური სტატუსით, სოციალური როლით და მათი მიმართებით სხვა ფაქტორებთან (დრო, გარემო). ენობრივი ეტიკეტი მუდავნდება მეტყველებისას, მოსაუბრის მიმართვისას მსემენლისადმი ზეპირი თუ წერილობითი კომუნიკაციის დამყარების დროს. შევნიშნავთ, რომ ენობრივი ეტიკეტი საუბრის დაწყებისთანავე იჩენს თავს და გასტანს მთლიანი საუბრის მანძილზე. მისაღება, შესაფერისად ბოდიშის მოხდა, თხოვნა, მადლობის გადახდა, დამშვიდობება და და ა.შ. არის ენობრივი ეტიკეტის ის ელემენტები, რომელთაც პირველ რიგში ეუფლებიან ენის შესწავლისას, ვინაიდან ენობრივი

ეტიკეტი მოითხოვს მისი ნორმების ზედმიწევნით ზუსტად დაცვას. მას ვინც საქმიანი ურთიერთობისას იყენებს ქცევის კარგ, დახვეწილ მანერებს არის თავაზიანი, ეძლევა რეალური შესაძლებლობა განიმტკიცოს თავისი პოზიცია და შედეგად დიდი სარგებელი მიიღოს. (Roberts J., 52.) საქმიანი საუბარი წარმატებით წარიმართება როდესაც კომუნიკანტები იჩენენ კომპეტენტურობას, კეთილმოსურნეობას, ტაქტს და ცდილობენ საკითხის ორივე მხარისათვის მისაღებად მოგვარებას. ვინაიდან საქმიანი საუბრის მონაწილეები შეიძლება იყვნენ სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა საზოგადოებრივი მდგომარეობისა და სხვადასხვა კულტურის (ყოფის) წარმომადგენლები, მათი საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ენობრივი ეტიკეტის დაცვას. მაგალითად ინგლისურ ენაში ქართულისაგან განსხვავებით არ არის ფორმალური სხვაობა *“შენ” / “თქვენ”* ნაცვალსახელებს შორის, ორივე ნაცვალსახელს ინგლისურში ერთი (*you*) შეესატყვისება, ხოლო განსხვავებას შინაურულ და ოფიციალურ მიმართებებს შორის ქმნის ისეთი ფაქტორები როგორცაა ინტონაცია, შესაფერისი სიტყვებისა და კონსტრუქციების გამოყენება. მაგალითად:

1. *Excuse me, could you tell me the time please?*

2. *Hay you! What's the time?*

პირველ მაგალითში, ცხადია, მოსაუბრე გულისხმობს თავაზიანობის გამომხატველ ნაცვალსახელს *“თქვენ” (you)* რასაც ცხადყოფს თავაზიანობის გამომხატველი ენობრივი ელემენტები: *“excuse me”, “could”* და *“please”*, ხოლო მეორე მაგალითში მიმართვა შინაურულია. ეს ორი მაგალითიც ცხადყოფს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თავაზიანი ფორმების გამოყენება და ენობრივი ეტიკეტის ნორმების დაცვა მეტყველებისას, დაძაბული სიტუაციების და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

საქმიანი საუბრისას თავაზიანი უნდა იყოს არა მარტო საუბრის ტონი და ენობრივი ნორმები, არამედ ქუსტ-მიმიკაც თავაზიანობას უნდა გამოხატავდეს. თავაზიანობა შეხვედრისას, ინტერესი მოსმენისას, ყურადღება აზრთა გაცვლისას, თანაგრძნობა და ტაქტი კრიტიკის და შენიშვნის მიცემისას - ყველა ეს ფაქტორი უმნიშვნელოვანესია საქმიანი ურთიერთობისას.

ბიზნეს ეტიკეტის ყველა სახელმძღვანელო ხაზს უსვამს, რომ საქმიანი საუბრის ტონი უნდა იყოს მშვიდი, კეთილგანწყობილი, არასასურველია პრობლემის გადაწყვეტის შეუძლებლობის მცდელობით ან უარით საუბრის დაწყება, ვინაიდან ეს იწვევს უკუ რეაქციას, წარმოშობს კონფლიქტურ, დაძაბულ სიტუაციას. დაუშვებელია საქმიანი პარტნიორის საუბრის შეწყვეტინება ან საუბრისას სხვა საქმით დაკავება, ახალი საქმის წამოწყება. (Roberts J., 51.)

ადამიანთა ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს სატელეფონო საუბრებს. ენობრივი ეტიკეტის დაცვას აქაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც ცნობილია, ტელეფონი გამოგონილ იქნა გადაუდებელი და მნიშვნელოვანი საქმეების სწრაფად მოსაგვარებლად. ტელეფონის გამოყენებას თავისი წესები და გარკვეული ნორმები აქვს. ამ წესების დაცვა იწყება სატელეფონო ნომრის აკრეფისთანავე. უპირველეს ყოვლისა სწორად უნდა შევარჩიოთ საუბრის დრო, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საუბრის სასიამოვნოდ წარმართვისათვის. (Schlegloff E., 53.) საუბრის დასაწყისში შესაძლოა ვკითხოთ კიდევ მოსაუბრეს არის თუ არა მისთვის ეს დრო სასაუბროდ ხელსაყრელი. მაგალითად:

- *I'm not keeping you from anything, am I?*
- *Are you busy at the moment ? I'll just take few minutes !*
- *უკაცრავად ხომ არგაცდენთ?*
- *დაკავებული ხომ არ ბრძანდებით?*

სატელეფონო საუბარი სხვადასხვა მიზნით შეიძლება წარიმართოს. მიუხედავად იმისა რომ ყოველი საუბარი ინდივიდუალურია და განსხვავებულ საკითხებს ეხება, არსებობს ზოგადი წესები რომელთა დაცვა აუცილებელია.

მოსაუბრეთა სოციალური სტატუსისა და ურთიერთ დამოკიდებულების მიხედვით სატელეფონო საუბარი შესაძლოა ოფიციალურ, შუალედურ ან შინაურულ სიტუაციაში წარიმართოს.

მოცემულ თავში ყურადღებას შევაჩერებთ საქმიან (ოფიციალურ) სატელეფონო საუბრებზე და მათ მახასიათებლებზე, ასევე გამოვაკლენთ

მსგავსება—განსხვავებებს ინგლისურ და ქართულ სატელეფონო საქმიანი საუბრების მახასიათებლებს შორის.

საქმიანი სატელეფონო საუბარი გულმოდგინე მომზადებას მოითხოვს. საუბრისას უნდა გამოიკვეთოს მთავარი საკითხი, აზრი ლაკონურად და ნათლად უნდა იქნეს გადმოცემული, არა მარტო სხვა და სხვა კომპანიის წარმომადგენლებთან საუბრისას, არამედ თანამშრომლებთან საუბრის შემთხვევაშიც, რაც შესაბამისად სატელეფონო საუბრის დროს ამცირებს. (Irvine J.T., 33.) ინფორმანტებისაგან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით ხანგრძლივი სატელეფონო საუბარი ხშირად იწვევს მოსაუბრეთა შორის დაძაბულობას ან უსიამოვნო შეგრძნებას ტოვებს, ამიტომ საჭიროა ზომიერების დაცვა. თუ სატელეფონო საუბარი მცირე ხანს გაგრძელდა, ხოლო ინფორმაცია ნათლად და მკაფიოდ იქნა გადაცემული, შესაბამისად ბუნებრივია ურთიერთობის წარმატებით დასრულება.

პარტნიორის დაინტერესებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხმა, ტონი, ინტონაცია. დაუშვებელია ხმამაღლა საუბარი, მითუმეტეს საქმის წარმოების დეტალებზე, ასევე მიუღებელია ხმამაღლა სიცილი, შეუფერებელი ლექსიკის გამოყენება ტელეფონით საუბრისას. (Fisher C., 19.) ერთი შეხედვით შესაძლოა უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ ბიზნეს სახელმძღვანელოების უმეტესობა გვიჩვენებს საქმიანი სატელეფონო საუბარი ღიმილით დავიწყოთ, ვინაიდან ღიმილი ხმის ტონს საგრძობლად ცვლის და დადებით შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე.

პირველი სიგნალი სატელეფონო საუბრის დაწყებისა არის ზარი ტელეფონზე, შესაბამისად პირველი რეპლიკა წარმოითქმის ადრესატის მიერ. თუ რაიმე დაწესებულებაში, ორგანიზაციაში თუ კომპანიაში დავრეკეთ, მაშინ ადრესატი/მოპასუხე ორგანიზაციის სახელწოდებას ასახელებს:

***“ Hello British Council !”***

***“ სახანძრო გისმენო !”***

ხოლო თუ კომპანიის ან ორგანიზაციის თანამშრომელთან დარეკეთ ყურმილის ადებისას ადრესატი საკუთარ სახელს და გვარს თავად ასახელებს:

***“Tom Jenkins speaking”***

ხშირად მოპასუხემ ყურმილის ადებისას შესაძლოა საკუთარი ტელეფონის ნომერი დაასახელოს მაგალითად:

***“Exeter 78562”***

***”Portsmouth 658794”***

- თუმცა ესეთი შემთხვევები უფრო ნაკლებად გვხვდება, ქართულ ყოფაში კი, ყურმილის ადებისას ადრესატის მიერ ტელეფონის ნომრის დასახელება გაუგებრობას გამოიწვევს, ეტიკეტის ნორმის დარღვევა იქნება და შესაბამისად საუბარიც შეწყდება. იმ შემთხვევაში თუ ადრესანტმა ვერ გაიგო ადრესატის ნათქვამი, მიზანშეწონილია ადრესანტმა თავად იკითხოს და დააზუსტოს ინფორმაცია, მაგალითად:

- ***Is that Ritz Hotel?***
- ***Is that inquiry office?***
  
- ***უკაცრავად, კონტროლის პალატაა?***
- ***უკაცრავად, განათლების სამინისტროა?***

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფორმა ***“that”*** დამახასიათებელია ბრიტანული ინგლისურისათვის, ხოლო ***“this”*** ამერიკულისთვის. მას შემდეგ რაც ადრესატი დაასახელებს ორგანიზაციის ან საკუთარ სახელს, შესაძლოა ადრესანტმა დასვას შეკითხვა ფორმით:

- ***May I speak to Miss X please?!***
- ***I'd like to speak to Mr. X please?!***
- ***Mr. X please?!***
- ***Could I speak to Mr. X please?!***

- უკაცრავად ბატონ / ქალბატონ X-ს სთხოვეთ?!
- ეს და ეს მინდოდა!
- უკაცრავად გ..... ჩ.....-ს ვურეკავ!
- თუ არ შეწუხდებით ბატონ / ქალბატონ X-ს სთხოვეთ?!

თუ აღრესატი აღვიღზე არ არის თავაზიანი პასუხი შემდეგია:

- *I'm sorry he's out of the office at the moment, he'll be back in an hour.*
- *Mr. X is not here at the moment but he'll be back in....*
- *She's at the conference at the moment I'm afraid, who is calling please?*
- *ბატონი / ქალბატონი X გასულია ერთ საათში დაუკავშირდით!*
- *ბატონი / ქალბატონი X შეხვედრაზეა, რაზე ხომ არ გადავცე?*
- *ბატონი /ქალბატონი X ჯერ არ გახლავთ, ვინ კითხულობს?*

სადმე არასწორად დარეკვის შემთხვევაში, ინგლისში მიღებულია მოპასუხის მიერ წარმოთქმა ფრაზისა:

- *Sorry wrong number !*
- *I'm afraid you've got the wrong number !*
- *Wrong number I'm afraid!*
- *You must have the wrong number !*
- *ნომერი შეგეშალათ!*
- *სხვაგან მონგდით/სხვაგან ხედებით!*
- *ხელმეორედ დარეკეთ!*



ადრესატის მიერ თავისი თავის დასახელების შემდეგ, ადრესანტი ესაუბრება ადრესატს და ასახელებს საკუთარ სახელს და/ან მისი ორგანიზაციის სახელს. მაგალითად:

- *This is K..... B..... from British Airlines*
- *Hello Mr. White, my name is C..... from Ballston & Smith, the elevator manufacturers.*
- *გამარჯობათ ბატონო X, მე ვარ გ..... ჩ..... საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი.*

ხშირია შემთხვევა როდესაც ადრესატი არ არის ადგილზე, ამიტომ მისთვის ტოვებენ შეტყობინებას ფრაზით:

- *Can I leave the message please?*
- *Could I leave the message please?*
- *შეგიძლიათ გადასცეთ რომ .....*
- *თუ არ შეწუხდებით გადაეცით რომ .....*

ან შეიძლება მოპასუხემ თავად იკითხოს:

- *Would / Could you leave the message please?*
- *Should I take your message please?*
- *რა გადაეცე?*
- *ვინ კითხულობს?*
- *რამე ხომ არ გადაეცე?*

ადრესანტმა შეიძლება სახელი არ დაასახელოს თუ მას ზოგადი (ყველასთვის მისაწვდომი) ინფორმაციის მოპოვება სურს. მაგალითად:

*adresati: -Citizen's Advise Bureau!*

*adresanti: -Hello I'd like some advice about a dispute with .....*

*adresati: -გამარჯობათ! ოპერატორი 65 გისმენთ !*

*adresanti: -გამარჯობათ მეცნიერებათა აკადემიის  
ტელეფონის ნომერი თუ შეიძლება?*

ხშირად რომელიმე ორგანიზაციაში დარეკვისას თუ სხვა განყოფილებასთან დაკავშირებაა საჭირო საუბარი ასე უნდა წარიმართოს:

*adresati: \_ British Steel Corporation!*

*adresanti: \_ Data room, please!*

*adresati: - I'll put you through.*

*adresati: \_ საერთაშორისო სახლი გისმენთ!*

*adresanti: \_ წიგნის მაღაზიასთან შემაერთეთ / დამაკავშირეთ  
თუ შეიძლება?*

*adresati: \_ მითითინეთ / ესაუბრეთ!*

როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ეოფაში მიზანშეწონილია ყურმილის ადებისას ადრესანტი და ადრესატი მიესალმონ ერთმანეთს.

*adresati: - Good morning! TV Productions limited, Beverly Hills  
speaking, how can I help you?*

*adresanti: \_ Good morning! this is C.K.*

*adresanti: -საღამო მშვიდობისა ბატონო X, კიდევ ერთხელ  
მიწევს თქვენი შეწუხება .*

*adresati: \_სადამო მშვიდობისა .....*

ორგანიზაციაში დარეკვისას მიზანშეწონილია მდივანმა მისაღმების და ორგანიზაციის დასახელების შემდეგ იკითხოს:

- *Who is calling?*
- *Who's speaking?*
- *Who shall I say is calling?*
  
- *ვინ კითხულობს?*
- *რა გადაეცე ვინ რეკავს?*

პასუხი იქნება:

- *Good morning this is Mr. X, could I speak to Mr. X please?*
- *გამარჯობა მე ბატონი X ვარ, ბატონ X-ს სთხოვეთ?*

თუ ტელეფონს თავად ადრესატი პასუხობს მოსალოდნელია პასუხი:

- *Speaking!*
- *X speaking !*
- *გისმენთ !*
- *მე გახლავართ !*

თუ მოპასუხემ ადრესატს მოუხმო ტელეფონთან, მაშინ იგი წარმოთქვამს შემდეგ ფრაზას:

- *Could you hold on a minute?*
- *Hold on a minute please!*
- *Will you hang on?!*
- *I'll put you through!*

- *მოითმინეთ!*
- *ერთი წუთი მოითმინეთ!*

ეტიკეტის მიხედვით სხვის ნაცვლად ტელეფონზე პასუხისას ჯერ უნდა დასახელდეს კომპანია ან განყოფილება, შემდეგ იმ პიროვნების სახელი და გვარი ვის ნაცვლადაც პასუხობენ, რასაც უნდა მოჰყვეს დახმარების შეთავაზება. მაგალითად:

- *Good morning, military accessories Ltd., Jenny Roll's desk, can I help you?*
- *Dr. X's office, may I help you?*

საუბრის დასრულებისას ხშირად ამბობენ ფრაზას:

- *Thank you, good bye!*
- *I think we've agreed!*
- *We'll keep in touch!*
- *Thank you for your assistance!*
- *ვიმედოვნებ მოვილაპარაკეთ!*
- *ნახვამდის! კარგად ბრძანდებოდეთ!*
- *ღროებით! ველოდები თქვენს ზარს!*
- *გმადლობთ! კარგად ბრძანდებოდეთ!*
- *დიდი მადლობა ბატონო X თანამშრომლობისათვის!*

ყველა ზემომოყვანილი ფრაზა გამოყენების სიხშირის გამო მიიჩნევა სტანდარტულ და ფიქსირებულ ფრაზებად, რომლებიც ემსახურება თავაზიანობის და კეთილგანწყობის გამოხატვას სატელეფონო საუბრისას. როგორც წესი სატელეფონო საუბარი უნდა დასრულდეს ისეთი შეკითხვით რომელიც პარტნიორისაგან არაორაზროვან, კონკრეტულ პასუხს მოითხოვს. უნდა აღინიშნოს რომ საუბარს ასრულებს ის ვინც დარეკა ანუ ადრესანტი. თუ სატელეფონო საუბარი ტექნიკური მიზეზის გამო მოულოდნელად შეწყდა მაშინ ხელმეორედ ისევ იმ ადამიანმა უნდა დარეკოს, ვინც პირველად დარეკა.

სატელეფონო საუბრებში ხშირად არაპირდაპირი შეკითხვები გამოიყენება თავაზიანობის გამოსატყვის მიზნით:

- *I'd like some information about a flight arriving from ....*
- *Could you tell me what the flight number is?*
- *Could you tell me what time it gets in?*
  
- *თუ არ შეწუხდებით, ხომ ვერ მეტყვოდით ..... ,*
- *ხომ არ შეგაწუხებთ, რომ გთხოვოთ .....*

ამგვარი არაპირდაპირი შეკითხვები აუცილებელი ატრიბუტია საქმიანი სატელეფონო საუბრისათვის.

საქმიანი სატელეფონო საუბრებზე დაკვირვებისას გამოვლინდა, რომ თავაზიანობის გამომჟღავნებისა და ეტიკეტის ნორმის დაცვის მიზნით სატელეფონო საუბრებში ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი ფრაზები

*Could you* { *take a message*  
*report that*  
*read that back to me*  
*put me through to...*  
*give me the address* } *please?*

*Could I* { *leave a message*  
*have extension 103*  
*speak to Mr. X..*  
*check over that again!* } *please?*

*I'm hoping* { *to see if you could attend a meeting on  
about an appointment  
to confirm our meeting  
for some information  
about your advertisement* } *please!*

- შეგიძლიათ გადასცეთ...?
- გთხოვთ გადაეცით, რომ ...
- ხომ ვერ დამაკავშირებდით...?
- დამაკავშირეთ გეთაყვა !
- შეგიძლიათ გამომეოროთ?
- უკაცრავად გამიმეორეთ თუ შეიძლება?!
- შეგიძლიათ შეამოწმოთ?

გარდა ამისა სატელეფონო საუბრებში შესაძლოა ოფიციალური წერილობითი სტილისათვის დამახასიათებელი ფრაზებიც მოვისმინოთ, მაგალითად:

- *You will be pleased to know that he has been able to confirm what he said in his original report a week ago...*
- *I would like to inform you about... ,*
- *მოუთმენლად ველი თქვენთან შეხვედრას ,*
- *გაცნობებთ, რომ ,*
- *წარმატებას გისურვებთ და ველი საბოლოო... ,*
- *დიდი მადლობა თანამშრომლობისათვის .*

უნდა აღინიშნოს, რომ საქმიანი სატელეფონო საუბრის დროს ინფორმაციის მოპოვების შემდეგ მადლობას რამდენიმე განსხვავებული ფრაზით პასუხობენ:

- *Not at all !*
- *That's all right !*
- *Pleased to help !*
- *Glad to be of assistance !*
- *You are very welcome!*
- *You are welcome !*
  
- *არაფრის !*
- *რას ბრძანებთ !*
- *მონხარული ვარ დაგეხმაროთ !*
- *როგორ გეკადრებათ, სამადლობელი არაფერია!*

თუმცა, მადლობის შემდეგ სატელეფონო საუბრისას არ არის სავალდებულო რომელიმე საპასუხო ფრაზის წარმოთქმა.

ენობრივი ეტიკეტის ნორმების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. კომპანიებისათვის, მომუშავე პერსონალის მიერ არასწორად წარმოებულმა სატელეფონო საუბრებმა შეიძლება დიდი ფინანსური ზარალი გამოიწვიოს, ამიტომ კომპანიები საგანგებოდ წრთვნიან თანამშრომლებს რათა მათ ჰქონდეთ ტელეფონით საქმის სწორად წარმოების ჩვევა. (სატელეფონო მოლაპარაკება, პრეტენზიულ/აგრესიულ მომხმარებელთან სათანადო საუბარი, სწრაფად და თავაზიანათ ინფორმაციის მიწოდება–მოპოვება, მიმართვის სწორი ფორმა და ა.შ.) ცნობილია რომ ცუდ მომსახურებას გაცილებით მეტი ზარალი მოაქვს ვიდრე უხარისხო პროდუქციას. (Fisher C., 19.)

სატელეფონო საუბრებისას ნებისმიერ კომენტარს თუ ფრაზას, რომელსაც მოსაუბრეები წარმოთქვამენ, როგორც ინგლისურ ასევე ქართულ ენებში შესაბამისად თან სდევს მსმენელის რეაგირება, საუბარი იმის მიხედვით წარიმართება თუ როგორი დამოკიდებულება გაუჩნდება მსმენელს მოსაუბრის მიერ წარმოთქმული ფრაზის მიმართ, საქმიანი სატელეფონო საუბარი მოითხოვს ოფიციალურ და კეთილგანწყობილ ტონს, შესაბამისად მოსაუბრეთა მიერ გამოყენებული ლექსიკაც ოფიციალური და კეთილგანწყობილი უნდა იყოს, ვინაიდან თუ მოსაუბრეები ერთმანეთს არც თუ ისე კარგად ან საერთოდ არ იცნობენ, ორივე მხარე ცდილობს საკუთარი ინტერესების დაცვას თავაზიანად და მოცემული სიტუაციისათვის შესაბამისად.

როგორც ვხედავთ სატელეფონო საუბრისას ენობრივი ეტიკეტი მქლავნდება გარკვეული კლიშე-ფრაზების და თავაზიანი ფორმების გამოყენებისას პარტნიორის მიმართ. თავაზიანი მიმართვის ფორმები დამოკიდებულია იმაზე თუ ვინ და ვის მიმართავს, კომუნიკანტთა ურთიერთობაზე. ეტიკეტის ენციკლოპედიის მიხედვით პირისპირ ურთიერთობის 50%-ზე მეტი, ხოლო სატელეფონო საუბრების 90% ხორციელდება ენობრივი საშუალებებით – სიტყვა, ინტონაცია, ტონი და ა.შ. ( , 101.) ლექსიკა და საუბრის ტონი გამოხატავს როგორც ადამიანის ხასიათს ასევე მისი შინაგანი კულტურის დონეს. ხმამაღალი, მედიდური საუბარი შეურაცხყოფს პარტნიორს. დაუშვებელია ისეთი ფრაზების გამოყენება, რომელიც მორალურად შეურაცხყოფს პარტნიორს, პირდაპირ და უარყოფით შეფასებებს თავი უნდა ვარიდოთ, უნდა გავითვალისწინოთ მოსაუბრის ასაკი, სქესი, სოციალური სტატუსი, სამსახურეობრივი მდგომარეობა და შესაბამისად მივმართოთ მას.

ტელეფონით საუბრისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ აზრის გადმოცემისას პაუზიდან პაუზამდე შუალედი უნდა იყოს 45 წამიდან 1 (1.5) წუთამდე. სატელეფონო საუბრისას მოკლე ფრაზები და წინადადებები უნდა გამოვიყენოთ, რომ გავუადვილოთ მოსაუბრეს აზრის აღქმა და სათანადო რეაგირება. დაინტერესება, კეთილგანწყობა, თავაზიანობა ხმის და ლექსიკის საშუალებით უნდა გამოვხატოთ, ამიტომ მონოტონურობა ან გადამეტებული ვარირება ინტონაციისა მიუღებელია.

ამგვარად, ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე წარმოებულ საქმიანი სატელეფონო საუბრებისთვის არსებობს ეტიკეტით გათვალისწინებული ნორმები და გარკვეული მოთხოვნები. ლინგვისტური ეტიკეტის ენობრივი ნორმების დაცვას საქმიანი სატელეფონო საუბრისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქმის წარმატებულად წარმოებისათვის.

ინგლისური და ქართული საქმიანი სატელეფონო საუბრების შეპირისპირებისას გამოვლინდა შემდეგი მსგავსებანი:

- ა. ხანგრძლივი საუბრის არასასურველობა.
- ბ. ინფორმაციის ნათლად და მკაფიოდ გადმოცემის აუცილებლობა.
- გ. ყურმილის ალებისას ადრესანტისა და ადრესატის მისაღმება.



- დ. ოფიციალური სტილისათვის დამახასიათებელი ენობრივი ნორმები და თავაზიანობის გამომხატველი ფრაზები.
- ე. ოფიციალური წერილობითი სტილისათვის დამახასიათებელი ფრაზებისა და არაპირდაპირი შეკითხვების გამოყენება.
- ვ. აზრის გადმოცემისას პაუზიდან პაუზამდე შუალედის ხანგრძლივობა.
- თ. ჯერობა.
- ი. ადრესანტის მიერ იდენტიფიკაციის თავისებურება ორგანიზაციაში ზოგადი ინფორმაციის მოსაპოვებლად დარეკვისას.
- კ. საუბრის დასრულების თავისებურებანი.

ინგლისურ და ქართულ საქმიან სატელეფონო საუბრებს შორის განსხვავება შემდეგში მდგომარეობს:

- ა. ადრესატის/მოპასუხის მიერ საკუთარი ტელეფონის ნომრის დასახელება, ინგლისურში მოპასუხე ასახელებს საკუთარ ტელეფონის (ახლა შედარებით ნაკლებად) ნომერს, ქართულში – არა.
- ბ. სატელეფონო საუბრისას დახმარების შეთავაზება: ინგლისურში მოპასუხის მიერ მისალმების, ორგანიზაციის დასახელების, ვინაობის იდენტიფიკაციის შემდეგ მიზანშეწონილია დახმარების შეთავაზება, ქართულ ეოფაში მისალმების, ორგანიზაციის დასახელების, ვინაობის იდენტიფიკაციის შემდგომ არ სთავაზობს დახმარებას ადრესანტს.

ვფიქრობთ, საქმიანი სატელეფონო საუბრების მახასიათებლების მსგავსებათა სიმრავლე ცხადყოფს, რომ სამეტყველო ეტიკეტის ნორმები საქმიანი ურთიერთობებისათვის მეტწილად საერთოა ინგლისური და ქართული ეოფისათვის.

### თავი III

## სამეტყველო ეტიკეტის ზოგიერთი მახასიათებელი სასაუბრო ინგლისურსა და ქართულში

როგორც ცნობილია საუბრები (დიალოგი/პოლილოგი) ადამიანის ვერბალური კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი ფორმაა. აზრი იმის შესახებ, რომ თუ პიროვნებას გაუთავებლად შეუძლია ლაპარაკი, ე.ი. იგი კარგად ფლობს საუბრის ხელოვნებას, მცდარია. კარგი მოსაუბრე ის არის ვინც მოსმენის ხელოვნებასაც ფლობს, მოსაუბრეს აძლევს აზრის გამოთქმის საშუალებას. საუბრის ხელოვნებაა, როდესაც მოსაუბრემ იცის რაზე და როდის ილაპარაკოს, ასევე როდის და რამდენ ხანს გაჩუმდეს და მოუსმინოს (ჭიპაშვილი პ., 126.)

ლინგვისტური ლიტერატურის მიხედვით საუბარი არის ენის ბუნებრივი გამოყენების ფორმა ყოველდღიურობაში, როცა ორი ან მეტი მონაწილე ძალდაუტანებლად, მაგრამ სოციალურად მოწესრიგებული წესების დაცვით ენაცვლება ერთმანეთს საუბრის მსვლელობაში.

დიალოგური მეტყველების ძირითადი ფუნქციაა საკომუნიკაციო, ანუ ერთი ადამიანის მიერ მეორესთვის ინფორმაციის გადაცემა, თუმცა საუბარს შეიძლება ჰქონდეს ფატიკური ანუ კონტაქტის დამამყარებელი ფუნქციაც, თბილი მეგობრული ატმოსფეროს შექმნის მიზნით. მაგ: მისალმება, მოკითხვა, დალოცვა, ქათინაური, ბოდიშის მოხდა, მადლობის გადახდა და სხვა.

წინამდებარე თავში განვიხილავთ სხვადასხვა სიტუაციაში წარმოებული საუბრის ზოგიერთ მახასიათებელს ინგლისური და ქართული ენების მასალაზე და დავადგენთ მათ შორის მსგავსება-განსხვავებებს.

დიალოგურ მეტყველებას აქვს სტრუქტურა: დასაწყისი, ძირითადი ნაწილი, დასასრული, ენობრივი და არაენობრივი მახასიათებლები. დიალოგის სტრუქტურა თავს იჩენს ყოველ დიალოგში. ცხადია, საუბრები მრავალფეროვნებით ხასიათდება, რადგან მათი თემა, ხანგრძლივობა, სიტუაცია რომელშიც საუბარი მიმდინარეობს და მონაწილეები, ასევე მრავალფეროვანია. მეტწილად შეუძლებელია წინასწარ ზუსტად განვსაზღვროთ თუ როგორი იქნება საუბრის მსვლელობა და ხანგრძლივობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი მეტყველება ( წერილობითი / ზეპირი ) შინაგანად ყოველთვის დიალოგურია, ანუ ორიენტირებულია მსმენელზე. მოსაუბრე ყოველთვის ითვალისწინებს მსმენელის ფაქტორს.

უნდა ითქვას, რომ მსმენელის როლი საუბარში მეტად მნიშვნელოვანია. ყურადღებიანი მსმენელი სხვადასხვა საშუალებით გამოხატავს მის თანამონაწილეობას საუბარში. მსმენელი სხვადასხვა სიტუაციაში შესაბამისად სხვადასხვა სიგნალებს (რეპლიკებს) იყენებს (ზექალაშვილი რ., 112.) მაგ:

ა) დაეჭვების გამომხატველი სიგნალები

- *Unbelievable!*
- *Really?!*
- *Ridiculous!*
- *It can't be true!*
- *Oh no, that's impossible!*
- *No way!*
- *I can't believe it's true!*
  
- *სერიოზულად?!*
- *დაუჯერებელია!*
- *რატაც არა მგონია!*
- *ჭორი იქნება!*
- *არ არსებობს, ვერ დავიჯერებ!*
- *რას ლაპარაკობ!*
- *მართლა?!*
- *რას ამბობ* და ა.შ.

ბ) შეფასება—აღფრთოვანების სიგნალები:

- *How wonderful! / Great!*
- *Terrific! / Amazing! / Just beautiful!*
- *Wow! / Good! / Lovely!*

- *Nice! / Cool / Fine!*
- *Horrible ! / Awful ! / Terrible !*
- *Good heavens! / Devil of a ... ! / Disgusting!*
- *შესანიშნავია! / ვახ რა კარგია ! / რა მაგარია!*
- *გადასარეგია! / ძალიან კარგია! / ფანტასტიურია!*
- *საშინელება ! / რა საძაგლობაა ! / ცუდია!*
- *არაფრით არ ვარგა! / სულ არ მომწონს ! / უვარგისია!*

გ) თანაგრძნობის სიგნალები:

- *I'm so sorry! / It's a pity! / I wish it didn't happen!*
- *How I wish I could help! / Oh, if only I could do something...!*
- *I'll be by your side whatever happens!*
- *Don't worry please , we'll find the way out...!*
- *There must be some way out!*
- *I believe we can solve this problem,trust me !*
- *უი, ძალიან ცუდი! / ძალიან მეწყინა!*
- *კი მაგრამ ეს როგორ მოხდა?! / ნუ იღარღებ გთხოვ!*
- *არ ინერვიულო, რამე გამოსავალი იქნება !*
- *ნეტავ მე მაინც შემეძლოს რამის გაკეთება!*
- *რას მელაპარაკები, კი მაგრამ როგორ მოხდა ასეთი რამე?!*
- *ეჰ, ეს რა მოგსვლიათ, რაც შემეძლია ხო იცი, არ მოგერიდოს . . .*

დ) აღშფოთების სიგნალები:

- *How could it be! / How on Earth it happened! / How strange it is..!*

- *ამას როგორ ვიფიქრებდი! / რას წარმოვიდგენდი!*
- *გადასარეგია პირდაპირ! / არ გადამრიო, რას მელაპარაკები!*

ე) სისარულის სიგნალები:

- *I'm so glad! / Great news!*
- *Well done, congratulations! / I'm so happy for...!*
- *ძალიან გამახარე! / რა კარგია ! / იცი როგორ გამიხარდა,*
- *ყოჩაღ! / მომილოცავს! / ძალიან კარგია ! / მართლა? რა კარგია!*

ვ) სინანულის სიგნალები:

- *I'm sorry! / Please forgive me!*
- *I hope it would never happen again!*
- *I've made a mistake ! /I regret...!*
- *ძალიან ვდარდობ! /ახლა კი ძალიან ვნერვიულობ!*
- *ისე ვნანობ, რომ მეტი არ შეიძლება!*
- *ვთხოვ მაპატიე, დავივიწყეთ კარგი?!*

ზ) ყოყმანის და პაუზის შემავსებელი სიგნალები:

- *Uh ! / Hmm ! / Um! / Erm ! / Er well! / Let me think !*
- *მმმ... /ეეე... /(ისა)... /იცი... ?! /ხოო... !*

(თუმცა ქართულში ყველაზე ხშირად უბრალო პაუზა გვხვდება, პაუზის შემავსებელი რეპლიკის გარეშე).

თ) დალოცვა:

- *God bless you!*
- *God save you!*
- *God help you!*
- *გაიხარე ! / იცოცხლე! / შენი ჭირიმე!*
- *ღმერთმა გაგახაროს! / უფლის მაღლი შეგეწიოს!*
- *აგაშენა ღმერთმა...! / გფარავდეს გმერთი! /*

– აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურ დიალოგებში, ქართულისგან განსხვავებით, ბევრად ნაკლებად გამოიყენება დალოცვა, შესაბამისად დალოცვის გამომხატველი ფრაზებიც ნაკლებ მრავალფეროვანია ქართულთან შედარებით.

ო) სასოწარკვეთის სიგნალები:

- *What can we do now? / Is there any way out?/*
- *What a pity...! / Only God can help us!*
- *What shall I do ?! / It's over , nothing can save( help ) us (me) this time!*
- *How could this happen?! / Can anything / anyone help / save us now ?*
- *რაღა ვქნა? / რაღა მეშველება ახლა?! /*
- *ამისთვის ვწვავლობდი ? დავიღუპე! /*
- *არის გამოსავალი? / მორჩა ყველაფერი ამით?*
- *ასე უნდა მომხდარიყო? ეს არის სამართალი?!*
- *ვაიმე ეს რა დამემართა?! / ეს რა უბედურება დამატყდა თავს!*

კ) თანამონაწილეობის სიგნალები

- *OK.../Yeah / right ? / I know / Uh huh / Really? / What for?*
- *ააა, ხელაგ?/ უიი / დედა! / ჰო ჰო ! /აბა რა! /აბა აბა ..! /კი კი !*

ამგვარი სიგნალები ხელს უწყობს კომუნიაციის წარმატებით განხორციელებას და ეტიკეტის ნორმის დაცვას! ეს რეპლიკები საშუალებას აძლევს მსმენელს ჰარმონიულობა შემატოს საუბარს და გარკვეულწილად საუბრის გაგრძელების სურვილიც აგრძნობინოს მოსაუბრეს.

საუბრის ფორმა და სტილი განისაზღვრება მოუბარ პირთა მიზნებით, მათი ურთიერთდამოკიდებულებით, საუბრის თემით, გარემოთი, მოუბართა ცვლით – ჯერობით (*turn taking*), რაც დიალოგის თუ პოლილოგის მეტად მნიშვნელოვანი თვისებაა.

საუბრისთვის, როგორც დიალოგის, ასევე პოლილოგისთვის დამახასიათებელი ჯერობა არის მოუბარისა და მსმენელის (ადრესანტის / ადრესატის) როლების მონაცვლეობა. მოუბარი სხვადასხვა გზით (პაუზა, საუბრის ტემპის შენელება, ინტონაცია, მხედველობითი კონტაქტი, გარკვეული ფრაზები თუ ქცევა) აგრძნობინებს მსმენელს სურს თუ არა რომ მან განაგრძოს საუბარი. (Haslett B.J, 28.) თუმცა ჯერის მიღება მსმენელის სხვა გზითაც შეუძლია, მაგალითად:

ა) საუბრის ბოლო სიტყვის (სიტყვების) გამეორებით.

**A: Don't you think she's weird!**

**B: wierd? why?**

**A: 'cause she's got a strange haircut.**

(სატ.სერიალი “How I met Your Mum!”)

ა: ბავშვობაში თუ ოცნებობდი მოდელი გამხდარიყავი?

ბ: იცი, მოდელიობაზე ნამდვილად არ მიფიქრია ბავშვობაში.

ა: აბა მომღერალი?

ბ: მომღერალი? უფრო ადვილად წარმოსადგენი იყო

ჩემთვის, თუმცა ყველაზე მეტად, ყოველთვის მინდოდა

მოცეკვავე ვყოფილიყავი.

(„იმედის დილა“ 27.03.07.)

ბ) დაწყებული წინადადების დასრულებით, მაგ.:

**A:** *Oh, I didn't expect to see you here... [pause] well... we...*

**B:** *well, we're supposed to travel together this time.*

(მხ.ფილმი „ Sweet November”)

**ა:** *...და შენ გინდა თქვა რომ. . .*

**ბ:** *ღიას, რომ ეს ნამდვილად ის ქალია, რომელიც მაღაზიაში და მერე ავტობუსში ვნახეთ, რა დამთხვევაა ხედავ?!*

(ყოფ. საუბარი კაფეში.)

მაკავშირებელი სიტყვების, სხვადასხვა შორისდებულების თუ პაუზის შემავსებლის ანუ დერეკ დეივის მიხედვით *umni Svel o el ementebis* წარმოთქმა ასევე ჯერის დაგაცემა-მოპოვების ერთგვარი ნიშანია:

- *Well... / Now... / And so... / Oh... / Hmm.../ So...*
- *Typical! / Right! / I see! / Sorry! / Yes...! /*
- *Are you joking? / Are you serious? / How could it be? /*
- *I can't believe it! / Are you sure?*
  
- *ჰმ. . . / ჰოო... / იცი რა? / ასე რომ. . . / გასაგებია. . . და /*
- *რას იტყვით ამაზე? (-ის თაობაზე?) / რას მეუბნები! /*
- *რას ამბობ?! რაღა უნდა იფიქრო კაცმა? / მართლა? /*
- *ხედავ კაცო, რას აღარ გაიგებ დღევანდელ დღეს (უკვე)! /*
- *ასეა, ასე. . . / აჰ. . . მერე, მერე. . . / ოჰ რაღა გვიჭირს. . . /*
- *კი კი მჯერა / აბა, აბა! / კი მაგრამ . . . / და ა.შ.*

ეს სიგნალები ეხმარება მსმენელს ჩაერთოს საუბარში, მოიპოვოს სასაუბრო ჯერი ან უბრალოდ აგრძნობინოს მოსაუბრეს, რომ ყურადღებით უსმენს მას და რომ იგი დაინტერესებულია ამ საუბრით. დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ამგვარ სიგნალებს განსაკუთრებით მაშინ წარმოთქვამენ როდესაც ერთ-ერთი მოსაუბრე გაცილებით მეტს საუბრობს ვიდრე მეორე.

იმ შემთხვევაში, თუ მოსაუბრეს უტაქტოდ შეაწვევინეს საუბარი, იგი უკმაყოფილებას გამოხატავს როგორც ხმის აწევით, ქესტიკულაციით, ასევე გარკვეული ფრაზებით, როგორიცაა:



- *Can I speak now?! / Let me explain how it happened...*
  - *Please, listen to me... / I need to tell you something...*
  - *I'm trying to explain but... / Just let me say...*
  - *Would you ever give me a chance to...*
  - *I was just saying( talking about...)....*
- 
- *მაპატიეთ დაასრულეთ ? / იქნებ მაცალეთ. . .?!*
  - *მე ვსაუბრობდი, და არ მისმენთ! მე ჯერ არ დამიმთავრებია!*
  - *თუ შეიძლება მათქმევინეთ ბოლომდე!*
  - *რა წესია? რატომ არ მაცლით? დამასრულებინეთ სათქმელი?!*
  - *ასეთი გაუთავებელი სათქმელი რა გაქვთ ნეტავ რო გამუდმებით მაწყვეტინებთ?*
  - *რა საოცარია, უკვე მესამედ მაწყვეტინებთ, დავასრულებ და შემდეგ თქვენც იტყვიან! და ა.შ*

როგორც უკვე აღვნიშნეთ საუბარი და მისი მახასიათებლები განსხვავდება სიტუაციის, მონაწილეების და სასაუბრო თემის მიხედვით, თუმცა უნდა ითქვას, რომ ყოველ დიალოგსა თუ პოლილოგში საერთო კანონზომიერება არსებობს, კერძოდ, საუბრის წარმატებით წარმართვისათვის, კომუნიკაციის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, ეტიკეტის ნორმების დაცვა ყოველთვის სავალდებულოა, თავაზიანობის გამომჟღავნების ერთ-ერთი საშუალებაა საუბრისას ტაქტის დაცვა. მოსაუბრემ არ უნდა გააღიზიანოს მსმენელი, არ უნდა ითქვას ისეთი რამ, რაც გაანაწყენებს ან ზიანს მიაყენებს სხვას.

*The Shorter Oxford Dictionary „ ტაქტს ” შემდეგნაირად განმარტავს.*

*„ფაქიზი შეგრძნება იმისა თუ რა არის სწორი და შესაბამისი სხვებთან ურთიერთობისას, რათა არ შეურაცხყო ვინმე და საერთო კეთილ-განწყობილება დაიმსახურო, შეგწევდეს უნარი ილაპარაკო და იმოქმედო დროისა და სიტუაციის შესაბამისად“.*

(The Shorter Oxford English Dictionary.,66.)

*qar Tul i enis ganmartebi Ti I eqsikonis* თანახმად **ტაქტი** არის:

**„ზომიერების გრძნობა, რომელიც უკარნახებს თავაზიან მოქცევას ვისამე, რისამე მიმართ, თავდაჭერილობა“.**

(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი,124.)

სწორედ ტაქტიანი საუბრის ერთ-ერთი გამოხატულებაა **ჯერობა**. არა ერთი მაგალითი არსებობს იმისა, რომ ორი მოსაუბრე (დიალოგის შემთხვევაში) ან რამდენიმე მოსაუბრე (პოლილოგის შემთხვევაში) ერთდროულად იწყებს ლაპარაკს, იშვიათი არ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სიტყვას აწყვეტინებენ ერთმანეთს და ბოდიშის მოხდა უხდებათ.

ჯერობის მოუწესრიგებლობა არც თუ ისე იშვიათია ყოველდღიურ საუბრებში, დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ დიალოგშიც და პოლილოგშიც გვხვდება ჯერობის დარღვევის შემთხვევები. ჯერობის მოუწესრიგებლობა უფრო რთულად აღიქმება პოლილოგში, ვიდრე დიალოგში. როდესაც რამდენიმე მოსაუბრე ერთდროულად იწყებს საუბარს, რთული ხდება საუბრის თემის გაგებაც კი.

შემდეგი პოლილოგი გვიჩვენებს რამდენად რთულია ჯერობის დაცვა; როდესაც საუბარში ორზე მეტი მოსაუბრეა ჩართული: (საუბარში სპცეციალური ნიშნით გამოყოფილია სასაუბრო ჯერის თანადროულად დაწყების მომენტები.)

*Lil: Bertha's lost on our scale about fourteen pounds*  
*Pamela: oh has she?*  
*Jean: Twelve pounds I think, wasn't it?*  
*Daisy: Can you believe it?*  
*Mag: Twelve pounds on the weight watcher's scale ...*

(Tomas J.,68)

*მოსწავლე 1: რატომ არ უნდა წავიდეთ, შეგიძლიათ აგვიხსნათ?*  
*მოსწავლე 2: დიას მას, მეც მაინტერესებს მაინც რატომ?*  
*მოსწავლე 3: ყველა გვიშლის რა!*  
*მოსწავლე 4: არ უნდა დავეუჭიროთ მხარი აბა?*

(ყოფ.საუბარი სასწავლო დაწესებულებაში.)

ჯერობა არის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა საუბრის ორგანიზებისა, ბუნებრივია ჯერობის დაცვა ეტიკეტის ნორმაა და მნიშვნელოვანია როგორც ოფიციალური, ასევე შუალედური და შინაურული საუბრებისთვის.

საუბრისას მოსაუბრეთა მიერ ჯერობის დარღვევა, როგორც აღინიშნა ხშირია და სხვადასხვა სახის, თუმცა უნდა ითქვას, რომ ჯერობა და თითოეული მოსაუბრის ჯერის ხანგრძლივობა ინგლისურ ეოფაში უფრო მკაცრად არის დაცული, ვიდრე ქართულში.

საუბრებზე (დიალოგი/პოლილოგი) დაკვირვებამ საშუალება მოგვცა ჯერობის დარღვევის რამდენიმე ტიპი გამოგვეყო:

1) ორი მოსაუბრე ერთდროულად იწყებს საუბარს.

**A:** { *Oh, Simon, Simon look, what's going on here...*

**B:** { *Mmm... Unbelievable ...*

(სატ.სერიალი “ How I met Your Mum! ”)

**ა:** { *იციო, თქვენ არ გაგიციათ პასუხი ჩემს შეკითხვაზე და. . .*

**ბ:** { *თუ მომისმენთ გიპასუხებთ, მაგრამ არ მისმენთ და რა გქნა?*

( გად. რეაქცია, 16.11.05.)

2) ჯერის გადაცემა ხდება დიდი პაუზით:

**A:** *Well, if you knew my argument, why did you bother to ask?*

**B:** *Because I'd like to defend my argument... [pause].*

**A:** *Well, it wasn't me... [pause] when was it? [pause].*

**B:** *But you know who it was, don't you?*

(მხ.ფილმი „ Sweet November”)

**ა:** *საკუთარ შემოქმედებაზე, თქვენს შესრულების მანერაზე რას იტყვოდით? [პაუზა]*

**ბ:** *[პაუზა] როგორც ხედავთ, [პაუზა] ჩემი ნამუშევრები რეალობას ასახავს, [პაუზა] შესაბამისად შეიძლება კიდევ ითქვას, რომ [პაუზა] რეალისტურია....*

(გად.: „იმედის დილა” 25.03.07.)

3) ჯერის გადაცემა ხდება მცირე გადაფარვით (overlap).

**A:** *Are you just agreeing because you feel you want to...?*

**B:** *Hmm?*

**A:** *You just agreeing?*

**B:** *What's the matter?*

**A:** *It's* { *agreeing!*

**B:** { *agreeing?*

(Dickinson L., Mackin R. -Varieties of Spoken English)

ა. ბატონო დავით, რას გვეტყვით? რა შეფასებას მისცემდით ამ ფაქტს? რა აზრის არის ბატონი დ. . . ბ. . .?  
მაყურებელს აინტერესებს

ბ: { იცით, ქ-ო ი. . . , მე ვთვლი რომ ნაადრევია. . .

ა: { ჩვენ ძალიან ბევრი შეკითხვა დაგვიგროვდა და. . .

ბ: მე ვთვლი რომ ჯერ. . .

(გად.: „პირველები” ,14.10.06.)

4) პოლილოგში ჯერობა ფიქსირებული არ არის, განსხვავდება კომუნიკანტთა საუბარში ჩართვის თანმიმდევრობა.

**A:** *.. but it was lovely, our one with the night club and we had a [pause]..*

*we had super cabin, which was just below the night club, [pause]*

*utterly sound roof. You know, when you think what houses are*

*like. When we shut our cabin door, you wouldn't know there was*

*anything outside and yet, there was night club pounding music*

*away... just one immediately overhead and [pause] we were the*

*cabin next to it... [pause] and you couldn't* { *hear it at all*

**C:** { *good heavens.*

**B:** *that's good,* { *very good...*

**A:** { *and it's of course we could say to the children,*

*we'll just be upstairs and they knew, they just had to put their*

*dressing gowns on and come up... yeah... [pause] and if they wanted... and that was super.*

**C:** *w... where you... did you have a car with you?*

**A:** *hmm...*

**D:** *It's all included in the price*

**C:** *I see... er... how did you get - I mean, how did you find that side of it, because, it's marvelous, you know [pause] some people say that... that... driving a car across a ferry is the Devil of a job...*

**D:** *eh...*

**A:** { *well, this was*

**D:** { *across a*

**C:** *I mean, taking a car across the continent, on a ferry.... it's ... it's Hell...*

**A:** *no, it isn't* { *at all*

**D:** { *why*

**C:** *I don't know* { *but...*

**D:** { *well I mean we... we've done it,*

**C:** *yes, that's what I mean...*

**D:** *there's* { *no trouble with it.*

**A:** { *it's not trouble...*

**D:** *well, you just drive the thing on, you get out of it, you take what you want [pause] you lock the car up... you... you go to a cabin if it's night.*

(Crystal D., Davy D. Advanced Conversational English.)

**ა:** *ერთხელ, თრიალეთის მხარეს, თრიალეთის ხეობაში, საოცარია იქსურობა, ერთი სახლი ვნახე.*

**ბ:** *რა ნახე?*

**ა:** *სახლი ვნახე ერთი 30-იან წლებში იქნებოდა რემონტი გაკეთებული, [პაუზა] ნეტავ იმ დროს ლილას და ბუნებრივ საღებავს რომ იყენებდა ხალხი! რაღაც საოცარი ფერია, ხალხური იმიტაციაა, კიბეები საოცარი, [პაუზა] მასიური, უძველესი, ისტორია ეს აბა რა არის ?!*

გ: კარგია, კარგია, კასპში არა ვარ ნამყოფი. . .

ა: ხოლ? მართლა? ჩვენ კიდევ ჩავიდრიხინებდით ხოლმე. . .  
(სიცილი) არა თრიალეთისკენ სულ სხვაა!

დ: ვინ იყო მაქედან ძალიან ცნობილი?

ა: { სააკაძე

ბ: { სააკაძე

ა: ნუ , მე თავის დროზე, ადრე ადრე, დავხეტილობდი ყველგან ზურგჩანთით. . . ერთხელ, ერთ ოჯახში აღმოვჩნდი; რაღაც საოცარ სიტუაციაში და გადმოიღეს უძველესი ხანჯალი, ეხლა რომ ვფიქრობ [პაუზა] სად არის ეგეთები! ათასებიც რომ მისცე , თავის ქარქაშით. . .

გ: ოოო, პაპისეული თოფი მაქვს სახლში, ერთლულიანი. . .

ბ: ააა, მაჭახელას ეძახიან ეგეთებს. . . [პაუზა] აჭარაში. . .

ა: ოო, ეგ ძველი ისტორიაა, კაცო, კინოში რომ გვინახია, ბაში-აჩუკი, მამლუქი. . .

დ: ოოო, კასპი უყვარს ჩვენს ნუგ ზარს

ბ: ნუგ ზარი საიდანაა? კასპიდანაა არა? შატაიძე!

ა: { მმმ

დ: { კოო

ბ: აა, ხედავ შატაიძე რატომღაც მეგონა მთიდან,

ა: ხოდა, რას ვფიქრობდი [პაუზა] აი შენი სეხნა რო იყო. ნოდარი, ერთხელ გვიმღერა. . .

ბ: ოო, რა იქნებოდა?

ა: ისეთი სევდიანი სიმღერა იყო, რაღაც ინანიშვილის სტილიშია. . . მე პურიან სიტყვას ვეძახი ეგეთ რამეს. . .

დ: უი გახსოვს საწყალი, კაციშვილი ვერ მივედით, დეკემბერი იყო.

ბ: { ოო საოცარი კაცი იყო.

ა: { არაჩვეულებრივი. . .

გ: სხვათაშორის ერთადერთხელ ვნახე ცხოვრებაში, ხოდა მახსოვს, რაღაც უთხრეს და ტლინკები აყარა, იზომ მითხრა ორჯონიკიძემ – ნახე, ნახე. . . მაინც კახელიაო, ტლინკები აყარაო. . .

ა: მიზეზი ექნებოდა, თორე ისე ხო არ აყრიდა?

ბ: მიზეზი ის არის, რომ მდივანი იყო. . .

ა: კმმ. . .

ბ: ძალიან, ძალიან ძლიერი ნაწარმოები აქვს ერთი. . .

ა: კი, კი ვიცი. . . ძალიან ქართული, ძალიან

ბ: ჰოო, მართალია ძალიან ქართული, სიტბო აქვს მის სიტყვას თავისებური

ა: ბავშვობიდან ვკითხულობ, მარტო ეგ რად ღირს არა. . .?

როგორ ყვება, როგორ აღწერს. . .

გ: განსვებს ლეილა როგორ კითხულობდა. . .? როგორ

ამბობდა: მაშ რა არი?! ნუ საოცარია. . .

(ყოფ.საუბარი მეგობრულ წრეში,

ჩანაწერი ზოგ.ენათმეცნიერების კათედრაზე)

როგორც ვხედავთ არაოფიციალურ სიტუაციაში, ყოველდღიურ, ყოფით საუბრებში, თემიდან გადახვევა და სხვა თემის წამოჭრა უფრო ხშირია ვიდრე ოფიციალურში და არც ითვლება ეტიკეტის ნორმის დარღვევად. ყოველდღიურ საუბრებში ჩვეულებრივ მოსალოდნელია ასოციაციურად წამოჭრილ საკითხზე საუბრის გაგრძელება, თანაც ისე, რომ წინა თემას აღარ დაუბრუნდნენ, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ვნახეთ პოლილოგში მონაწილეთა ჩართვის თანმიმდევრობა არ არის განსაზღვრული მეგობრული საუბრისას, ამ შემთხვევაში ჯერობის მკაცრად დაცვა არ არის სავალდებულო, თუმცა ხშირად ისეც ხდება, რომ ერთ-ერთი მოსაუბრე დომინირებს დანარჩენებზე, ანუ ერთ-ერთი მოსაუბრე წარმართავს საუბარს და არის ინიციატორი ახალ-ახალი თემების შემოტანისა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასაუბრო თემიდან ასოციაციურად გადახვევისას, როდესაც მოსაუბრე და მსმენელი ყოველგვარი შეფერხების და გაუგებრობის გარეშე, თანაბრად გადადიან ერთი სასაუბრო თემიდან მეორეზე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ზიარი ცოდნა, (*shared knowledge*) და ზიარი გარემო (*shared space*) რაც საშუალებას იძლევა რომ საუბარი ჰარმონიულად წარიმართოს თემათა ცვალებადობის მიუხედავად.

5) ხდება ჯერის შერჩევა, მოსაუბრე ირჩევს შემდეგ მოსაუბრეს.

- A:** *Good afternoon dear Algernon, I hope you are behaving very well.*
- B:** *I'm feeling very well aunt Augusta...*
- A:** *That's not quite the same thing. In fact the things rarely go together.*
- D:** *Dear me, you are smart!*
- C:** *I am always! Am I not Mr. Worthing?*
- E:** *You're quite perfect Miss Fairfax.*

( Wilde O. -The Importance of Being Earnest )

- ა: როგორც უკვე ვხვდებით დადგა ნინის ჯერიც.
- ბ: დიას!
- ა: ნინი! ხომ არ ნერვიულობ?
- ბ: არა! ვცდილობ არ ვინერვიულო.
- ა: ვახლო, შენ რას იტყვი, ინერვიულებდი ნინის ადგილას რომ ყოფილიყავი?
- ბ: არ ვიცი, ალბათ არა, გააჩნია.
- (გად.: „ყველაზე ჭკვიანი“ 18.04.07.)

6) ხდება ჯერობის აღდგენა, თანადროული საუბრის შემთხვევაში ერთ-ერთი მოსაუბრე ჩერდება.

- A:** *Well, he just wandered when he came to* { *Alexandria*
- B:** { *Alexandria?*
- A:** *what?*
- B:** *Sorry, [pause]right, Alexandria...*
- (Tomas J.,68.)

- ა: მწვანე { ფერის არ მოგწონთ?
- ბ: იცით { მწვანე თუ... ბატონო? უკაცრავად!
- ა: დიას, მეც მწვანეზე ვამბობდი... .
- (ყოფ.საუბარი სავაჭრო ცენტრში.)

ზეპირი კომუნიკაცია, მეტწილად მისაღმებით იწყება, როგორც წესი, ეტიკეტის ნორმის მიხედვით, მისაღმების მოკლე ფრაზას საუბრის ყველა



მონაწილე წარმოთქვამს რიგ-რიგობით, ზოგჯერ რამდენიმე ერთად, მაგრამ ამით წარმატებული კომუნიკაცია არ ირღვევა. ვინაიდან მისალმება ბუნებრივი მოვლენაა ადამიანთა შეხვედრისას და მსმენელმა გარკვევით რომც ვერ გაიგოს მისალმება, ამის გაუცნობიერებლად თავადაც საპასუხოდ მიესალმება, შემდეგ რომელიმე მოსაუბრე აგრძელებს საუბარს. ჯერობის სწორად წარმართვისთვის გარკვეული პრინციპებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. მაგალითად, პირველ მოსაუბრეს შეუძლია აირჩიოს მეორე ან თავად განაგლზოს საუბარი. შემდგომი მოსაუბრის არჩევა, შეიძლება მისთვის შეკითხვის დასმის მიზნით. შესაბამისად მსმენელი პასუხობს მის მიმართ დასმულ შეკითხვას და ამგვარად ერთგება საუბარში. მაგ.

**A: Did you hear what I was playing Lane?**

**B: I didn't think it polite to listen Sir!**

( Wilde O. -The Importance of Being Earnest )

ა: ბატონო ლევან, უკაცრავად მაგრამ თემიდან გადავუხვიეთ,  
შეგიძლიათ, კონკრეტულად დასმულ საკითხებზე ისაუბროთ?

ბ: გასაგებია, მაგრამ ასეთ მნიშვნელოვან საკითხს გვერდს ვერ ავუვლი. .

( გად. რეაქცია, 16.11.06.)

არის შემთხვევები, როდესაც საუბარში ვინმე სხვა, მოულოდნელად ერთგება, ასეთი საქციელი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც რამე აუცილებელი ან გადაუდებელია სათქმელი. ასეთ სიტუაციაში ბოდიშს იხდიან და შემდეგ ამბობენ სათქმელს. მაგ.

- *Erm, excuse me for interrupting you sir, but it's absolutely urgent, can we speak in private ?*
- *I'm very sorry to interrupt you, but I have no choice .*
- *მაპატიეთ რომ გაწყვეტინებთ, მაგრამ. . .*
- *დიდი ბოდიში /უკაცრავად გაწყვეტინებთ, მაგრამ. . .*

მსგავს სიტუაციაში ბოლიშის მოხდა ეტიკეტის ნორმის მიხედვით სავალდებულოა. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი საქციელი უხეშ და უტაქტო ქმედებად ჩაითვლება.

უნდა აღინიშნოს, რომ არის ისეთი შემთხვევები, ისეთი ცხოვრებისეული სიტუაციები, როდესაც მკაცრად არის განსაზღვრული ვინ დაიწყებს და ვინ დაასრულებს საუბარს, ვინ დასვამს შეკითხვას და ვინ გასცემს პასუხს, ასეთ შემთხვევებს განეკუთვნება ინტერვიუ, გამოცდა, დაკითხვა, ოფიციალური მოლაპარაკებები, გასაუბრება და ა.შ.

მოსაუბრის და მსმენელის უფლება-მოვალეობების დარღვევა გამოიწვევს კომუნიკანტთა „**ლინგვისტური სახის**“ რღვევას, ე.ი. ირღვევა თავაზიანობის პრინციპი (*etiquetas norma*). სამეტყველო ეტიკეტის გამოვლენა საუბარში არის სწორედ ვერბალური საშუალებების კანონზომიერი, მოწესრიგებული გამოყენება, ჯერობის დაცვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერობა ანუ მოუბართა რიგობით მონაცვლეობა საუბრის უმნიშვნელოვანესი თვისებაა, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მოსმენის ხელოვნებასაც. მოსაუბრე დარწმუნებული უნდა იყოს რომ მას ყურადღებით უსმენენ. ეტიკეტის დარღვევა, მოსაუბრისთვის საუბრის შეწყვეტინება, ჯერობის თანმიმდევრობის უგულვებელყოფა და მოსაუბრის ადგილის უტაქტოდ დაკავება, ეტიკეტის ნორმის დარღვევა და ხელს უშლის კომუნიკაციის წარმატებით განხორციელებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საუბარს გარკვეული სტრუქტურა აქვს და მის ძირითად სტრუქტურულ დონეებს (ეტაპებს) წარმოადგენს: *dasawiyisi*, *ZiriTadi nawil i* და *dasasrul i*. ცხადია სხვადასხვა ტიპის საუბარში თითოეული დონის ხანგრძლივობა სხვადასხვაა და არ არის მკაცრად განსაზღვრული.

თითოეული დონის (ეტაპის) ხანგრძლივობა მეტწილად დამოკიდებულია სიტუაციაზე, მოსაუბრეთა რაოდენობაზე, მათი ნაცნობობის ხარისხზე და იმაზე თუ რამდენი ხანია არ უნახავთ ერთმანეთი.

საუბრის *dasawiyisi*, ბუნებრივია მოსაუბრეები ესაღმებთან და მოიკითხავენ ერთმანეთს. თუმცა დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ეს ყოველთვის ასე არ არის, ყოველი საუბარი (მაგალითად შინაურული) ყოველთვის არ იწყება მიღამებით და მოკითხვით, მაგალითად ოჯახის წევრებს ვერ მივესაღმებით დღის განმავლობაში თითოეული საუბრის დაწყების წინ.

როგორც შინაურული, ასევე ოფიციალურ სიტუაციაში, პირველი რაზეც მოსაუბრეები საუბრობენ დასაწყის (შესავალ) ნაწილში, არის ფატიკური კომუნიკაციისათვის დამახასიათებელი თემები ამინდზე, ჯანმრთელობაზე, ოჯახის წევრთა წარმატებაზე, სამსახურზე, საყოველთაო პრობლემებზე, ხოლო ოფიციალურ სიტუაციაში მთლიანად საუბრის წარმართვის წესი და თემატიკა ძირითადად წინასწარაა დაგეგმილი, რაც არ ახასიათებს შინაურულ საუბარს.

საუბრის მეორე ეტაპი, *ZiriTadi nawil i*, წინასწარ დადგენილ იქნება იგი თუ სპონტანური, ორივე შემთხვევაში, საუბრის მთავარ სათქმელს მოიცავს. წინასწარ დაგეგმილი საუბრისგან განსხვავებით (მაგ.: საქმიანი შეხვედრა, ტელე-რადიო გადაცემა, ინტერვიუ და ა.შ.) სპონტანური საუბრისას, მით უმეტეს არაოფიციალურ სიტუაციაში, ხშირია თემიდან გადახვევა, ასოციაციურად საუბარში ახალ-ახალი თემების შემოყვანა, რაც არ ითვლება ეტიკეტის ნორმის დარღვევად. ასეთ შემთხვევაში, ასოციაციურად თემის შეცვლისას, ხშირია გამოყენება ფრაზებისა:

- *Talking of X, I remember Y. . .*
- *Talking of X, I met him last night. .*
- *უი, იცი რა გამახსენდა?*
- *რა მოსატანია და. . . რაღაც მაქვს სათქმელი*
- *რა ამის პასუხია და ახალი ამბავი მაქვს.*

მაგალითად:

**A:** *Talking of enormous numbers, erm.. makes me think precisely of the enormous numbers of ants, that I've seen in certain parts of Latin America er... one feels, looking round, that the world belongs to ants really. They presumably are among the most numerous of all er... living creatures.*

**B:** *In fact erm..., since they are collective in their life be prepared to sacrifice themselves for... in order to allow [oh yes] the larger number to cross the stream.*

**A:** *Oh they do yes, definitely.*

(Crystal D., Davy D.- Advanced Conversational English)

- ა: როგორ ხარ?
- ბ: მადლობა, კარგად! შენ როგორ ხარ?
- ა: არა მიშავს, გამიხარდა შენი ნახვა და კიდევ კარგი დაგინახე, შენს დანახვაზე უცბად გამახსენდა საგამოცდლო ტესტები, რას აპირებ?
- ბ: ექვსი ვარიანტი უნდა გავაკეთოთ არა?
- ა: იცი რა ვიფიქრე? მოდი გავინაწილოდ; მე სამს გავაკეთებ, სამს შენ და უფრო ადვილიც იქნება ჩვენთვის.
- ბ: კარგი, ასე მოვიქცეთ;
- ა: უი რა კარგი გოგო ხარ რომ დამეთანხმე.
- ბ: მეც გამახსენდა რალაც შენ დანახვაზე . . . ჩვენი შეხვედრა ოთხშაბათს დაინიშნა?
- ა: ჯერ ვერ გადავწყვიტეთ, გვინდა ყველასთვის მოსახერხებელი იყოს, ისე მაგაზეც უნდა მოვილაპარაკოთ, კარგი?

(ყოფ. საუბარი სასწავლო დაწესებულებაში.)

მესამე, *dasarui* ეტაპზე გადასვლა, სხვადასხვა საშუალებით ხდება. არაოფიციალურ საუბარში ეს შეიძლება იყო სხვადასხვა მოძრაობები, პაუზა (რომელიც ამასთანავე გვეხმარება შესაფერისი სიტყვის მოძებნაში), ასევე გარკვეული ფრაზები:

- *Well, I have to go now.*
- *Well, it's getting late.*
- *So that's settled.*
- *Deal ! meet you at...*
- *Well, say hello to...*
- *Good buy and thanks for...*
  
- *ჰოო, კარგი აბა! შეხვედრებით!*
- *აბა , კარგად იყავი!*
- *მართლა ძალიან ვჩქარობ, გამიხარდა შენი ნახვა!*
- *აბა კარგად! დამირეკე აუცილებლად!*
- *ნახვამდის, შემეხმიანე კარგი?! მომიკითხე ყველა!*

ზოგჯერ, გარკვეული მიზეზების გამო, მაგალითად როდესაც მოსაუბრეებს ეჩქარებათ, ან რაიმე წყვეტს მათ საუბარს, შეიძლება დასაწყის ეტაპს, ძირითადი ნაწილის ნაცვლად პირდაპირ დასასრული დაერთოს. ანუ მისაღმებს თან სდევდეს დამშვიდობება, მაგალითად:

**A: Good morning!**

**B: Good morning Mrs. Woods! Nice day isn't it?**

**A: Yes, lovely! How was your weekend?**

**B: Absolutely great, thanks! Oh I'm sorry, I have an appointment with Mr. Carter, I'm just getting late.**

**A: Oh never mind, it's ok, ... see you tomorrow!**

**B: Good buy!**

(სატ.სერიალი “ How I met Your Mum! ”)

**ა: გამარჯობა ბატონო თამაზ!**

**ბ: გამარჯობა, როგორ ხარ?**

**ა: გმადლობთ, კარგად, თქვენ როგორ ბრძანდებით?**

**ბ: მეც არა მიშავს, კარგად.**

**ა: აი ჩემი ავტობუსიც გამოჩნდა, უკაცრავად.**

**ბ: არა უშავს, რას ამბობ, არ დაგავგიანდეს.**

**ა: კარგად ბრძანდებოდეთ!**

**ბ: კარგად იყავი! დედა მომიკითხე!**

(ყოფ.საუბარი ავტობუსის გაჩერებაზე.)

უნდა აღინიშნოს, რომ საუბრისას ხშირია შემთხვევა, როცა თავაზიანობა ფორმალურ ხასიათს იღებს, მაგალითად ოფიციალურ სიტუაციაში (პოლიტიკოსთა წრეში) რაგინდ არასასურველი იყოს კონკრეტულ პიროვნებასთან საუბარი, თავაზიანობის ნორმების დაცვა სავალდებულოა. სწორედ ასეთი საუბრების არსებობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას თუ რამდენად მნიშვნელოვანია და აუცილებელი ეტიკეტის ნორმების დაცვა. იმისათვის, რომ საუბარმა წარმატებით ჩაიაროს, საუბრის ინიციატორს, გარკვეული ორგანიზატორული მოვალეობა ეკისრება. იგი იწყებს და ასრულებს საუბარს, წარმართავს საუბარს, შემოაქვს ახალი თემები, აკონტროლებს მსჯელობას, სვამს შეკითხვებს, მაგრამ მისი მთავარი მოვალეობაა ყოველივე ეს თავაზიანობის წესების დაცვით მოაგვაროს. საუბრის ინიციატორს ოფიციალურ,

შუალედურ თუ შინაურულ სიტუაციაში ეტიკეტის ნორმების დაცვა უმთავრეს მიზნად უნდა ჰქონდეს დასახული.

ეტიკეტის ნორმა, ხშირად განსაზღვრულ, კლიშედ ქცეულ ფორმებს გვაძლევს ამა თუ იმ სიტუაციაში საუბრის წარმართვისათვის. მაგალითად ეტიკეტის მიხედვით საყვედურის თქმას ბოდიშით უნდა ვუპასუხოთ და არა გაუთავებელი თავის მართლებით, საჩუქრის ჩუქებისას ან მილოცვისას, მადლობის გადახდით ვპასუხობთ, მისალმებაზე საპასუხოდ უნდა მივესალმოთ, დამწვიდობებისას – შესაბამისად დავემწვიდობოთ მოსაუბრეს და ა.შ.

საუბრის თავაზიანად წარმართვისათვის, ინგლისურ ენაში მიღებულია თავაზიანობის გამომხატველი ფრაზების, თავაზიანი კითხვის, თხოვნის თუ შეფასების გამომხატველი ფორმების გამოყენება. (Tomas J., 68.) ***Would you, Could you... please, May (can) I please...*** ფორმები ინგლისურ ენაში გამოიყენება ყველა ტიპის (ოფიციალურ, შუალედურ და შინაურულ) საუბრებში. მაგალითად, დედა მიმართავს შვილს:

***Michael, could you please put them with the crackers?!***

ოფიციალურ სიტუაციაში:

***Would you be so kind and tell... please!***

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულში ფრაზა „გეთაყვა“ დღესდღეობით თითქმის არ გვხვდება თავაზიანი საუბრისას, ასეთ შემთხვევებში ძირითადად გამოიყენება ფრაზები:

- *გთხოვთ! / ხომ არ შეწუხდებით თუ. . .*
- *გნებავთ? / ინებეთ ! / ინებებთ? / თუ შეიძლება. . .* და ა.შ.

ინგლისურ და ქართულ საუბრებში ძალიან ხშირია გამოყენება ფორმისა ***"let's "***, „ ***მოდი "***. მაგალითად:

- ***"let's go then, are we going or not dad?! we're getting late..."***

- „მაშინ მოდ დროზე დაეწეროთ და მერე სადაც იტყვი იქ წავიდეთ!”

როგორც ვხედავთ ეს ფორმა, ბრძანებით წინადადებაში ამცირებს სახის რღვევისადმი მიმართულ ქმედებებს და ხელს უწყობს კომუნიკაციის წარმატებით განხორციელებას. “let’s “, „ მოდი ” სიტყვის ხშირი გამოყენება ნაწილობრივ იმითაა განპირობებული, რომ კითხვით წინადადებასთან შედარებით უფრო ხშირია ბრძანებითი წინადადების ხმარება დიალოგებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ინგლისურსა და ქართულში საუბრისას ხშირია პაუზებისა და პაუზის შემავსებლის გამოყენება:

- Um.. / Hm... / Er.. / Erm.. / Oh.. / Well.. / Ok...
- ჰო.. / ეე.. / მმმ.. / ჰმმ.. / იცი.. / ანუ.. / ისა.. / აბა.. და ა.შ

პაუზის შემავსებლის გამოყენება ერთგვარი სიგნალია, რომ მოსაუბრეს ჯერ არ დაუსრულებია საუბარი და სურს მისი გაგრძელება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად საუბარში პაუზის შევსება ხდება ერთი სიტყვის რამდენჯერმე გამეორებით ან წინადადების ხელმეორედ დაწყებით. მაგალითად:

- “ *Hopefully he’ll, er er, he’ll see, will see the terror of...*”
- „ *იციით მე, როგორც გითხარით, არაერთხელ. . . მმმ. . . როგორც უკვე აღვნიშნე, მმმ . . ეს პროცესი არ დაწყებულა და ამაზე . . ამ შედეგზე 15-16 წლის წინ უნდა გვეფიქრა, როცა. . .*”

საუბრისას ხშირია გრამატიკულად დაუსრულებელი წინადადების გამოყენება, როგორც ინგლისურში, ასევე ქართულში. ასეთი შემთხვევა ხშირია მაშინ, როდესაც:

ა) მოსაუბრე საკუთარ თავს უსწორებს შეცდომას. მაგალითად:

- *We had to, did try to p... well, it was in a mess and we tried our best.*

- არა ეს ძალიან მუქია, უფრო სწორედ საჩემო არაა?  
მგონი. . . არა არა, ეს არ მომიხდება.

ბ) როდესაც მოსაუბრეს აწყვეტინებენ საუბარს.

A: *I saw him, I took him to lunch and I, I'm surprised at how...*  
 B: *mature he is?*  
 A: *Yeah, he really is...*  
 (Pye D. – Greenal S, - CAE Listening and Speaking Skills.)

ა: *უცებ გამოვდიოდი და რას ვხედავ? დგას...*  
 ბ: *დგდა შენი?*  
 ა: *ხოო, გული გამისკდა კინაღამ.*  
 (ყოფ.საუბარი მეგობრებს შორის.)

გ) როდესაც თანამოსაუბრე შეუსწორებს სიტყვას მოსაუბრეს.

A: *They played against erm...*  
 B: *Yankis.*  
 (Richards J.C- Listening Carefully.)

ა: *არ ქონდა სხვა გზა და*  
 ბ: *იყიდა, აბა რას იზამდა?*  
 ა: *რას ამბობ,*  
 ბ: *ვერ. . . ვერ იფიქრებდი არა?*  
 (ყოფ.საუბარი მეზობლებს შორის.)

ამგვარად ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე წარმოებული საუბრებისათვის არსებობს ეტიკეტით გათვალისწინებული არა ერთი ნორმა და გარკვეული მოთხოვნა. ლინგვისტური ეტიკეტის ნორმების დაცვა ადამიანური ურთიერთობის ყველა სფეროში და ყოველთვისაა საკვალდებულო.



მაშასადამე, როგორც დავინახეთ დიალოგურ მეტყველებას, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაში აქვს:

1. გარკვეული, სიტუაციურად განსხვავებული სტრუქტურა (*dasawiyisi*, *ZiriTadi nawil i*, *dasasrul i* ან *dasawiyisi* და *dasasrul i*). ასევე ენობრივი და არაენობრივი მახასიათებლები. დიალოგის თითოეული ნაწილის ხანგრძლივობა განსხვავდება თითოეულ დიალოგში.

2. მსმენელი რეპლიკების საშუალებით გამოხატავს თანამონაწილეობას და ავლენს ინტერესს საუბრისადმი. გამოიყო რეპლიკების შემდეგი სახეობები:

- ა) დაეჭვების
- ბ) შეფასება-აღფრთოვანების
- გ) თანაგრძნობის
- დ) აღშფოთების
- ე) სინანულის
- ვ) სიხარულის
- ზ) ყოყმანის – პაუზის შემავსებელი
- ი) დალოცვის
- კ) სასოწარკვეთის
- ლ) თანამონაწილეობის

3. საუბრის ფორმა (*Sinaurul i*, *Sual eduri*, *oficial uri*) განისაზღვრება მოუბარ პირთა მიზნებით, მოლოდინით, მათი ურთიერთდამოკიდებულებით, საუბრის თემით, გარემოთი, ნაცნობობის ხარისხის, სოციალური სტატუსით.

4. ჯერის მიღება და გადაცემა ხდება:

- ა) პაუზით
- ბ) საუბრის ტემპის შენელებით
- გ) გარკვეული ფრაზებით
- დ) ჯერის ბოლო სიტყვების გამეორებით.

- ე) დაწყებული წინადადების დასრულებით
- ვ) შორისდებულების თუ პაუზის შემავსებლების წარმოთქმით.
- ზ) ინტონაციის შეცვლით
- თ) მხედველობითი კონტაქტით

5. საუბრის ტიპისა და თემატიკის მრავალფეროვნების მიუხედავად, ორივე ენაში საუბრის წარმატებულად წარმართვისათვის სავალდებულოა ეტიკეტის (თავაზიანობის და ტაქტის) ნორმების დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება *linguistic savis rRvevisadmi mimarTul qmedebasTan*, რაც გამოიწვევს კომუნიკაციის ჩაშლას და არასასურველ შედეგს.

6. ორივე ენაში გამოიყოფა დიალოგსა და პოლილოგში ჯერობის დარღვევის შემდეგი ტიპები:

- ა) ორი ან რამდენიმე მოსაუბრე ერთდროულად იწყებს საუბარს
- ბ) ჯერის გადაცემა ხდება დიდი პაუზით
- გ) ჯერის გადაცემა ხდება მცირე გადაფარვით
- დ) პოლილოგში ჯერობა ფიქსირებული არ არის, განსხვავდება კომუნიკანტთა საუბარში ჩართვის თანმიმდევრობა.
- ე) ხდება ჯერის შერჩევა, მოსაუბრე ირჩევს შემდეგ მოსაუბრეს.
- ვ) ხდება ჯერობის აღდგენა.

7. საუბარში მოულოდნელად ჩართვისას ან საუბრის შეწყვეტინებისას ინგლისურსა და ქართულში ეტიკეტის მიხედვით მიღებულია ბოდიშის მოხდა.

8. ორივე ენაში საუბრისას (უმეტესად შინაურული და შუალედური ტიპის საუბრისას) ხშირია სასაუბრო თემის აოციაციურად შეცვლა, რაც ხდება გარკვეული ფრაზების გამოყენებით და არ ითვლება ეტიკეტის ნორმის დარღვევად.

9. საუბრისას (დიალოგის ან პოლილოგის შემთხვევაში) სასაუბრო თემის ცვალებადობა, რაც უმეტესად არ იწვევს საუბრის მსვლელობის შეფერხებას,

ხდება ფონისეული ცოდნის (*ziari codnis*) და ზიარი გარემოს არსებობის გამო.

10. საუბრის დასასრულს (ისევე, როგორც მისაღმება, საუბრის დასაწყისში) წარმოითქმის შესაფერისი დამშვიდობება – მოკითხვის გამომხატველი ფრაზები. ოფიციალურისგან განსხვავებით, შინაურულ და შუალედურ საუბრებში დამშვიდობებამდე საუბრის შეჯამება არ ხდება არც ინგლისურში და არც ქართულში.

11. ორივე ენაში არსებობს ეტიკეტით განსაზღვრული კლიშირებული გამოთქმები, რომლებიც გამოიყენება ამა თუ იმ განსაზღვრულ სიტუაციაში.

12. ორივე ენაში (შინაურულ და შუალედურ საუბრებში) ხშირია გამოყენება ფრაზისა “*let's* “, “*modi*” – რაც ამცირებს ბრძანებით წინადადებაში სახის რღვევისადმი მიმართულ ქმედებას და ხელს უწყობს წარმატებული კომუნიკაციის განხორციელებას.

13. ორივე ენაში გამოიყენება პაუზის შემავსებლები ნიშნად იმისა რომ:

ა) მოსაუბრეს ჯერ არ დაუსრულებია საუბარი და სურს მისი გაგრძელება,

ბ) მსმენელი ცდილობს წაახალისოს და სტიმული მისცეს მოსაუბრეს და ადასტურებს რომ ყურადღებით უსმენს მას.

14. ორივე ენაში საუბრისას ხშირია გრამატიკულად დაუსრულებელი წინადადებების გამოყენება, როდესაც:

ა) მოსაუბრე საკუთარ თავს უსწორებს რამეს

ბ) როდესაც მას აწყვეტინებენ საუბარს

გ) როდესაც თანამოსაუბრე შეუსწორებს მას სიტყვას.

15. ინგლისურ და ქართულ საუბრებზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ინგლისურ ენაში შინაურულ, შუალედურ და ოფიციალური საუბრებისას ხშირია

გამოყენება თავაზიანობის გამომხატველი ფრაზისა *"please"*, ხოლო ქართულ ენაში შესაბამისი სიტყვა *'geTayva"* –ძირითადად აღარ გვხვდება. არცერთი ტიპის საუბარში.

16. ინგლისურ ენაზე წარმოებულ საუბრებში ქართულისგან განსხვავებით ძალიან იშვიათია დალოცვის გამომხატველი ფრაზების გამოყენება.

17. ინგლისურსა და ქართულში ყველა ტიპის საუბრებში გამოიყენება თავაზიანი თხოვნის თუ შეთავაზების გამომხატველი ფრაზები

*Could you / Would you / May (can) I.*

*xom ar Sewuxdebi T? / inebeT! / gTxovT Tu SeiZl eba* და ა.შ.

18. ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს თუ რამდენად უნივერსალურია ეტიკეტის ნორმები და რამდენად მნიშვნელოვანია მათი დაცვა საუბრისას. სამეტყველო ეტიკეტის ნორმების ზედმიწევნით დაცვა სრულყოფილი კომუნიკაციის საფუძველია.

## თავი IV

### ნაჩუქარ წიგნთა წარწერების ლინგვისტური ანალიზი

როგორც ცნობილია, ენათმეცნიერები მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ ენის ფატიკურ ფუნქციას. მეცნიერული კვლევა ფატიკური კომუნიკაციისა უკავშირდება პოლონელი მეცნიერის ბრონისლავ მალინოვსკის სახელს, რომელმაც პირველმა შემოიტანა ტერმინი *ფატიკური* (სიტყვა ფატიკური ბერძნულიდან მომდინარეობს : *phatos*- სალაპარაკო, *phanai*- ლაპარაკი).

ფატიკური კომუნიკაცია ემსახურება არა ფაქტობრივი ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას, არამედ თბილი, მეგობრული ატმოსფეროს შექმნას და უხერხული პაუზების თავიდან აცილებას . (გოქსაძე ლ., დემეტრაძე ი.,107.)

წარმატებული კომუნიკაციის განსახორციელებლად, ბუნებრივია, აუცილებელია სამეტყველო ეტიკეტისა და ქცევის ნორმების ცოდნა და დაცვა, რაც ძირითადად ფატიკური კომუნიკაციის სწორად დამყარების უნარსაც გულისხმობს. ეს კი უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც ერთი ენობრივი კოლექტივის შიგნით, ასევე სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა ურთიერთობის პროცესში.

გ.ბრაუნი და ჯ.იული (Brown G., Yule G.,8.) არაფრისმოქმედ (ფატიკურ) საუბრებს მიიჩნევენ ყოველდღიური ადამიანური ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად. მართლაც, ყოველდღიური, მშვიდი და უწყინარი საუბრები ჩვენს ცხოვრებაში მეტად საჭიროა და მათ საგულისხმო ადგილი უკავიათ. მაგ. საუბარი ამინდის შესახებ ინგლისური ფატიკური კომუნიკაციის კლასიკური ნიმუშია. ქართულ კულტურაში კი ასეთებად მიიჩნევა შეკითხვები: „*sad iyavi?*“, „ *ras akeTeb?* " და სხვა.

მაშასადამე , ფატიკური კომუნიკაციის კლასიკურ ნიმუშს ის საუბრები წარმოადგენს, რომლებიც არავითარი მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაზიარებას არ ისახავენ მიზნად. საყურადღებოა რომ ფატიკური კომუნიკაციისას დაუშვებელია შეკამათება.

აღსანიშნავია, რომ მოზრდილ და კარგად აღზრდილ ადამიანს ცხოვრებაში აქვს დაგროვილი ფატიკური გამონათქვამების გარკვეული მარაგი ,

რომლისგანაც იგი შესაფერის სიტყვებს და ფრაზებს არჩევს და შესაბამის სიტუაციაში იყენებს. ეს პროცესი მშობლიურ ენაზე საუბრისას იმდენად ქვეცნობიერია, რომ მოსაუბრე ვერც კი ამჩნევს მას. ( გოქსაძე ლ., დემეტრაძე ი., 107.)

ფატიკური კომუნიკაცია ხშირად მყარდება იმ ადამიანებს შორის რომლებიც შემთხვევით ხვდებიან ერთმანეთს და იძულებულნი არიან რამეზე ისაუბრონ. სწორად წარმართული ფატიკური საუბრის შემდეგ უცნობი ადამიანებიც კი მეგობრული, გულთბილი ღიმილით შორდებიან ერთმანეთს.

ნ. არუთინოვა (Арутюнова Н., 78) ფატიკური საუბრის თემად მიიჩნევს ყოველივეს, რაც მნიშვნელოვან და ახალ ინფორმაციას არ წარმოადგენს მსმენლისთვის. მისი აზრით, მოსაუბრის მთავარი მიზანია გაართოს მსმენელი და უამბოს მას თავისი შთაბეჭდილებების, გემოვნების თუ გეგმების, ყოველდღიური უმნიშვნელო წერილმანების შესახებ. მაგ, ისეთი დიალოგები როგორცაა:

- - *What's new with you?*

- - *Nothing much.*

- - *რა არის შენსკენ ახალი?*

- - *რა ვიცი, ისეთი არაფერი, ვართ ძველებურად!*

- ფატიკური კომუნიკაციის ნიმუშებია.

აღსანიშნავია, რომ ფატიკური კომუნიკაციის წესებს, ისევე როგორც ქცევის ნორმებს ადამიანი თანდათან იძენს.

ფატიკური კომუნიკაცია არის როგორც ზეპირი, ისე წერილობითი. წერილობითი ფატიკური კომუნიკაციის ერთ-ერთ სახედ შეიძლება მივიჩნიოთ საჩუქრად მიცემულ წიგნებზე არსებული წარწერები. ფატიკური კომუნიკაციის მსგავსად წარწერები საჩუქრად მიცემულ წიგნებზე გულისხმობს თბილი, მეგობრული ატმოსფეროს დამყარებას.

წიგნი, როგორც ვიცით ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო საჩუქარია. ნაჩუქარ წიგნს, ჩვეულებრივ, წარწერა – მიძღვნა ახლავს.

ცნობილია, რომ ყოველგვარი სოციალური ქცევა გარკვეულ წესებს უნდა ექვემდებარებოდეს. გამონაკლისს არც საჩუქრის გადაცემა წარმოადგენს. სხვადასხვა ყოფაში განსხვავებული ნორმები არსებობს საჩუქრის მირთმევისა. სხვადასხვა სიტუაციაში ნათელია, რომ გარდა ლექსიკის და გრამატიკის ათვისებისა, ენის სრულყოფილად დაუფლების და უცხოელებთან სასურველი ურთიერთობის დასამყარებლად აუცილებელია მათი ყოფისა და ფატიკური კომუნიკაციის სამეტყველო თუ წერილობითი ეტიკეტისა და ქცევის ნორმების ცოდნაც. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოფითი განსხვავებანი უდავოდ გამოიწვევს გაუგებრობას ორი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელს შორის კომუნიკაციისას.

საჩუქრის გადაცემა ეტიკეტის სათანადო ნორმების დაცვით და ტაქტიანად უნდა მოხდეს. ამ პროცესს ზომიერად უნდა უძღოდეს წინ სასიამოვნო სიტყვები, სურვილები ან ხუმრობა. ინფორმანტებისაგან მიღებული ცნობით ყველაზე ხშირად შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამენ ჩუქებისას:

- *Here's a present for you*
- *Here's a present for your birthday*
- *Here's a present for you anniversary*
  
- *ეს ჩემგან (ჩვენგან)*
- *მცირედი საუკეთესო სურვილებით*
- *ძალიან მინდა რომ მოგეწონოს*
- *სასიხარულოდ*
- *სასიკეთოდ* და ა.შ.

გარკვეული ტაქტია საჭირო საჩუქრის მიღებისას. ტაქტიანად საჩუქრის მიღება გამოიხატება მჩუქებლის ყურადღების და გემოვნების დადებითად შეფასებით და მადლობის გადახდით. ინფორმანტების მონაცემებით საჩუქრის მიღებისას ხშირად შემდეგ ფრაზებს წარმოთქვამენ:

- *Thank you!*
- *Oh you're so kind!*

- *It's so kind of you!*
- *Oh you shouldn't!*
- *This is just perfect!*
- *It's amazing, thank you indeed!*
- *I'm so grateful, thank you!*
  
- *გმადლობთ!*
- *დიდი მადლობა!*
- *რატომ შეწუხდით?!*
- *გადასარგებია!*
- *რა კარგია!*
- *ამაზე ვოცნებობდი!*
- *მადლობის მეტი რა მეტქმის!*
- *არ იყო საჭირო!* და ა.შ

მაშასადამე როგორც ბრიტანულ, ასევე ქართულ ყოფაში საჩუქრის მიღებისას მიმღები ყურადღებისათვის მადლიერებას გამოთქვამს და საჩუქრის მოწონებას გამოხატავს; ხოლო მიმცემი მილოცვას და კეთილ სურვილებს წარმოთქვამს. თუმცა ვხვდებით მცირედ განსხვავებას ბრიტანეთსა და საქართველოში: ბრიტანული ეტიკეტის მიხედვით მიღებულია სიტყვიერი მადლობის შემდეგ სამადლობელი ბარათის გაგზავნა საჩუქრის მიმცემისათვის, რაც საქართველოში არ ხდება.

საჩუქრები მრავალფეროვნებით გამოირჩევა და სხვადასხვა შემთხვევებისათვის, რასაკვირველია, შესაფერისი საჩუქარია საჭირო. წიგნი, როგორც ვიცით ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო საჩუქარია, რა თქმა უნდა თემატიკისა და ღირებულების მიხედვით. ნაჩუქარ წიგნს ჩვეულებრივ წარწერა – მიძღვნა ახლავს.

ზოგი ადამიანი თვლის, რომ საჩუქრად მიძღვნილ წიგნზე წარწერა არ უნდა გაკეთდეს, რადგან წიგნზე წარწერის გაკეთების უფლება მხოლოდ ავტორს აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება მის მიერ საჩუქრად მიძღვნილ წიგნზე წარწერა გააკეთოს, უფრო მეტიც, ეს თავაზიან საქციელად ითვლება.



დროთა განმავლობაში ყველაზე ღამაზი მისალოცი ბარათიც კი შეიძლება დავიწყებას მიეცეს, ხოლო წიგნზე გაკეთებული სამახსოვრო წარწერა საუკუნეებს შემორჩება.

მოცემულ თავში, საჩუქრად მიძღვნილ წიგნებზე გაკეთებულ წარწერებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განვიხილავთ როგორც სამწერლობო ფატიკური კომუნიკაციის ნიმუშს და შევისწავლით ენობრივი ეტიკეტის იმ ნორმებს რომელთა დაცვა აუცილებელია ასეთ შემთხვევებში.

ჩვენს ხელთ არსებულ ინგლისურ და ქართულ წარწერებზე დაკვირვებით აღმოჩნდა, რომ როგორც ზეპირი ფატიკური კომუნიკაციის პროცესში, ასევე წერილობით ფატიკურ კომუნიკაციაში გამოიყოფა ოფიციალური, შუალედური და შინაურული დონეები.

ოფიციალურ, შუალედურ და შინაურულ წარწერებზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა თავისებურებანი, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ერთმანეთისაგან განვასხვავოთ წარწერების ტიპები. უპირველეს ყოვლისა განვიხილოთ ოფიციალური წარწერები.

ოფიციალური წარწერები ხასიათდება გამოთქმებით: “ *with profound respect* “ „ *ღრმა პატივისცემით* “ მაგ.:

- “ *For Nico Kiasashvili with profound respect !* “
- „ *ბატონ სერგი ჭილაიას ღრმა პატივისცემით !* “

ოფიციალურ წარწერებში ხშირია საჩუქრის მიმღების წოდების მითითება მაგ.:

- “ *His Beatitude  
Ephraim II  
Catholicos Patriarch of all Georgia with love in Christ.  
From Michael Archbishop of Canterbury*”.
- „*პროფესორ ივანე ქავთარაძეს  
გულთადი პატივისცემით!* “

საგულისხმოა, რომ ჩვენს მიერ შეგროვილ ინგლისურ მასალაში არ შეგვხვდა წარწერები " Mr " ან " Mrs "- ის ფორმების გამოყენებით, თუმცა ქართულში „ ბატონ / ქალბატონ... + გვარი “ - სრულიად ბუნებრივია.

განხილული წარწერებიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ოფიციალურ წარწერებს მეტწილად ახასიათებს სიმოკლე, თუმცა ვხვდებით ცალკეულ შემთხვევს, როცა ოფიციალური წარწერა ზომით დიდია. მაგ.

- ***“ To Salome and Tamaz Lortkipanidze!  
I hope you'll enjoy this book on the history of Georgian People,  
I recall with great fondness our work in your country, and I  
look forward to the day of your complete independence !  
Sincerely  
Carl Mendelson ”***

- ***„ბატონ სერგი ჭილაიას!  
მოკრძალებით მოგართმევთ ამ წიგნს თქვენ, ქართველ  
მწერალთა დიდი ოჯახის საჭესთან ყველაზე მეტხანს  
მღვთმ სახელოვან მწერალსა და მეცნიერს, ჩვენი  
მწერლობისა და მწერალთა ორგანიზაციის ისტორიის  
დიდ მცოდნეს, ვისი მსჯავრიც ავტორისათვის ფრიად  
ანგარიშგასაწევი იქნება.  
პატივისცემით  
ავტორი! ”***

ქართულ ოფიციალურ წარწერებში უფრო ხშირად ვხვდებით ფრაზას „ ***სიყვარულით*** ” ვიდრე ინგლისურ წარწერებში, რადგან ფრაზა " ***with love*** " ინგლისურ ენაში უფრო წერილისთვის არის დამახასიათებელი, ვიდრე წარწერისათვის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურ ოფიციალურ წარწერებში გვხვდება ფრაზა "***with best regards***" და "***with best wishes***" რაც გამოყენების სიხშირის გამო კლიშედ მივიჩნით:

- ***“ For Niko Kiasashvili with best wishes ”***

- „ ქალბატონ ნინოს დიდი სიყვარულით ”

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ქართულ ოფიციალურ წარწერებში ხშირად წერენ სიტყვას „ სახსოვრად “ ინგლისურენოვან ოფიციალურ წარწერებში კი – “ *to remember* “ და “ *in memory of* “. მიუხედავად იმისა, რომ საჩუქრად მიძღვნილი წიგნი ისედაც სახსოვარია, ორივე ენაში ვხვდებით შემდეგ ფორმას: “ *in token of*“ „ ამის და ამის ნიშნად “.

ოფიციალურ წარწერებში ხშირად ხაზგასმულია წოდებრივი იერარქია. ასეთი შემთხვევა ინგლისურ და ქართულ ენაზე გაკეთებულ წარწერებში შეინიშნება:

- “ *To Company Director, from Senior Manager with best wishes*“
- “ *სახსოვრად ახალგაზრდობის ლიტერატურის რედაქციის გამგის ღირსეულ მოადგილეს, საყვარელ და პატივცემულ ქალბატონ მერის – უმცროსი რედაქტორისაგან* ”.

შემომყვანი ფრაზა “ *dear* ” “ *ძვირფასო* ” ორივე ენაზე გაკეთებულ წარწერებში მოკლებულია პირველად მნიშვნელობას და კლიშედ არის ქცეული ოფიციალურ, შინაურულ და შუალედურ წარწერებში გამოყენების სიხშირის გამო. ამიტომ ეს ფრაზა წარწერებში უფრო ნეიტრალურია, ვიდრე დიდი სიტბოს გამომხატველი, იგი არ გამოხატავს დამოკიდებულებას, მაშასადამე ეს არის მიმართვის ერთ-ერთი ფაქტიკური ფორმა, მაგ.:

- “ *To dear Niko Kiasashvili, from Charles Snow !* ”
- „ *ძვირფას პროფესორ სერგი ჭილაიას, გულითადი მოკითხვით – ავტორისაგან* ”.

წარწერებზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ ინგლისურენოვანი წარწერისგან განსხვავებით ქართულენოვან ავტორისეულ წარწერებში ხშირად ვხვდებით ფრაზას „*ძმური სიყვარულით ავტორისაგან*“.

მაგ.:

- „*სერგი ჭილაიას დიდი პატივისცემით და ძმური სიყვარულით ავტორისგან*“.
- „*ბატონ გ. კავთიაშვილს ძმური სიყვარულით და პატივისცემით*“.
- „*ბატონ გოგი გოგოლაშვილს პატივისცემით და ძმური სიყვარულით ავტორისაგან*“.

საგულისხმოა, რომ შესიტყვებას „*ძმური სიყვარულით*“ ოფიციალურ წარწერებში მწერლები და პოეტები იყენებენ .

ამგვარად, ოფიციალური წარწერები ხასიათდება:

- ა) სიმოკლით,
- ბ) მიმართვის ოფიციალური ფორმით,
- გ) წარწერის ბოლოს მხუჭებლის სახელისა და გვარის მითითებით ,
- დ) პატივისცემის გამომხატველი გამოთქმებით.

რაც შეეხება შუალედური ტიპის წარწერებს, ჩვენს მიერ განხილული შუალედური წარწერები გამოხატავენ:

- ა) საჩუქრის მიმცემის მიერ მიმღების პიროვნებით აღფრთოვანებას,
- ბ) ხაზს უსვამენ მიმღების გარკვეულ დადებით თვისებებს ან საჩუქრის დანიშნულებას,

გ) გამოხატავენ მადლიერებას და/ან დამოკიდებულებას მიმღების მიმართ. ამგვარ წარწერებში ხშირად მიუთითებენ კონკრეტულ სურვილს ან კონკრეტულ მომენტს იხსენებენ. ხშირია შემთხვევა, როდესაც წარწერაში ხდება საჩუქრის მიმღების შემოქმედების შეფასება, რასაც ადასტურებს შემდეგი წარწერები,

მაგ.:

- **“ For Niko Kiasashvili in memory of our first meeting, hoping you will take my greetings to your family and to Georgia, with love T. P.”**

- ამ წარწერაში ჩანს საჩუქრის მიმცემის დამოკიდებულება მიმღების ოჯახისა და ქვეყნისადმი .

- **„ძვირფას სერგი ჟღენტს, მუდმივი პატივისცემით და უღვიპო სიყვარულით“**

- ამ წარწერაში ჩანს საჩუქრის მიმცემის მეტად თბილი დამოკიდებულება მიმღებისადმი.

- **“ For Niko Kiasashvili whose sympathy and worm friendship is most valued by the author of this small book ”**

- მიმცემი ახასიათებს მიმღების გარკვეულ თვისებებს და ამგვარად ამჟღავნებს თბილ დამოკიდებულებას მისადმი.

- **„ ქაღალტონ ლილიეს, სათნო ადამიანს, უღრმესი მოწიწებით ”**

- ამ წარწერაში ჩანს დამოკიდებულება მიმღების მიმართ და ასევე ხაზგასმულია მიმღების გარკვეული პიროვნული თვისება.

- **“ For Niko Kiasashvili, this will remind you of an interesting encounter, with very best wishes from an old and good friend “**

- ეს წარწერა მოიხსენიებს კონკრეტულ შემთხვევას, რომელიც წარმოადგენს წიგნის ჩუქების მიზეზს, ხოლო მიმცემის მიერ გამოთქმული კეთილი სურვილები ცხადყოფს მიმღებისა და მიმცემის კარგ დამოკიდებულებას ერთმანეთთან.

- **„ მშვენიერ დალი ჭილაიას, – მის დაბადების დღეს, საჩუქრად ავტორისაგან, კეთილი სურვილებით! “**

- ამ წარწერაში მოხსენიებულია კონკრეტული შემთხვევა, რომელიც წარმოადგენს ჩუქების მიზეზს.

- **“ For Niko Kiasashvili from Adam, my best book no matter what anybody says!”**

- ამ წარწერაში საჩუქრის მიმცემი, საჩუქრის მიმღებისადმი პატივისცემას გამოხატავს საჩუქრის მისეული შეფასებით.

- **„ მეგობარსა და მეზობელს, რუსიკო კავთიაშვილს დიდი სიმპათიით, უღრმესი პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით, ძილის წინ საკითხავად! ”**

- ამ წარწერაში საზგასმულია მიმცემისა და მიმღების ურთიერთდამოკიდებულება და მითითებულია საჩუქრის დანიშნულება.

- **“ For my dearest friend Niko from his fellow- sufferer in Ulysses with all my love and best wishes. Be your translation appear soon! “**

- ამ წარწერაში საჩუქრის მიმცემი მიმღების საქმიანობით აღფრთოვანებას და გარკვეულ სურვილს გამოთქვამს.

- **“ ჩემს გოგის, მცხეთაში მოღვაწეობის დროს მშობლიური კუთხის დიდი სიყვარულისთვის, საუკეთესო სურვილებით!”**

- ამ წარწერაში მითითებულია გარკვეული მიზეზი საჩუქრის ჩუქებისა და გამოხატულია კეთილგანწყობა მიმღებისადმი.

- **„ To Salome with love and admiration ! “**

- ეს წარწერა გამოხატავს მიმცემის თბილ გრძნობებს მიმღებისადმი.

- **„ საყვარელ თამთას, ჩემს ბავშვობის იდეალს, ჩემი სიყრმის უფროს მეგობარს, ჩემი სიბერის ნუგეშს, ყოველივე სიკეთის სურვილით! შენი უმცროსი ძმა რეზი მახარაძე! “**

- ამ წარწერაში მიმცემი ახასიათებს მიმღებს და გამოხატავს გრძნობებს მისდამი.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ძირითადად შუალედური წარწერები გარკვეული მომენტის მოსაგონებლად ან მადლიერების გამოხატვის მიზნით იწერება და ხშირ შემთხვევაში მათ თან ახლავთ საჩუქრის მიმღების პიროვნული თვისებების ხაზგასმა, რაც ნათლად გამოხატავს საჩუქრის მიმღებსა და მიმცემს შორის არსებულ დამოკიდებულებას.

შუალედური წარწერებისათვის დამახასიათებელია ფრაზები: *For my dearest friend / For my dear friend / ძვირფას მეგობარს / საყვარელ მეგობარს* ან პირდაპირ მითითებულია მიმღების სახელი. მაგ:

- “ *To my dear Niko from Charles Snow!* “
- “ *To Maya , the best Georgian - English accent!* “
- „ *სახსოვრად, ძვირფას მეგობარს, თინიკოს ავტორისაგან!* “
- „ *სახსოვრად ძვირფას მეგობრებს მერისა და ნიკოს ძმური სიყვარულით!* “

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ შუალედურ წარწერებში საჩუქრის მიმცემი ხშირ შემთხვევაში მიმღების მხოლოდ სახელს მოიხსენიებს, ხოლო წარწერის ბოლოს კი საკუთარ სახელსა და გვარს წერს, ან პირიქით, მიმართავს სახელითა და გვარით, ხოლო ბოლოში მხოლოდ სახელს წერს. ეს მახასიათებელი ორივე ენაზე შესრულებულ წარწერებში გამოვლინდა.

მაგ.:

- “ *For Niko with thousand thanks for his hospitality and introducing me to the Georgian paradise! Stanley Kunits* “
- “ *To Niko Kiasashvili my warmest regards, Paul.* “
- „ *მერის და ნიკოს, უღრმესი პატივიცემით და სიყვარულით! ლანა ღოღობერიძე.* ”
- „ *ბატონ ივანე ქავთარაძეს, ძმური სიყვარულით! აკაკი.*“

შუალედური წარწერების განხილვისას შევხვდით ისეთ წარწერებს, რომლებიც ერთი ადამიანის მიერ მიღწენილი იყო რამდენიმე ადამიანისადმი ან მთელი ოჯახისადმი. ასეთი შემთხვევა ორივე ენაზე შესრულებულ წარწერებში მოიძებნა. მაგ.:

- *" For Niko and Mary, a very small memento of a friendship which was born in Tbilisi and has thrived in London. We hope you will think of me sometimes when you are at home in your flat, remembering your last visit to Queen – 23 "*
- *" To Nino and his family given for his kindness! "*
- *" Maya and Niko, Georgian hosts and Anglophiles per excellence! "*
- *„ კავთიაშვილების ოჯახს სიყვარულით და კეთილი სურვილებით! ჟერიაშვილი “*
- *„ ჩემს საყვარელ თინას და გოგის დიდი პატივისცემით! ე. ხარაძე ”*
- *„ ქალბატონ მატატას, ბატონ ალექსის, ნაირას, კახას დიდი სიყვარულით! რ. თვარაძე ”*
- *„ თათულის და გიორგის დიდი სიყვარულით! ე. ამაშუკელი ”*

უნდა აღინიშნოს, რომ შუალედური წარწერები ისევე, როგორც შინაურული და ოფიციალური წარწერები, საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან საჩუქრის მიმღებზე და ასევე საჩუქრის მიმცემსა და მიმღებს შორის არსებულ დამოკიდებულებაზე, ხშირად საჩუქრად მიძღვნილ წიგნებზე გაკეთებული წარწერის მეშვეობით ნათელი წარმოდგენის შექმნა შეიძლება იმ ადამიანის პიროვნული თვისებების თუ ბიოგრაფიის შესახებ, რომელსაც საერთოდ არ ვიცნობთ ან რომლის შესახებაც ბევრი არ ვიცით.



მაშასადამე, შუალედურ წარწერებს ახასიათებთ თემატური მრავალფეროვნება. დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ შუალედური წარწერები გამოხატავენ:

- ა) მიმცემის მიერ მიმღების პიროვნებით აღფრთოვანებას.
- ბ) მადლიერებას და დამოკიდებულებას მიმღების მიმართ.
- გ) იხსენებენ კონკრეტულ მომენტს – ჩუქების მიზეზს;
- დ) მიუთითებენ კონკრეტულ სურვილს;
- ე) ხაზს უსვამენ მიმღების გარეგნულ დადებით თვისებებს, ასევე აღნიშნავენ საჩუქრის დანიშნულებას.

ფრაზა *"For my dear (dearest) friend" „ ჩემს (ძვირფას) მეგობარს"* დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა შუალედური წარწერებისთვის. დაკვირვებამ ცხადჰყო, რომ საჩუქრის მიმცემი, მიმღების სახელს მოიხსენიებს, ხოლო წარწერის ბოლოს საკუთარ სახელს და გვარს წერს. ასევე მოიძებნება შემთხვევა, როდესაც არა ერთი, არამედ რამდენიმე ადამიანი წერს წარწერას და პირიქით, ერთი ადამიანი რამდენიმე ადამიანს უძღვნის წიგნს და შესაბამისია წარწერაც. ამგვარად ინგლისურ და ქართულ შუალედურ წარწერებს შორის არსებითი განსხვავება არ მოიძებნა.

განვიხილოთ შინაურული წარწერები. დაკვირვება დაგვანახა, რომ შინაურულ წარწერებში თემატურ მრავალფეროვნებასთან ერთად ნათლად ჩანს მიმცემსა და მიმღებს შორის არსებული სიახლოვე, რის გამოც მიმცემი მიმღებს უმთავრესად სახელით ან ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვით მოიხსენიებს. შინაურული წარწერები ხშირად გამოხატავენ მიმცემის დამოკიდებულებას მიმღების მიმართ ან იმ გარკვეულ მომენტს მოიხსენიებენ, რმელიც წარმოადგენს საჩუქრის ჩუქების მიზეზს. ეს მართალია, ოფიციალურ და შუალედურ წარწერებშიც გვხვდება, მაგრამ ნაკლებად. ხშირად შინაურულ წარწერებშიც ხაზგასმულია საჩუქრის მნიშვნელობა და საჩუქრის მიმღების პიროვნული თუ გარეგნული ნიშან-თვისებები. არის შემთხვევა, როდესაც წარწერაში მითითებულია წიგნის დანიშნულება ან როდესაც მიმცემი მადლიერების გრძნობას გამოხატავს. ხშირია ჩუქება რაიმე დღესასწაულთან დაკავშირებით.

მაგ.:

- ***" To Niko in memory of Shakespeare - on - Avon, Sept. 1968  
with love to friend! "***

- ამ წარწერაში მოხსენიებულია გარკვეული მომენტი, რომელიც წარმოადგენს საჩუქრის ჩუქების მიზეზს და ხაზგასმულია მიმცემისა და მიმღების მეგობრული დამოკიდებულება.

- ***„ ჩემს სიამაყეს, მომავალ მხატვარს, პირველი პერსონალური გამოფენის აღსანიშნავად, მამიდასაგან "***

- ეს წარწერა მოიხსენიებს გარკვეულ შემთხვევას, რაც წარმოადგენს ჩუქების მიზეზს.

საგულისხმოა, რომ დედა-შვილის საჩუქარში თავისთავად იმდენი სიტბო იგულისხმება, რომ გამოხატვა მეტად მარტივად ხდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დედა-შვილის საჩუქარი ხშირად უმიზნოდ გადაიცემა. ამიტომ წარწერებშიც არ არის ნახსენები ჩუქების მიზეზი. მაგ.:

- ***" To Mama with love and best wishes from Ann and all the family!"***
- ***„ ჩემს შვილიკოს, დედიკოსაგან! “***

შინაურულ წარწერებს არ ახასიათებს მიმართვის ისეთი ფორმების გამოყენება, როგორიცაა ***Mr / Mrs / ბატონო / ქალბატონო + გვარი, სახელი.*** შინაურულ წარწერებს, როგორც ითქვა ძირითადად მეგობრები და უახლოესი ადამიანები უწერენ ერთმანეთს და ამიტომ მხოლოდ სახელებით მიმართავენ ან მიუთითებენ: ***ჩემს (საყვარელ) მეგობარს / To my friend***

- ***" To my friend with love from Pamela “***
- ***" To lily with warmest wishes ! Michael “***
- ***" For Nico remembering autumn! “***
- ***" To Nico from Allan ”***

- „ ძვირფას მეგობარს ვანოს ბიძისაგან! ”
- „ ძვირფას მეგობარს, ჩემს სალომეს, სიყვარულით ნანასგან. ”
- „ ჩემს ჭკვიან, თავდაღებულ ნინიკოს დიდი სიყვარულით.”
- „ ნანას ნოდარისგან ! ”

შინაურულ წარწერებში ხშირად მოხსენიებულია მიმღების პიროვნული თვისებები თუ გარეგნული ნიშნები, რაც ცხადყოფს მიმცემსა და მიმღებს შორის არსებულ ახლო დამოკიდებულებას.

- “ *To Lika, a girl with brilliance and grace. Much love ! Sabastian* “
- “ *To my very dear, very special Irina, from Lily* “
- „ *ჩემს ძვირფას მეუღლეს, მეგობარს, თანამებრძოლს, მარადი სიყვარულით!* “
- „ *ჩემს უსაყვარლეს ნათესავს და მეგობარს, მატატა ჩიქოვანს, დიდი სიყვარულით ნუნუსაგან. ”*

დაკვირვებამ დაგვანახა, რომ შინაურულ წარწერებში მიმცემი ხშირად მიუთითებს საჩუქრის დადებით მხარეზე ან გარკვეულ რჩევას იძლევა საჩუქრის გამოყენებისათვის.

- “ *To dear Lily, hope this book brings you as much pleasure as the last one ! love Cris* “
- “ *Dearest Lily, just a little book, I know that it's sure to make you grow with love! From Cris and Mzia* “

- “ *To dearest Janiko, whenever you are feeling a little down, just open this book, it’s sure to put a smile back on your face* “
- “ *To my very dear friend Janiko* ”
- “ *I guarantee once you pick this unique book up, you will never want to put it down. Enjoy! Love Cris* “
- „ *ანდრო! იხელმძღვანელე ამ წიგნით, ეს შეგინარჩუნებს ჯანმრთელობას და სილამაზეს. დეიდა ეთერი* “.
- „ *ჩემს ძალიან საყვარელ ადამიანს, რომელსაც ჩემი ფრანგული ბუტურიც კი აუტანია. სახსოვრად ეს წიგნი, იმ იმედით, რომ ბერძნულ-ქართული სასაცილობასაც აიტანს. სიყვარულით მთარგმნელი.* “
- „ *სახსოვრად ვასკას გელასგან, ერთად გატარებული დღეების მოსაგონებლად, იმედია შენი პროფესიული დაოსტატებისა და წინსვლის საქმეში ეს წიგნიც შეიტანს თავის მოკრძალებულ წვლილს!* “.

მაშასადამე შინაურულ წარწერებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მსგავსად ოფიციალური და შუალედური წარწერებისა შინაურული წარწერები მოიხსენიებენ გარკვეულ მომენტს, რომელიც წარმოადგენს საჩუქრის ჩუქების მიზეზს, ხაზს უსვამენ საჩუქრის დანიშნულებასა და მნიშვნელობას, ამახვილებენ ყურადღებას მიმღების პიროვნულ და ფიზიკურ დამახასიათებელ ნიშნებზე. შინაურული წარწერები იწერება გარკვეული დღესასწაულის აღსანიშნავადაც, მიმღები მიმცემს უბრალოდ სახელით მოიხსენიებს ახლო დამოკიდებულების გამომხატვის მიზნით, ეს მაჩვენებელი მკაფიოდ განასხვავებს მას სხვა ტიპის წარწერებისგან. შუნაურულ წარწერებში ხშირად აღნიშნულია საჩუქრის დადებითი მხარე ან გარკვეული რჩევა.

ოფიციალური, შუალედური და შინაურული წარწერების განხილვისას არსებული განსხვავების მიუხედავად უნდა ითქვას რომ მოიძებნა არა ერთი

საერთო მახასიათებელი ამ სამი ტიპის წარწერას შორის, კერძოდ ის, რომ ორივე ხსენებულ ენაში ოფიციალური, შუალედური და შინაურული წარწერები ხასიათდება თემატური მრავალფეროვნებით და ამასთან სამივე ტიპის წარწერაში დაცულია ტაქტის, დიდსულოვნების, კეთილგანწყობის, თავმდაბლობის, სიმპათიის გამომხატველი მაქსიმები. ვინაიდან ეს მაქსიმები წარმოადგენენ უნაკლო კომუნიკაციის უმნიშვნელოვანეს საფუძველს და ჩვენ მიერ განხილულ საჩუქრად მიძღვნილ წიგნებზე არსებული სხვადასხვა ტიპის წარწერებში განხორციელებულია თითოეული მათგანი, შეიძლება დავასკვნათ, რომ სწორად დაწერილი წარწერების საშუალებით სასურველ შედეგს მივაღწევთ არა მარტო ერთი ენობრივი კოლექტივის წარმომადგენელთა ურთიერთობაში, არამედ სხვადასხვა ყოფის წარმომადგენელ ინვიდებთან ურთიერთობაშიც. ნათელია, რომ საჩუქრად მიძღვნილი წიგნების წარწერები ფატიკური კომუნიკაციის ნიმუშია, რადგან ეს წარწერები უდავოდ ემსახურება თბილი და მეგობრული ატმოსფეროს შექმნას თუ გაღრმავებას.

ჩვენს მიერ განხილული ოფიციალური, შუალედური და შინაურული წარწერები გარკვეული მახასიათებლებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც გვძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ოფიციალური წარწერის ფორმა, სტილი და სხვა მახასიათებლები არ შეიმჩნევა შინაურულ და შუალედურ წარწერებში და პირიქით, თუმცა მათ აერთიანებს საერთო მიზანი – თბილი და მეგობრული ატმოსფეროს შექმნა ადამიანებს შორის. დაუფიქრებელი საქციელი, დაუფიქრებლად წარმოთქმული ფრაზები, ბუნდოვანი, ორაზროვანი პასუხი, ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივისათვის არამისაღებად გამოთქმული მილოცვა თუ სამძიმარი, არასწორად დაწერილი მოკითხვა წერილის ბოლოს და არასწორი წარწერა საჩუქრად მიძღვნილ წიგნზე არასასურველ გავლენას ახდენს ადამიანურ ურთიერთობებზე და შეიძლება გამოიწვიოს პიროვნების **ლინგვისტური სახის რღვევა** რაც ეტიკეტის ნორმას ეწინააღმდეგება. იმ შემთხვევაში თუ წიგნის ჩუქება ოფიციალურ გარემოში მოხდა, საქმიანი პარტნიორების, საერთო პროფესიის მქონე ადამიანების, ახლად გაცნობილი პირების, პროფესიული თვალსაზრისით განსხვავებული წოდების ან ასაკობრივი სხვაობის მქონე ადამიანთა შორის, ცხადია ამ წიგნზე გაკეთებული წარწერაც შესაფერისი ანუ ოფიციალური უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება არა მარტო თავაზიანობის ნორმებს, არამედ საჩუქრის მიმცემის ან

მიმღების **დადებითი სახის სურვილების რღვევას**. ზემოხსენებულის ნათელსაყოფად განვიხილოთ შემდეგი წარწერები:

1. *“ For professor T. V. Gamkrelidze with profound respect ”.*

2. *“ For dear Nico Kiasashvili in memory of our first meeting, hoping you will take my greetings to your family and to Georgia - with love ! ”*

3. *“ I’m very proud and fond of you, my dear boy , with much love ! ”*

პირველი წარწერა (1) ოფიციალურია, საჩუქრის მიმცემი, მიმღების წოდებას, სახელსა და გვარს აღნიშნავს და პატივისცემას გამოხატავს, მეორე წარწერა (2) შუალედურია, სადაც მიმცემი მიმღებს სახელით და გვარით მიმართავს, მოიხსენიებს მათ გაცნობას, რაც წარმოადგენს საჩუქრის ჩუქების მიზეზს, შემდეგ კი გამოთქვამს გარკვეულ იმედს, მესამე წარწერა (3) შინაურულია, გამოხატავს მიმცემის თბილ და ახლო დამოკიდებულებას მიმღების მიმართ. თითოეული წარწერა შესაფერის ონფორმაციას იძლევა მიმცემსა და მიმღებს შორის დამოკიდებულებაზე და სწორედ დამოკიდებულების ეს სხვადასხვა ფორმა განასხვავებს მათ ერთმანეთისგან და ამგვარად კლასიფიკაციის საფუძველს იძლევა, ანუ თითოეული წარწერა ოფიციალური, შუალედური ან შინაურული დონისათვის დამახასიათებელ თავისებურ ნიშნებს ატარებს. მაშასადამე, წარწერას მიმღებსა და მიმცემს შორის არსებული სიახლოვის მაჩვენებელი და შესაფერისი სტილი უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში აღვილი ექნება **სახის რღვევის საშიშროებისადმი მიმართულ ლინგვისტურ ქმედებებს ( Face Threatening Act )** და ეტიკეტის ნორმის რღვევას, რასაც შედეგად გაუგებრობა და არასასიამოვნო შეგრძნება მოყვება, ეს კი კომუნიკაციაზე უარყოფით გავლენას მოახდენს.

თუ წიგნი ოფიციალური პირების მიერ, ოფიციალურ პირებს გადაეცათ შესაფერის სიტუაციაში და წიგნის წარწერა შემდეგია:

*“ For professor T.V. Gamkrelidze, I’m proud and fond of you, my dear boy! “*

– დადებითის ნაცვლად უარყოფით შედეგს მივიღებთ, რასაც შესაბამისად მოჰყვება ეტიკეტის ნორმის რღვევა, გაუგებრობა, წყენა და მიმცემის *სახის რღვევა*, ვინაიდან წარწერის შინაარსის და მიმართვის ფორმა არ ესადაგება არც მიმღებსა და მიმცემს შორის არსებულ დამოკიდებულებას და არც ოფიციალური წარწერის მახასიათებლებს. ნალოგიურად, *სახის რღვევა* მოსალოდნელია თუ უახლოესი ადამიანისთვის დაწერილ წარწერას ოფიციალური სახე ან შუალედური ფორმისათვის დამახასიათებელი ნიშნები ექნება.

შუალედური ტიპის წარწერები სახელწოდების შესაბამისად ძირითადად გამოსატყვევ დამოკიდებულებას ადამიანებს შორის, რომელთა ურთიერთობა არც ოფიციალური დისტანციით და არც უკიდურესი სიახლოვით გამოირჩევა. ამიტომ ამ ტიპის ურთიერთობის გამოსახატავად წარწერის შერჩევა ასევე საფრთხილოა. გაუგებრობა რომელიც ვერბალურ დონეზე იჩენს თავს ხშირად ხდება მიზეზი იმისა, რომ დაირღვეს მეგობრული „*saxe*“. *saxis dakargvis saSiSroebisadmi mimarTul i lingvisturi qmedeba* უფრო ხშირია უცხო ადამიანებს შორის ურთიერთობისას, განსაკუთრებით კი თუ ისინი სხვადასხვა ენობრივი კოლექტივის წარმომადგენლები არიან.

ჩვენს მიერ განხილულ წარწერებში არაერთი შემთხვევა მოიძებნა, სადაც „*saxis*“ შენარჩუნების სწრაფვაა გამოსატყვევ და დაცულია უფროს-უმცროსობის გამოსატყვის პრინციპი. აღსანიშნავია, რომ ვერბალური გამოსატყვევა წოდებრივი იერარქიისა უმეტესად ოფიციალურ და შუალედურ როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ წარწერებშიც გვხვდება.

მაგ.:

- “ *To Pr. T.V. Gamkrelidse with best wishes* “
- „ *დამსახურებულ ექიმს, ალექსანდრე ძოწენიძეს, პატივისცემით.* ”

ყველა ოფიციალურ წარწერაში მიმცემი მიმართავს მიმღებს სახელის, გვარის და წოდების მოხსენიებით, რითაც გამოსატყვევს პატივისცემას და მოკრძალებას მის მიმართ. ეს ყველაფერი კი აშკარა ნიშნებია მიმცემის მიერ დადებითი სახის შენარჩუნებისა და დეფერენციალური (*deferencial*) თავაზიანობის პრინციპის დაცვისა. აღსანიშნავია, რომ პატივისცემის ასპექტი გამოიხატება არა

მარტო მაშინ, როცა მიმცემსა და მიმღებს შორის ასაკობრივი და თანამდებობრივი სხვაობა არის, არამედ მაშინაც, თუ მათ შორის ასეთი სხვაობა არ შეინიშნება. მაგ.:

1. *“ To my dear colleague T. V. Gamkrelidse as a small return for weightier present ”.*

2. *„ ჩემს მეგობარს და კოლეგას, ძვირფას ბუჭას, უღრმესი პატივისცემით და სიყვარულით “ .*

ჟ. პოლმსის აზრით, ესა თუ ის ფრაზა შესაძლოა მამაკაცის მიერ უფრო ხშირად იყოს გამოყენებული ვიდრე ქალის მიერ ან პირიქით. ამის მიზეზი ისაა, თუ რა ფსიქოლოგიურ დატვირთვას აძლევს სხვადასხვა სქესის წარმომადგენელი ამა თუ იმ სიტყვას თუ ფრაზას. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით, საჩუქრად მიძღვნილ წიგნზე გაკეთებულ ჩვენ მიერ განხილულ წარწერებში გამოვლინდა მახასიათებელი, რომელიც განხილული წარწერებიდან მხოლოდ მამაკაცების მიერ ქართულენოვან ოფიციალურ, შუალედურ ან შინაურულ წარწერებში შეგვხვდა და არ მოიძებნა ინგლისურ წარწერებში. მაგ.

- *„ დიდად ნიჭიერსა და ვაჟკაცს ნიკო ყიასაშვილს, ძმური სიყვარულით! “*
- *„ ძვირფას მერისა და ნიკოს, ძმური სიყვარულით ! “*
- *„ თამრიკოს, ძმური სიყვარულით ! “*

მაშასადამე, შესიტყვება ‘ *Zmuri siyvarul iT*’ მხოლოდ ქართულენოვან ოფიციალურ, შუალედურ და შინაურულ წარწერებში გვხვდება, რაც შეეხება შესიტყვებას ‘ *duri siyvarul iT* ’ – ეს ფორმა არ დაფიქსირდა არც ერთ ჩვენს მიერ განხილულ წარწერაში და არც არსებობს საერთოდ ქართულ ენაში.

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი:



- საჩუქრად მიძღვნილ წიგნზე სწორად და შესაბამისად გაკეთებული წარწერა წარმოადგენს თავაზიან საქციელს და განიხილება, როგორც სამწერლობო ფატიკური კომუნიკაციის ნიმუში. ეს წარწერები მიზნად ისახავს თბილი, მეგობრული ატმოსფეროს შექმნას.
- გამოიყოფა ფატიკური კომუნიკაციის 3 დონე: *oficial uri*, *Sual eduri* და *Sinaurul i*. საჩუქრად მიძღვნილ წიგნებზე არსებული ოფიციალური, შუალედური და შინაურული წარწერები მივიჩნევთ ფატიკური კომუნიკაციის სამწერლობო ფორმად.
- საჩუქრების მიცემა-მიღებას თან უნდა ახლდეს გარკვეული თავაზიანი გამოთქმების წარმოთქმა, რასაც ითვალისწინებს ეტიკეტის ნორმა.
- ოფიციალურ წარწერებს უმეტესად ახასიათებს სიმოკლე, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც არის გრძელი წარწერაც.
- გამოთქმები: “ *with profound respect* “ / „(ღრმა) პატივისცემით “ ორივე ენაში ოფიციალურობის მაჩვენებელია და ხაზს უსვამს საჩუქრის მიმცემის დამოკიდებულებას საჩუქრის მიმღებისადმი.
- ოფიციალურ წარწერებში მიმცემი მიმღებს მოიხსენიებს სახელითა და გვარით. წარწერის ბოლოს საკუთარ სახელსა და გვარს მიუთითებს.
- ფრაზები: “*with best wishes*” / „საუკეთესო სურვილებით” ისევე როგორც “*Dear*” / „ძვირფასო” გამოყენების სიხშირის გამო კლიშედ მივიჩნევთ.

- შუალედური წარწერები გამოხატავენ მიმცემის მიერ მიმღების პიროვნებით აღფრთოვანებას, ხაზს უსვამენ საჩუქრის დანიშნულებას, გამოხატავენ მადლიერებას მიმღების მიმართ, მოიხსენიებენ გარკვეულ მომენტს, შემთხვევას, რომელიც წარმოადგენს საჩუქრის მიცემის მიზეზს, გადმოსცემენ კონკრეტულ სურვილს.
- შუალედურ წარწერებში მიმცემი მიმღებს მოიხსენიებს სახელით და გვარით და ბოლოს მხოლოდ თავის სახელს წერს, ან პირიქით.
- ფრაზა *“For my dear friend”* / „ *(ჩემს) ძვირფას მეგობარს*” დამახასიათებელია შუალედური და შინაურული წარწერებისთვის.
- შინაურულ წარწერებში მიმცემი მიმღებს მოიხსენიებს მხოლოდ სახელით და წარწერის ბოლოს მხოლოდ სახელს წერს. ამით ის გამოხატავს და ხაზს უსვამს ახლო დამოკიდებულებას მიმღების მიმართ.
- არასწორად დაწერილი წარწერა საჩუქრად მიღვნილ წიგზე არასასურველ გავლენას მოახდენს ადამიანურ ურთიერთობაზე და გამოიწვევს *„ლინგვისტური სახის რღვევას”*.
- სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია არა მარტო თავაზიანობის ნორმები, არამედ ამ ნორმების გამოყენებაც მამაკაცთა და ქაღთა შორის. ხშირად ამა თუ იმ ფრაზას იყენებს მხოლოდ მამაკაცი ან მხოლოდ ქალი. გამოთქმა *‘Zmuri siyvarul iT’* ქართულში დამახასიათებელია მხოლოდ მამაკაცთა ენისათვის.
- იმ შემთხვევაში თუ შინაურული წარწერის მახასიათებელს ოფიციალურ წარწერაში გამოვიყენებთ ან პირიქით, შედეგად მივიღებთ მიმღებისა და მიმცემის სახის სურვილების რღვევას,

რაც ზიანს აყენებს კომუნიკაციას, ხდება მიზეზი *ლინგვისტური სახის დაკარგვის საშიშროებისადმი მიმართული ქმედებისა ( Face Threatening Act )* და იწვევს ყოფით შოკს.

## თავი V

### მამაკაცისა და ქალის მეტყველების ზოგიერთი მახასიათებელი, გენდერული თავისებურებანი

როგორც ცნობილია საუბრისას თავაზიანობის დაცვა მოეთხოვება როგორც ქალს, ისე მამაკაცს. საინტერესოა არიან თუ არა ქალები და მამაკაცები თანაბრად თავაზიანები. მოცემულ თავში შევეცდებით გავარკვიოთ რა მახასიათებლებით განსხვავდება და ემსგავსება ერთმანეთს ქალისა და მამაკაცის მეტყველება ინგლისურ და ქართულ ენებში.

დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ქალებს უფრო საუბარი და სწორედ საუბარი მიაჩნიათ კონტაქტის დამყარების საუკეთესო საშუალებად. ქალები იყენებენ ენას, რომ დაამყარონ, განავითარონ და შეინარჩუნონ ურთიერთობები. ჯ. ჰოლმსი (Holmes J.29.) კვლევების მიხედვით ქალები და მამაკაცები სხვადასხვაგვარად მეტყველებენ. მამაკაცები ენას აღიქვამენ, როგორც ინფორმაციის მოპოვების და გადაცემის იარაღს. მამაკაცებისათვის საუბრის დაწყების მიზეზი ძირითადად საუბრის შინაარსზე და მის შედეგზეა ფოკუსირებული და არა იმაზე თუ რა გავლენას მოახდენს მისი საუბარი სხვების გრძნობებზე. ქალებს კი სწორედ ეს გრძნობები უფრო აინტერესებთ. საინტერესოა, რომ ქალები, მამაკაცებთან შედარებით, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა ბოდიშს უფრო ხშირად იხდიან. ქალები საუბრისას ლინგვისტურად უფრო თავაზიანები არიან ვიდრე მამაკაცები.

წინამდებარე ნაშრომში თავაზიანობის ხსენებისას ვგლუისხმობთ *I ingvistur Tavazianobas* ანუ ქმედებას, რომელიც გამოხატავს ერთდროულად დადებით ინტერესს სხვების აზრის მიმართ (*involvement strategy – ჩართვის სტრატეგია*) და ამასთანავე ინარჩუნებს გარკვეულ დისტანციას (*independence strategy – დამოუკიდებლობის სტრატეგია*). წარმატებული კომუნიკაციის მისაღწევად კომუნიკანტები ერთმანეთის *I ingvisturi saxis survil ebs* ითვალისწინებენ, თავაზიანი ადამიანები თავს არიდებენ პიროვნების *I ingvisturi saxis rRvevisadmi mimarTul qmedebas*, ანუ თავიდან იცილებენ „*saxis*” სურვილების რღვევას. აქვე უნდა ითქვას, რომ ისეთი ქმედებები,

როგორცაა არა მარტო ბრძანება, მითითება, შეურაცხყოფა, არამედ თხოვნა და რჩევის მიცემა, შეიძლება ჩაითვალოს პიროვნების დამოუკიდებლობის სტრატეგიის ხელყოფად. თუ ეს რა თქმა უნდა თავაზიანი ფრაზების წარმოთქმით არ განხორციელდა.

ლინგვისტური ლიტერატურის (Holmes J., 29; Tannen.D.,64; Scollon R. Scollon S.W.,57.) მიხედვით ქალები საუბრისას ცდილობენ მოსაუბრეები ჩართონ საუბარში და ამით ისინი ურთიერთდამოკიდებული გახადონ საუბრისას, შედეგად საუბარიც ბუნებრივი და ცოცხალია, მამაკაცები კი ცდილობენ მეტად დაიცვან იერარქია, შეინარჩუნონ დისტანცია და ავტონომია მოსაუბრეთა შორის. ამ თვალსაზრისის გათვალისწინებით ნათელი ხდება, რომ ქალები და მამაკაცები განსხვავებულად მეტყველებენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ საზოგადოებათა უმეტესობაში გენდერულ უთანასწორობას, კერძოდ მამაკაცთა ძალაუფლების უპირატესობას ქალებთან შედარებით შედეგად მოაქვს ის, რომ ქალები ლინგვისტური თვალსაზრისით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფრო თავაზიანი არიან ვიდრე მამაკაცები. საინტერესოა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქალები და მამაკაცები იზრდებიან ერთსა და იმავე ოჯახში, ერთად იღებენ განათლებას, მუშაობენ ერთსა და იმავე დაწესებულებებში, არიან ერთი და იგივე პროფესიის და საზოგადოების წარმომადგენლები, მათი მეტყველება ანუ ქალის და მამაკაცის დისკურსი ორი სხვადასხვა სისტემაა, რომლებიც არა ერთი მახასიათებლით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ამ განსხვავებას იწვევს არა მარტო სქესობრივი ფაქტორი, არამედ ისეთი ფაქტორები, როგორცაა კულტურა, ასაკი, თანამდებობა, სოციალური მდგომარეობა, გარემოება. ხშირად სწორედ ეს ფაქტორები ხდება საუბრისას გაუგებრობის მიზეზი. განსხვავებული სამეტყველო მანერა ადამიანს უყალიბდება ბავშვობიდანვე. რასაკვირველია ამა თუ იმ ადამიანის სამეტყველო სტილი დროთა განმავლობაში გარკვეულ ცვლილებებსაც განიცდის. დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ გოგონები უპირატესობას ანიჭებენ საუბარს მცირე ჯგუფში, ხოლო ბიჭები უფრო უფრო დიდ ჯგუფში და თანაც უფრო მეტად აქტიურები არიან, ვიდრე გოგონები. ბიჭების საუბარი მცირესიტყვაობით და პირდაპირობით გამოირჩევა, რაც სასაუბრო წრეში მთავარი ადგილის დამკვიდრებისაკენ მიმართული ქმედებაა, ხოლო გოგონები ძირითადად ჩართვის სტრატეგიას მიმართავენ და შედეგად მეტად ჰარმონიულ საუბარსაც აწარმოებენ, სადაც ერთი შეხედვით დომინანტი მოსაუბრე არ ჩანს. (Swann J.,60.) თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ გამონაკლისებიც და განსხვავებული

მაგალითებიც მოიძებნება, სადაც ქალების (გოგონების) სამეტყველო სტილი მამაკაცთა სტილს ემსგავსება. ამასთანავე მნიშვნელოვანია ინდივიდის ფაქტორიც, განსხვავებული სამეტყველო ჩვევების მქონე ადამიანები მრავლად მოიძებნება როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა შორის. ქალისა და მამაკაცის მეტყველებაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ისინი ენას განსხვავებულად აღიქვამენ და თვლიან, რომ მათი სქესისათვის ესა თუ ის სამეტყველო მანერა თუ სტილი უფრო მისაღებია, შესაბამისად მეტყველება (ენა) იქცევა სიტუაციაზე ძალაუფლების მოპოვების იარაღად და მეტწილად მამაკაცთა დომინირების საშუალებად ქალებზე. სხვადასხვა ადამიანის საკომუნიკაციო სტილი განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს განსხვავებანი, ქალისა და მამაკაცის მიერ მსოფლიოს განსხვავებული აღქმა, თავს იჩენს არა მარტო ოჯახურ წრეში, არამედ ნებისმიერ სიტუაციაში ენობრივი კომუნიკაციის დროს და ხშირად წარუმატებელი კომუნიკაციის, იმედგაცრუების მიზეზიც ხდება. ზემოთქმულის ნათელაყოფად მოვიყვანთ რ. სქოლონის და ს.ვ. სქოლინის მაგალითს:

**He: What would you like for your birthday?**

**She: I don't care, anything's OK.**

**He: No, really, what do you want? I'd like to get you something nice.**

**She: You don't have to get me anything, besides, we can't afford much Right now.**

**He: Well, how about if we just go out for dinner together then?**

**She: Sure, that's fine. I don't really want anything. You always give whatever I want anyway !”**

(Scollon R., Scollon S.W.,57.)

რ. სქოლონის და ს.ვ. სქოლონის აზრით ნათელია, რომ საუბრის ბოლოს მამაკაცი და ქალი იმედგაცრუებული რჩება შექმნილი სიტუაციით. მამაკაცს ნამდვილად სურს რაიმე განსაკუთრებულით და უჩვეულოთი გაახაროს ქალი, მაგრამ მათი საუბრიდან იგი ვერ არკვევს რა სურს ქალს და ისევ მისთვის ჩვეულ შეთავაზებას უბრუნდება. მამაკაცი იმედგაცრუებული რჩება, ვინაიდან მან სრულიად გარკვევით და ნათლად დასმულ შეკითხვაზე პასუხი ვერ მიიღო. მეორეს მხრივ, ამ საუბრით ქალიც იმედგაცრუებული რჩება, იგი თვლის, რომ მამაკაცს არ უნდა დაესვა მისთვის ეს შეკითხვა, ვინაიდან იგი ( he) საკმაოდ კარგად იცნობს მას ( her ), რომ თავად მიხვდეს რითი შეიძლება მისი გახარება.

ქალმა იგრძნო, რომ მამაკაცის საქციელი უბრალოდ თვალთმაქცობა იყო. მან იფიქრა, რომ მამაკაცი კმაყოფილი დარჩა იოლი გამოსავლის პოვნით. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცს საუკეთესო სურვილები ამოძრავებდა, ქალისთვის მისი საქციელი საპირისპიროს ამტკიცებს. შედეგად მივიღეთ წარუმატებელი კომუნიკაცია, საუბრის ბოლოს ორივე მოსაუბრე იმედგაცრუებული და ერთმანეთზე გარკვეულწილად ნაწყენი რჩება. მაგალითიდან ჩანს, რომ ქალი საუბრისას მაღავს მის ნამდვილ სურვილს, მამაკაცი კი პირიქით, სწორედ ეს არის გაუგებრობის მიზეზი. ამ საუბარში ქალი და მამაკაცი ერთსა და იმავე სიტუაციას სხვადასხვაგვარად აღიქვამენ და მიუხედავად იმისა, რომ მათი საუბარი იყო ბმული, ყოველგვარი შეფერხების გარეშე, დაცული იყო სინტაქსი, ჯერობა და ა.შ. მათ მაინც ვერ მიადწიეს წარმატებულ კომუნიკაციას. ეს მაგალითი არ ამტკიცებს იმას, რომ ქალები საუბრისას არაპირდაპირ გამოხატავენ სათქმელს, მასში პრაგმატიკულ დატვირთვას დებენ, ხოლო კაცები კი პირიქით. ეს შემთხვევა ადასტურებს იმას, რომ ბმული საუბარი, სადაც საუბრის კომპონენტები დაცულია შესაძლოა წარუმატებელი აღმოჩნდეს, ვინაიდან მოსაუბრეთა მოლოდინი და სხვადასხვა საქციელის აღქმა – ინტერპრეტაცია განსხვავებულია.

დ. ტანენის (Tannen D.,64.) აზრით, ქალები საუბრისას მეტ კონსერვატიულობას, მეტ თავაზიანობას და კოოპერაციულობას იჩენენ, ვიდრე კაცები – თუმცა

დ. ტანენი ასევე აღნიშნავს, რომ ეს ზოგადი დასკვნაა, რომელიც ზოგიერთ საზოგადოებებში ( Community of Practice ) განსხვავებულ სურათს იძლევა.

მისი აზრით, ქალთა საუბარი უფრო ლიტერატურულია მამაკაცთა საუბრისგან განსხვავებით.. ჯ. ოსტინი (Austin J.,1.) კი თვლის, რომ სქესი საზოგადოებრივი რანგის ერთგვარი სისტემაა, სადაც მამაკაცთა სქესი უფრო პრესტიჟულად აღიქმება, ვიდრე ქალთა.

ჯ. ჰოლმსის (Holmes J.,29.) აზრით კი ქალები და მამაკაცები, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ სხვადასხვაგვარად იყენებენ ენას, ვინაიდან კაცებისგან განსხვავებით ქალები ყურადღებას ამახვილებენ საუბრისას ენის ეფექტური ფუნქციის გამოყენებაზე, ანუ ქალები საუბრისას ცდილობენ ჩართვის სტრატეგიის საშუალებით მსმენელის (კომუნიკანტის) თანამოაზრედ წარმოაჩინონ თავი.

**Sarah:** *Do you like rap, Tom?*

**Tomas:** *No, I don't like it very much.*

**Sarah:** *Well, it's OK for me, what kind of music do you like then?*

**Tomas:** *I like rock a lot.*

**Sarah:** *"U2" do you like them?*

**Tomas:** *No, I don't, I can't stand them.*

როგორც ვხედავთ ამ საუბარში ქალის სამეცნიერო სტრატეგია და მიზანი განსხვავდება მამაკაცის სტრატეგიისაგან. ქალი შეკითხვების დასმის და ჩართვის სტრატეგიის საშუალებით ცდილობს აწარმოოს დიალოგი მამაკაცთან, ხოლო როგორც ვხედავთ მამაკაცი ინარჩუნებს დამოუკიდებლობის სტრატეგიას და არც ერთ შეკითხვას არ უსვამს ქალს. მსგავსი მაგალითების სიმრავლე საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ქალები კომუნიკაციისას ძირითადად სოლიდარობის და ჩართვის სტრატეგიას (*solidarity / involvement strategy*) მიმართავენ, ხოლო კაცები კი მათ ძალაუფლებას ანუ სტატუსის დამკვიდრებას სტრატეგიას (*independence strategy*).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავაზიანობის ფორმაც განსხვავებულია სხვადასხვა სიტუაციაში, ამ ფორმას ძირითადად ეტიკეტის ნორმა განსაზღვრავს, მაგ: წვეულებაზე თავაზიანი ადამიანი წახალისებს და საშუალებას აძლევს სხვებს გამოთქვან აზრი. უახლოეს პიროვნებასთან თავაზიანი ადამიანი არა მარტო კარგი მოსაუბრეა, არამედ ყურადღებიანი მსმენელიც. ანუ თავაზიანი საუბრის „*odenoba*“ განსხვავდება სიტუაციის მიხედვით. უფრო მეტიც, სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავდება ქალისა და მამაკაცის თავაზიანად ურთიერთობის ნორმები და წესები.

ლინგვისტური ლიტერატურის და დაკვირვების მიხედვით თითოეული სქესი მისთვის ხელსაყრელ კომფორტულ პირობებში უფრო მეტს საუბრობს, ვიდრე ნაკლებ ხელსაყრელ გარემოში. მამაკაცები მეტად თვისუფლად საუბრობენ საჯაროდ (საზოგადოებაში), ხოლო ქალებისათვის კი ვიწრო სასაუბრო წრე უფრო სასურველია. შესაბამისად, ზოგადი თვალსაზრისით, საჯაროდ, ფართო საზოგადოების წინაშე საუბარი ქალებისათვის ლინგვისტური სახის რღვევისააქენ მიმართული ერთგვარი საფრთხეა, ისევე როგორც კაცებისათვის – ვიწრო სასაუბრო წრე.



ცხადია, რომ საუბრის წარნმოების საუკეთესო საშუალებაა შეკითხვების დასმა. საინტერესოა, რომ შინაურული საუბრისას ქალები გაცილებით მეტ შეკითხვას სვამენ, ვიდრე კაცები, ხოლო საჯარო გამოსვლების თუ დისკუსიების (ოფიციალური კონტექსტის) დროს – პირიქით ხდება. მარჯორი სვეკერის დაკვირვებით კონფერენციაზე, სადაც 52% ქალი იყო, დასმული შეკითხვებიდან მხოლოდ 27% ეკუთვნოდა ქალებს – დანარჩენი კი მამაკაცებს, ამასთანავე მამაკაცების შეკითხვები ორჯერ უფრო ხანგრძლივი იყო, ვიდრე ქალების. მსგავსი დაკვირვება მოახდინა ჯ. ჰოლმსმა 100 საჯარო შეხვედრაზე და მგავსი მაჩვენებელი მიიღო.

სატელევიზიო გადაცემებზე ჩვენი დაკვირვებით გამოვლინდა, რომ ეთერში დასმული შეკითხვებიდან მამაკაცთა შეკითხვები სჭარბობს ქალთა მიერ დასმულ შეკითხვებს. თოქ-შოუს შემთხვევაში, როდესაც შოუს წამყვანი სთხოვს სტუდიაში მყოფ დამსწერებს, რომელთა რიგებში ქალები უფრო მეტია, ვიდრე მამაკაცები, დაუსვან შეკითხვები მოწვეულ სტუმრებს, კვლავ მამაკაცთა შეკითხვები სჭარბობს ქალებისას. სტუდიაში 24 ქალი და 15 მამაკაცი იყო, დასმული 10 შეკითხვიდან 7 მამაკაცებს ეკუთვნოდა 3 კი ქალებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ თოქ-შოუს სგავსი მაჩვენებელი გვხვდება უმეტეს შემთხვევაში, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჩვენი დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა გარკვეული თემები, რაც ქალებს უფრო ხელეწიფებათ, მაგ: საუბარი მოდის, თავის მოვლის, ყვავილების თუ საჩუქრების შესახებ. ამ თემებზე საუბრისას თოქ-შოუზე დაკვირვებით ქალთა მიერ დასმული შეკითხვები სჭარბობდა მამაკაცთა მიერ დასმულ შეკითხვებს (სტუდიაში 17 ქალი და 10 მამაკაცი იყო).

აღსანიშნავია, რომ მამაკაცები მოსაუბრეებს უფრო ხშირად აწყვეტინებენ საუბარს, ვიდრე ქალები, მაშინაც კი თუ ქალები პროფესიულად (თანამდებობრივად) უფრო მაღალ საფეხურზე დგანან. მაგალითად დაკვირვებამ გვიჩვენა რომ ქალ ექიმს მამაკაცი პაციენტები უფრო ხშირად აწყვეტინებენ საუბარს, ვიდრე კაც ექიმს. ასევე თანამდებობრივად მაღალ საფეხურზე მდგომ ქალს თანამშრომელი კაცები (კოლეგები) უფრო ხშირად აწყვეტინებენ საუბარს ვიდრე თანამშრომელი ქალები.

მაგ.: შეკრებაზე დეპარტამენტის უფროსი (ქალი) ესაუბრება თანამშრომლებს:

**Mr. X: I must say that it's time we addressed this issue seriously, and**

*that means* { *that it needs to be discussed at . . .*  
*hmm, yes*  
 Mrs. X:  
 Mr. X: *we all have to think about it, all of us.*

Mrs. X: *I agree, I think that's right, we* { *need to start by*  
 Mr. Y: { *we need to*

*start by discussing some of these* { *issues a bit more*  
*thoroughly* {  
 Mrs. X: { *hmm, right!.*

მაგ.: დირექტორი ( ქალი ) საუბრობს კრებაზე თანამშრომლებთან:

დირექტორი: *კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ კალენდარული გეგმების წარდგენა სავალდებულოა. ეს უნდა მოხდეს არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა. განათლების სამინისტრო ითხოვს, რომ* { *ყველა საგანში . .*  
 თანამშრომელი კაცი: { *უკაცრავად ქ-ო X, დიდი ბოდიშს ვიხდი, რომ გაწყვეტინებთ, ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ჩემს შემთხვევაში, იცით რომ საპილოტო კლასებში შევდივარ, სადაც ჯერ წიგნები დაბეჭდილიც არ არის და გეგმებზე საუბარი ნაადრევი მეჩვენება.*

დირექტორი: *გასაგებია თქვენი შეკითხვა ბატონო X, ამაზე ცალკე ვისაუბრებ, მე* { *შეგახსენებ დანარჩენებს რომ*  
 თანამშრომელი კაცი: . . . { *მხოლოდ ეგ მაინტერესებდა, მერე გაუგებრობა რომ არ იყოს ან საყვედური. შეგახსენეთ უბრალოდ, მადლობა.*

დირექტორი: *ველოდები კალენდარულ გეგმებს.*

ჩვენი დაკვირვებით მსგავსი შემთხვევების სიმრავლე ცხადყოფს, რომ ინგლისურსა და ქართულში მამაკაცები ხშირად აწყვეტინებენ საუბარს მათზე

თანამდებობრივად უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ქალებსაც კი ასეთი შემთხვევები სხვადასხვა საკომუნიკაციო გარემოზე თუ სიტუაციაზე (სკოლაში, ბანკში, ოჯახში, ორგანიზაციაში და ა.შ.) დაკვირებით, საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ის, რაც საუბრისას მიუღებელი, შემაწუხებელი და არათავაზიანია ქალისათვის, შესაძლოა მისაღები და ნორმალური იყოს მამაკაცისათვის. შესაბამისად მაშინ, როდესაც ქალები საუბრისას მამაკაცის შეწყვეტინებას თავაზიანად თავს არიდებენ, მამაკაცები მიიჩნევენ, რომ ქალი მოსაუბრისათვის ეს საუბარი არასასურველია, ან მათ უბრალოდ სათქმელი არა აქვთ სასაუბრო თემასთან დაკავშირებით.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქალები საუბრის შესანარჩუნებელ სიგნალებს, სიტყვებს თუ ბგერებს (*yeah, mm, hmm, oh / ჰმ, ჰო, აბა, აჰა*) უფრო ხშირად წარმოთქვამენ ვიდრე კაცები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქალები ამ სიგნალებს წარმოთქვამენ, რათა აგრძნობინონ მოსაუბრეს, რომ ისინი მათ ყურადღებით უსმენენ და ამით საშუალებას აძლევენ მოსაუბრეს განაგრძოს საუბარი, ხოლო მამაკაცების მიერ ამ სიგნალების გამოყენება ხშირ შემთხვევაში სასაუბრო ჯერის მოპოვების მიზნით ხდება მაგ: მოსწავლეები საუბრობენ მასწავლებელზე.

**Stiven:** *she provided the appropriate sayings for pacticular times.*

**Sally:** *right*

**Stiven:** *and so she didn't actually teach them*

**Sally:** *right*

**Stiven:** *but she just provided a model.*

**Sally:** *... yeah... hm...*

**Stiven:** *You know you mustn't refer to this...*

**Sally:** *..... mm...*

**Stiven:** *and she actually produced a book... that set out some...*

**Sally:** *..... hm...*

**Stiven:** *of those ideas at the simplest level..*

**Sally:** *.... Yeah*

(Pye D. – Greenal S , - CAE Listening and Speaking Skills)

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ *gal i* მოსაუბრე საუბრის შესანარჩუნებელ სიგნალებს იყენებს, ამით საშუალებას აძლევს მამაკაცს ისაუბროს, ასევე ქალი ამ სიგნალებით აგრძნობინებს მამაკაცს, რომ ყურადღებით უსმენს მას.

შემდეგი მაგალითიდან ვხედავთ, რომ საუბრის სიგნალებს *mamakaci* განსხვავებული თვალსაზრისით – ჯერის მოპოვების მიზნით იყენებს. მაგ.:

**Buyer (man):** *Have you a bed to sell ?*

**Seller (woman):** *I've got one, but it's rather expensive.*

*If you want it for yourself though . . .*

**Buyer:** *. . . . . hmm*

**Seller:** *I'll make you a* { *reduction*

**Buyer:** { *hmm, how much is it?*

**Seller:** *well, it's £ 400*

**Buyer:** *. . . . . hmm*

**Seller:** *and beliene me,* { *if it were anyone but you, I'd ask . . .*

**Buyer:** *. . .* { *hm, what's you last price ?*

(Pye D. – Greenal S , - CAE Listening and Speaking Skills)

ეს მაგალითები კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ურთიერთქმედებისას ლინგვისტური კომუნიკაციის წესებს ქალები და მამაკაცები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ და იყენებენ. ქალები და მამაკაცები ამ ქმედებში სხვადასხვა დატვირთვას დებენ. ლინგვისტური თავაზიანობა სხვა ქცევაა ქალისათვის და სხვა მამაკაცისათვის. შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ, რომ ქალების სასაუბრო სტილი ძირითადად კოოპერაციულია, ანუ მიმართულია საუბარში ყველას თანაბრად ჩართვისაკენ, ხოლო მამაკაცის სასაუბრო სტილი იერარქიულია, რაც ნათლად აჩვენებს მათ სურვილს, რომ საუბრისას იყვნენ დამოუკიდებელნი და რომ ძირითადად დამოუკიდებლობის სტრატეგიის პრინციპებით ხელმძღვანელობენ.

თავაზიანობა საუბრისას, როგორც ვახსენეთ, მხოლოდ საუბრის საკმარისი ოდენობით და ჯერობის დაცვით არ გამოიხატება. თავაზიანი საუბრისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საუბრისათვის შესაფერისი ლექსიკის შერჩევას

ანუ სამეტყველო ეტიკეტის დაცვას. თავაზიანობა გულისხმობს სხვათა გრძნობების გათვალისწინებას საუბრისას.

ქალისა და მამაკაცის მეტყველებაზე დაკვირვებით ნათელი განხდა, რომ ლინგვისტური ფორმები ზღუდე (*hedge*) და გამაძლიერებელი (*booster*) უმეტესად დამახასიათებელია ქალთა მეტყველებისათვის.

ტერმინი “ *Hedge* “ (ზღუდე) პირველად ლინგვისტიკაში ჯორჯ ლაკოფმა შემოიტანა 1972 წელს. ამ ტერმინის (ზღუდე) მნიშვნელობა ინგლისური სიტყვა “ *hedge* “ –ის ყოფით მნიშვნელობას ეყრდნობა და გამოხატავს ვერბალური და არავერბალური ქცევის ტიპს, რომელიც გვიცავს უსიამოვნო სიტუაციების და მოვლენების ზეგავლენისაგან:

*- A hedge against an unpleasant situation or event in something that you hope will protect you from its effects.*

( *BBC English Dictionary,3.* )

ტერმინი “ *Hedge*“ ქართულ ენაზე ითარგმნა როგორც „ზღუდე“ ( დარასელია ნ., 110. )

ადამიანები ზღუდეს ანუ ორაზროვან, ბუნდოვან განცხადებებს ან გამონათქვამებს მიმართავენ მაშინ, როდესაც სურთ საკუთარი პოზიციის გამოხატვისათვის, პირდაპირი პასუხისათვის თავის არიდება.

ლინგვისტური ლიტერატურის შესწავლისა და უშუალოდ ინგლისური და ქართული ენის მასალაზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ *ზღუდის* ფუნქციას ასრულებს:

ცალკეული ნაწილაკები : *a bit / a little / as if / it seems / seemed /*

*თითქოს / თითქმის / თითქო / რაღაც*

ცალკეული სიტყვები : *roughly / nearly / approximately*

*ცოტაოდენ / ვგონებ /*

*უხეშად რომ ვთქვა / მიახლოებით*

ფრაზები : *kind of / to some extent / I guess / literally/strictly/frankly speaking / as far as I know / as far as I can say/see*

*ჩემი აზრით / მგონი / გარკვეულწილად / რამდენადაც მე ვიცი / ვხედავ*

გამყოფი შეკითხვები: *didn't you? / don't you?*

*არა? / ხო? და ა.შ.*

**ზღუდის** გამოყენება საშუალებას აძლევს მოსაუბრეს, ასე ვთქვათ, თავი დაიზღვიოს იმისგან, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია შეიძლება მცდარი ან არაზუსტი აღმოჩნდეს. აქვე უნდა ითქვას, რომ თვითონ **ზღუდე** რამდენიმე ტიპის შეიძლება იყოს. რ.კუერკის ( Quirk R.A Comprehensive Grammar of English Language, Cambridge University Press,1981.) ინტენსიფიკატორთა შემდეგ კლასიფიკაციას იძლევა:

1. ემფაზის გამომხატველნი ( *emphasizers*) – *definitely / frankly / certainly*
2. გამაძლიერებლები ( *amplifiers*)                    - *completely / absolutely / entirely*  
*very much / greatly / highly*
3. შემარბილებლები ( *downtoners*)                - *kind of / sort of / like / hardly / barely*  
*scarcely / patiently / partly / slitley*  
*almost / nearly / about*

ინტენსიფიკატორთა კლასიფიკაციაში არსებული გამაზლიერებელი და შემარბილებელი ერთეულები ასრულებენ ზღუდის ფუნქციას, მაგალითად :

- *We don't appreciate her paintings greatly .*

- სიტყვა **“greatly”**-ის საშუალებით მოსაუბრე არბილებს ზმნით გამოხატულ უარყოფას, რის შედეგადაც ეს გამონათქვამი ნაკლებ კატეგორიულად უღერს. სევე მაგალითად:

- **რადაც უცნაური ფერის თმა ჰქონდა, მოყვითალო თუ მთეთრო, ვერც გაიგებდი ზუსტად.**

- მოსაუბრე ზღუდის გამოყენებას მიმართავს აფიქსი „*MO-O*“ –ს საშუალებით (მთეთრო, მოყვითალო), ზღუდე ამ შემთხვევაშიც ეხმარება მოსაუბრეს სინამდვილესთან მიახლოებული ინფორმაცია გადმოსცეს, ამასთანავე თავი დაიზღვიოს იმისგან, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია შესაძლოა არაზუსტი იყოს. ქართულში ამგვარი სუფიქსები გამოიყენება მაშინაც როდესაც მოსაუბრემ არ იცის რაიმის ზუსტი რაოდენობა, ამ შემთხვევაში იგი მიმართავს ნაწილაკებს „*ode*“ / „*mde*“ რომლებსაც დაურთავს რიცხვით სახელს და აღნიშნავს სინამდვილესთან მიახლოებულ რიცხვს (ოციოდე / ოცამდე) .

დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ზღუდის გამოყენება გარკვეულწილად საშუალებას აძლევს მოსაუბრეს თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა, იყოს ტაქტიანი , არაკატეგორიული , გარკვეულწილად არაპირდაპირი და ა.შ. იმისათვის რომ საუბარი უფრო თავაზიანად და ტაქტიანად წარიმართოს როგორც ინგლისურში, ასევე ქართულში ხშირად გამოიყენება შემდეგ ზღუდეები:

- *I guess*
- *I think*
- *I mean*
- *I suppose*
- *If I may say so*
- *I'm not quite certain / sure*
- *I can only say that*
- *I can just guess that*
- *I reckon*
- *I consider*

- *I feel*
- *I imagine*
- *I believe*
  
- ჩემი აზრით
- მე ვთვლი რომ
- მე ვფიქრობ რომ
- ვგონებ / ვფიქრობ
- როგორც ჩანს
- როგორც მესმის
- როგორც ვხედავ
- შეიძლება ვცდები , მაგრამ
- შესაძლოა ეს ასე არ არის, მაგრამ
- სიტყვა რომ არ გაავარძელო .
- საფიქრელია ,რომ...
- უფრო ზუსტად / მკაფიოდ / გასაგებად რომ ვთქვათ..
- ნათელი რომ მოეფინოდ... და ა. შ.

რაც შეეხება გამაძლიერებელს, გამაძლიერებელი (*really / მართლა definitely / ნამდვილად / absolutely / სავსებით და ა.შ.*) აძლიერებს გამონათქვამს . მოსაუბრე, მის მიერ წარმოთქმულ ინფორმაციას გარკვეულწილად აზვიადებს, ხაზს უსვამს მისთვის სასურველ ამა თუ იმ მოსაზრებას და ამით აიძულებს მსმენელს ყურადღება მიაქციოს ნათქვამს.

ზღუდე და გამაძლიერებელი შეიძლება იყოს არა მარტო ლექსიკური ერთეული, არამედ პრაგმატიკული ნაწილაკიც - ვერბალური შემავსებლები (*you know / I think / sort of / unfortunately / fortunately / იცი / მე გეგონია / მე ვთვლი / მე ვფიქრობ* ) ასევე ინტონაცია, ყოყმანის გამომხატველი სიგნალები (*um / er / erm / hmm / ნუ / ააა / ჰმ / ოო / ეეე / იცი ...*) პაუზები, ზმნიზედები და სხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თხოვნა და რჩევაც პიროვნების სახის სურვილების რღვევისაკენ მიმართული ქმედებაა, თუ თავაზიანი სიტყვების გამოყენებით არ იქნა წარმოთქმული. თხოვნის და რჩევის მიცემის დროს ხდება პიროვნების დამოუკიდებლობის სტრატეგიის რღვევა. თუმცა თუ თხოვნა



თავაზიანად, ეტიკეტის ნორმის დაცვით განხორციელდა, კომუნიკაციაც წარმატებული იქნება და ლინგვიტური სახის რღვევისკენ მიმართულ ქმედებს ადგილი არ ექნება. სწორედ ამ შემთხვევაში, როგორც ინგლისურში, ასევე ქართულში ზღუდე წარმატებული კომუნიკაციის საწინდარია. ბუნებრივია ფრაზა:

**“ Bring me a glass of water ! ”**

**„ ერთი ჭიქა წყალი მომიტანე ! ”**

– არ არის თავაზიანად ნათქვამი და კომუნიკანტის დამოუკიდებლობის სტრატეგიის აშკარა რღვევაა. ამის თავიდან აცილებაში გვეხმარება ზღუდე:

**“ Could you please bring me a glass of water ! ”**

**„ თუ შეგიძლია ერთი ჭიქა წყალი მომიტანე გეთაყვა!”,**

ან

**“ Bring me a glass of water, would you?! “**

**„ გთხოვ ერთი ჭიქა წყალი მომიტანე! ”**

- ამ ერთი მაგალითიდანაც კი ჩანს სხვაობა, რასაც ზღუდე იძლევა წარმატებული კომუნიკაციისათვის. სახელდობრ, ზღუდის გამოყენებისას პიროვნების დამოუკიდებლობის სტრატეგიის ანუ მისი სახის რღვევა ხდება ისე, რომ ეს ქმედება არ იწვევს წარუმატებელ კომუნიკაციას, არამედ პირიქით, თავაზიანი და წარმატებული კომუნიკაციის საწინდარია.

ზღუდისაგან განსხვავებით, რომელიც გამონათქვამის ძალას ამცირებს, ლინგვისტური გამაძლიერებელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ პირიქით აძლიერებს გამონათქვამის ძალას. მაგ:

**“ You’ve written it just brilliantly, I was so impressed, it was amazing, really!“**

„ შენ შესანიშნავად გაართვი თავი ამ საქმეს, პირდაპირ აღფრთოვანებული ვარ, ყოჩაღ! “

„ ისეთი აღფრთოვანებული ვარ, რომ . . .”

სიტყვები: **brilliantly / just / so / really / შესანიშნავად / ისეთი აღფრთოვანებული ვარ, რომ . . .** ლინგვისტური გამაძლიერებლებია და ჩართვის სტრატეგიის მაჩვენებელია.

ლინგვისტური გამაძლიერებლები ზღუდის მაგავსად მრავალფეროვანია. ლინგვისტურ გამაძლიერებლად შეიძლება მივიჩნიოთ ძლიერი მახვილი , ამალღებული ინტონაცია ( *high volume* ) სინტაქსური კონსტრუქციები, მაგ: აღტაცება-მახილის გამომხატველი ფრაზები, მოდალური ზმნები, პრაგმატიკული ნაწილაკები ( *of course / sure / surely/ რა თქმა უნდა / რა საკვირველია / უდაოდ / უთუოდ / ნამდვილად* ) ზმნიზედები ( *incredibly / absolutely / certainly / so / quite / საოცრად / საკვირველად / საკმაოდ / მეტად* ) პარალინგვისტური სიგნალები – პაუზა და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ლინგვისტური ფორმა, მაგალითად როგორცაა ვერბალური შემარბილებლები ( *you know / I think / იცი / მე ვფიქრობ* ) რასაც ჯ. ჰოლმსი პრაგმატიკულ ნაწილაკებს უწოდებს, სხვადასხვა კონტექსტში, სიტუაციიდან, გამომდინარე ხან ზღუდის, ხან კი გამაძლიერებლის ფუნქციას ასრულებენ და ჩვენი დაკვირვებით, მათ მეტწილად ქალები წარმოთქვამენ.

პრაგმატიკული ნაწილაკი **“you know”** ჩართვის სტრატეგიის განსახორციელებლად გამოიყენება და არ უნდა იყოს აღქმული მისი პირდაპირი მნიშვნელობით. მაგ.:

**“ It was quite good you know, they obviously thought it was a bit strange from her, but you know, I think it was really good ! ”**

„ იცი მართალი გითხრა, ვერ ვიფიქრებდი თუ ასე მოიქცეოდა, მაგრამ იცი რა ? საჭიროც იყო , სწორად მოიქცა! ”

- ყოველდღიური საუბრებიდან აღებული ეს მაგალითებიც ცხადყოფენ, რომ პრაგმატიკული ნაწილაკი “ *you, know? / იცი?! “* ჩართვის სტრატეგიის განხორციელების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

პრაგმატიკული ნაწილაკი “ *I think / მე ვფიქრობ* ” გვხვდება როგორც გამაძლიერებლის ისე ზღუდის სახით, ამ პრაგმატიკულ ნაწილაკს, როგორც ჩვენს მიერ განხილული ყოველდღიური საუბრები ცხადყოფენ, მეტწილად ქალები იყენებენ. კონტექსტის, ინტონაციის და მახვილის მიხედვით პრაგმატიკული ნაწილაკი “ *I think / მე ვფიქრობ* ” ხან ზღუდეა, ხან გამაძლიერებელი. მაგ.:

**“ *You’ve got the wrong answer , I think* ”**

- პრაგმატიკული ნაწილაკი “ *I think* ” ამ შემთხვევაში ზღუდეა ვინაიდან კრიტიკას არბილებს, ხოლო წინადადებაში :

**“ *I think that’s absolutely right !* ”**

- პრაგმატიკული ნაწილაკი “ *I think* ” აძლიერებს გამონათქვამს. მსგავსი სურათია ქართულშიც:

**„ *მე ვფიქრობ აქ სულ ზედმეტია ამდენი ხალხი !* “**

- პრაგმატიკული ნაწილაკი „*მე ვფიქრობ*“ ამ წინადადებაში ზღუდის ფუნქციას ასრულებს, ვინაიდან გამონათქვამის სიმკაცრეს და კრიტიკას არბილებს, ხოლო შემდეგ წინადადებაში პირიქით, პრაგმატიკული ნაწილაკი „*მე ვფიქრობ*“ – გამაძლიერებელია:

**„ *მე ვფიქრობ ეს კომპოზიცია ნამდვილად გამოდგება ჩვენი კუთხისთვის!* “**

პრაგმატიკული ნაწილაკი „ *sort of* ” მეტწილად გამონათქვამის სიმძაფრის შესარბილებლად გამოიყენება და შესაბამისად ძირითადად ზღუდის ფუნქციით გვხვდება.

როგორც ზოგადად პრაგმატიკულ ნაწილაკებზე დაკვირვებით დავადგინეთ ნაწილაკს “ *sort of / ასე ვთქვათ* ” მეტწილად ქალები, კაცები კი უფრო იშვიათად იყენებენ.

*“ He , sort of , isn’t considered sane. ”*

*„ ეს მოვლენები, ასე ვთქვათ, არ შეიძლება განხილულ იქნეს სამშვიდობო ღონისძიებად . ”*

– როგორც ვხედავთ, პრაგმატიკულ ნაწილაკს „ *sort of / ასე ვთქვათ* ” – აქვს ზღუდის ფუნქცია ინგლისურშიც და ქართულშიც. ხოლო პრაგმატიკული ნაწილაკი “ *of course / რა თქმა უნდა* ” – პირიქით, აძლიერებს გამონათქვამის მნიშვნელობას და გამაძლიერებლის ფუნქციას ასრულებს, როგორც ინგლისურში, ასევე ქართულში, მაგ.:

*“ of course it’s easy for her, I mean she won’t easily forgive you for that . . . but.. ”*

*„ რა თქმა უნდა ამას ნამდვილად არ ველოდი შენგან ! ”*

- ორივე ენაში პრაგმატიკული ნაწილაკი “ *of course / რა თქმა უნდა* ” გამაძლიერებლის ფუნქციას ასრულებს წინადადებაში.

მოცემულ თავში, როდესაც ვსაუბრობთ ამა თუ იმ პიროვნების თავაზიანობაზე ან პირიქით, მის უხეშობასა თუ არათავაზიანობაზე, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ენობრივი ეტიკეტი ( *lingvistic Tavazianoba* ). თუ ადამიანი დაგვიანებისას ბოდიშს არ მოიხდის, საჩუქრის ჩუქებისას მადლობას არ გადაიხდის და ა.შ. ეს ადამიანი უხეში და არათავაზიანია და შესაბამისად გარშემომყოფთა მისდამი დამოკიდებულებაც უარყოფითია. ხოლო ადამიანი, რომელიც ბოდიშს მოიხდის სხვათა შეწუხებისათვის, თავაზიანობის გამომხატველი ფრაზებით ითხოვს დახმარებას, მადლობას გადაიხდის საჩუქრის მიღებისას, თანაგრძნობას გამოხატავს საჭიროების შემთხვევაში, მოსაუბრის დამოუკიდებლობის სტრატეგიის შეეხება ისე, რომ კომუნიკაცია წარმატებით შედგეს, ცხადია თავაზიან ადამიანად ჩაითვლება და კარგ დამოკიდებულებას დაიმსახურებს.

თავაზიანობის გამომჟღავნება მხოლოდ *pirovnebis lingvisturi saxis SenarCunebi T* არ ხდება, მაგალითად მობოდიშება თავაზიანობის გამოხატვის ისეთი ფორმაა, რომელიც გულისხმობს წყენის, გაუგებრობის, სახის რღვევის საშიშროებისადმი მიმართული ქმედების გამოსწორებას.

მობოდიშებისას, თავისდაუნებურად, ირღვევა იმ ადამიანის სახე, რომელიც ამბობს ბოდიშს. ლინგვისტური ლიტერატურის მიხედვით, როგორც წინამდებარე თავის დასაწყისში აღვნიშნეთ, ქალები ბოდიშს უფრო ხშირად იხდიან, ვიდრე კაცები. აქვე უნდა ითქვას, რომ დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ქალები ერთმანეთს უფრო მეტ ბოდიშს უხდიან, ვიდრე მამაკაცებს. ქალები მობოდიშებისას აღიარებენ, რომ ზიანი მიაყენეს მსმენელის თუ მოსაუბრის სახის სურვილებს და ცდილობენ აღადგინონ ჰარმონიული ურთიერთობა მათ შორის, ხოლო მამაკაცები ბოდიშის მოსმენისას მათი სამეტყველო თვისებებიდან გამომდინარე ( მსოფლიოს განსხვავებული აღქმიდან გამომდინარე ) ბოდიშის მოსმენისას ფოკუსირებას ახდენენ იმ ადამიანის „სახის“ დაკარგვაზე, რომელიც ბოდიშს იხდის და არა საკუთარი სახის სურვილების რღვევაზე. მაშასადამე, კომუნიკაციისას მამაკაცები ამ შემთხვევაშიც ინარჩუნებენ დამოუკიდებლობის სტრატეგიას.

ქალები უმნიშვნელო შეცდომის ჩადენის დროსაც იხდიან ბოდიშს, კაცები კი მხოლოდ მნიშვნელოვანი და სერიოზული შეცდომის დაშვებისას ბოდიშის სახით ცდილობენ აღადგინონ კომუნიკტების დარღვეული საკომუნიკაციო სტრატეგიები. ქალები უმეტესად ბოდიშს იხდიან მეგობრებთან, ნაცნობებთან, კაცები კი მათთან სოციალურად შორ მანძილზე მდგარ პიროვნებასთან .

ბოდიშის მოხდისას ძირითადად წარმოთქვამენ ფრაზას:

- *I'm sorry !*
- *I'm sorry for...*
- *I'm so sorry!*
- *I apologise for my...*
- *I am terribly sorry !*
- *Oh dear, I'm so sorry!*
  
- *ძალიან ვწუხვარ!*
- *დიდი ბოდიში!*

- *გთხოვთ მაპატიოთ!*
- *ბოდიშს ვიხდი!*
- *პატიებას გთხოვთ!*
- *მაპატიეთ!* და ა.შ.

საბოლოო ჯამში ქალის და მამაკაცის მიერ მობოდიშება საჭირო სიტუაციებში, ემსახურება შებღალული ურთიერთობის აღდგენა-გამოსწორებას, ანუ მათთვის ბოდიშის წარმოთქმა ერთი და იგივე შედეგის მისაღწევად ხდება და საპასუხო ქმედება ბოდიშის მოსმენისას, ძირითადად არის ბოდიშის მიღება და სიტუაციის განეიტრალება, რაც უმეტესად შემდეგი ფრაზებით ხორციელდება:

- *It's ok !*
- *No problem !*
- *Don't mention it !*
- *Never mind !*
- *Don't worry !*
  
- *არა უშავს!*
- *არაფერია!*
- *ნუ დარდობ!*
- *როგორ გეკადრება!*
- *ეგ არაფერი, არაუშავს!*
- *როგორ გეკადრება, საბოდიშო არაფერია!* და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ქალები უფრო მეტ ბოდიშს იღებენ, ვიდრე მამაკაცები. ქალისათვის თავაზიანობა ნიშნავს მობოდიშების მიღებას, რათა აღდგეს ურთიერთობა და მოსაუბრეები კვლავ ჩაერთონ საუბარში. მამაკაცები კი მეტწილად, სადაც შესაძლებელია თავს არიდებენ მობოდიშებას და მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოთქვამენ და მიიღებენ ბოდიშს, თუ ჩათვლიან, რომ ბოდიშის უგულვებელყოფა ურთიერთობას უფრო მეტ ზიანს მიაყენებს, ვიდრე მისი წარმოთქმა-მიღება. (Tannen D.,63.)

სხვადასხვა სიტუაციებში მობოდიშებაზე დაკვირვებით აღმოჩნდა, რომ ზოგადად ადამიანები ბოდიშს განსაკუთრებული მონდომებით იხდიან, თუ მათზე ასაკობრივად ან თანამდებობრივად მაღლა მდგომ ადამიანს უნდა მოუბოდიშონ, ამ საქციელით საკუთარ შეცდომას აღიარებენ და ურთიერთობის აღდგენას ცდილობენ. ხოლო ყველაზე ნაკლებად ბოდიშს უხდიან უცნობ ადამიანს, რომელსაც შესაძლოა არც თუ მცირე ზიანი მიაყენეს. აქვე ავლნიშნავთ, რომ ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევებში ყველაზე მეტი მობოდიშება შეგვხვდა უმნიშვნელო დანაშაულის ჩადენისას, ისიც ძირითადად ქალების მიერ ( მაგ. ტელეფონით დარეკვისას შეცდომით სხვაგან მოხვედრის დროს, რაიმეს შემთხვევით ვერ ან არასწორად გაგების დროს, რამის დავიწყების დროს და ა.შ.). საბოლოო ჯამში მობოდიშება დამოუკიდებლობის სტრატეგიის საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედებაა და პატივისცემას უფრო გამოხატავს ვიდრე მეგობრულობას.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ჩართვის სტრატეგია არა ერთი ფორმით ვლინდება. კომპლიმენტის გაკეთება კი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რომელიც ხელს უწყობს კომუნიკაციის წარმატებით განხორციელებას. პ. ბრაუნის და ს. ლევისონის კვლევაში კომპლიმენტი განხილულია როგორც სამეტყველო ქმედების საუკეთესო საშუალება, რომელიც გულისხმობს მოსაუბრის დადებითი მხარის შემჩნევას და მასზე ყურადღების გამახვილებას და ამდენად საუბარში წარმატებულად ჩართვის სტრატეგიას წარმოადგენს.

კომპლიმენტი, ჯ. ჰოლმსის აზრით, არის ისეთი სამტყველო ქმედება, რომელიც ექსპლიციტურად ან იმპლიციტურად მიუთითებს მსმენელის იმ თვისებებზე, რომელიც მოსაუბრემ დადებითად შეაფასა და შესაბამისად მსმენელის კეთილგანწყობა დაიმსახურა, რაც მათი სამომავლო ურთიერთობისათვის სასარგებლოა.

კომპლიმენტის წარმოთქმა დადებით გავლენას ახდენს, როგორც მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან, ასევე სხვა ადამიანებთან საუბრისას. ისევე, როგორც პირდაპირ, ექსპლიციტურად ნათქვამი კომპლიმენტი მაგ.:

**“ You look territic / gorgeous! “**

**„ შესანიშნავად გამოიყურები (ძალიან ლამაზი ხარ)! ”**

– ასევე იმპლიციტურად წარმოთქმული კომპლიმენტი:

**“ *Is that a new dress?* ”**

**„ ახალი კაბა გაცვია? ”**

– იძლევა მსგავს, დადებით ეფექტს. აქვე უნდა ითქვას, რომ კომპლიმენტი არ ნიშნავს მხოლოდ გარეგნობის ან სამოსის შექმნას, კომპლიმენტი შეიძლება იყოს ნებისმიერ ფრაზა, რომლის საშუალებითაც მოსაუბრე მსმენელის (კომუნიკანტის) დადებით მხარეს შეამჩნევს და სიტყვიერად შეაფასებს.

კომპლიმენტი შეფასებას, წახალისებას გულისხმობს ან აღტაცებას გამოხატავს. საყურადღებოა, რომ კომპლიმენტი – შეფასება ხანდახან შეიძლება, ასე ვთქვათ, ზევიდან ქვევით მიემართებოდეს ანუ სოციალურად ან თანამდებობრივად ზემდგომის კომპლიმენტი ქვემდგომის მიმართ შეფასებად, შექებად უნდა იქნეს მიჩნეული და არა მხოლოდ საუბარში ჩართვის სტრატეგიად. ანუ ის ადამიანი, ვინც ამბობს კომპლიმენტს, ბუნებრივია თავს უფლებას აძლევს შეაფასოს თანამოსაუბრე.

ლინგვისტური ლიტერატურის მიხედვით ინგლისურ ენაში კომპლიმენტებს ძირითადად ქალები წარმოთქვამენ, სხვადასხვა სიტუაციაში ქალები აღნიშნავენ და დადებით კომენტარს აკეთებენ (კომპლიმენტებს ამბობენ) მოსაუბრის ან ვინმე მესამე პირის გარეგნობაზე, ტანსაცმელზე, ვარცხნილობაზე, ოჯახზე, წარმატებაზე და ა.შ., ხოლო ქართულში, ჩვენი დაკვირვებით ეს ასე არ ხდება, ვინაიდან ქართულში კომპლიმენტს, როგორც ქალები, ასევე მამაკაცებიც საკმაოდ ხშირად წარმოთქვამენ. კომპლიმენტი ქართულ ყოფაში საკმაოდ გავრცელებული საშუალებაა საუბარში ჩართვისა თუ მისი წარმართვისას.

ქართულში ისევე, როგორც ინგლისურში, კომპლიმენტს სხვადასხვა რამეზე აკეთებენ, ბუნებრივია კომპლიმენტი დადებითი მხარის შემჩნევა-შექმნას გულისხმობს. კომპლიმენტების მიცემისას უმეტესად ვხვდებით შემდეგ ფრაზებს:

- “ *What a beautiful . . . you are wearing!* ”
- “ *What a polite child !* ”
- “ *What a wonderful view!* ”



- “ *Oh, it suits you so well!* ”
- “ *Look at you, you look great / terrific / gorgeous!* ” და ა.შ.
- „ *რა ულამაზესი მოსასხამია /კაბაა!* “
- „ *რა საოცარი ყელსაბამია (სამაჯურია. . . ) ალბათ ძვირფასია. . . !* ”
- „ *შესანიშნავად გამოიყურები!* ”
- „ *ისეთი ლამაზია, რომ თვალს ვერ ვაცილებ!* ”
- „ *ზუსტად შენი ფერია, ძალიან გიხდება!* ” და ა.შ.

ინგლისურსა და ქართულში ქალისა და მამაკაცის მეტყველებაზე დაკვირვებით გამოვლინდა, რომ როგორც ინგლისურში, ისე ქართულში:

- ქალისა და მამაკაცის სამეტყველო სტრატეგიები განსხვავდება ერთმანეთისაგან. მამაკაცები საუბარისას მიმართავენ დამოუკიდებლობის სტრატეგიას, ხოლო ქალები კი ჩართვის სტრატეგიას.
- ქალები ლინგვისტურად უფრო თავაზიანნი არიან, ვიდრე მამაკაცები.
- ქალებისათვის ვიწრო სასაუბრო წრე უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მამაკაცებისათვის. მამაკაცები ფართო სასაუბრო წრეს ანიჭებენ უპირატესობას (საჯარო გარემოში მამაკაცების შეკითხვები სჭარბობს ქალების შეკითხვებს, თუმცა არის თემები, რომლებიც ქალებს უფრო ხელეწიფებათ).
- მამაკაცები ქალებს უფრო ხშირად აწყვეტინებენ საუბარს, ვიდრე ქალები მამაკაცებს ( მაშინაც კი, თუ ქალი მამაკაცზე მაღლა დგას თანამდებობრივად ).

- ე) საუბრის შესანარჩუნებელ სიგნალებს ქალები უფრო ხშირად წარმოთქვამენ, ვიდრე კაცები.
- ვ) საუბრის შესანარჩუნებელ სიგნალებს ქალები მოსაუბრის წახალისების მიზნით წარმოთქვამენ, ხოლო კაცები კი სასაუბრო ჯერის მოპოვების მიზნით.
- ზ) ზღუდეს და გამაძლიერებელს საუბრისას ქალები უფრო ხშირად იყენებენ, ვიდრე მამაკაცები.
- თ) ზღუდეს და გამაძლიერებელს ქალები იყენებენ, როგორც ჩართვის ერთ-ერთ სტრატეგიას, მამაკაცები კი, როგორც ჯერის მოპოვების სტრატეგიას.
- ი) ქალები ბოდიშს უფრო ხშირად იხდიან, ვიდრე მამაკაცები, ბოდიშის მოხდით ქალები აღადგენენ ჰარმონიულ ურთიერთობას, ბოდიშის მოხდა ჩართვის ერთ-ერთი სტრატეგია.

ინგლისურ და ქართულ ენებში ქალისა და მამაკაცის მეტყველებაზე დაკვირვებით გამოვლინდა ერთი განსხვავება.

ა) ინგლისურისაგან განსხვავებით, სადაც (ლინგვისტური ლიტერატურის მიხედვით) ქალები მეტ კომპლიმენტს ამბობენ, ვიდრე მამაკაცები, ქართულ ეოფაში, ჩვენი დაკვირვებით, როგორც იმპლიციტურ, ასევე ექსლიციტურ კომპლიმენტს მამაკაცები უფრო ხშირად წარმოთქვამენ.

## ზოგადი დასკვნები

სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისა და საილუსტრაციო მასალის ანალიზის საფუძველზე მივედით შემდეგ დასკვნებამდე:

### 1.

**ეტიკეტი** თავაზიანობის მანერების და სოციალურად მოწესრიგებული ქცევის ნორმების ერთობლიობაა და მოიცავს ადამიანთა ქცევის ნორმებს შინ, სამსახურში, ტრანსპორტში და საერთოდ საზოგადოებაში.

**ლინგვისტური ეტიკეტი** არის სხვადასხვა სიტუაციაში კომუნიკაციისათვის დამახასიათებელი ლინგვისტური ნორმების ერთობლიობა.

ლინგვისტური ეტიკეტი თავს იჩენს ზეპირი ან წერიტი კომუნიკაციისას თავზიანობის ნორმების სახით, მოსაუბრის მიერ ოფიციალური, ნეიტრალური თუ შინაურული სტილისათვის შესაფერისი ენობრივი ფორმების შერჩევაში.

ადამიანებს კომუნიკაციისას ზიარი ცოდნა უნდა ჰქონდეთ ეტიკეტის ნორმების შესახებ, რათა წარმატებით შეძლონ კომუნიკაციის დამყარება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმატებული კომუნიკაცია არ შედეგება არა მარტო სხვადასხვა ყოფის წარმომადგენელთა, არამედ ერთსა და იმავე ყოფის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობისასაც კი. ეტიკეტის ნორმების დაცვას წარმატებული კომუნიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც ზეპირი ისე წერიტი ურთიერთობისას.

### 2.

ბიზნეს კომუნიკაციის წარმატებით განხორციელებისათვის, ზეპირმეტყველების და ქცევის ნორმების დაცვის მსგავსად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციის წერილობითი ფორმისათვის დამახასიათებელი ეტიკეტის ნორმების დაცვას. საქმიანი წერილი მნიშვნელოვანი წერილობითი დოკუმენტია და შესაბამისად სწორად,

ეტიკეტით მიღებული ნორმების დაცვით უნდა იყოს დაწერილი. ამასთანავე, წერილის გარეგნული სახე, შინაარსი, აზრის გამოხატვის ენობრივი ხერხები მეტყველებს გამგზავნის პროფესიონალიზმზე და მის დამოკიდებულებაზე, როგორც საკუთარი, ასევე პარტნიორი კომპანიისადმი. ასე რომ, შეცდომა გრამატიკაში, მართლწერაში, წერილის კომპონენტების თანმიმდევრობაში, ეტიკეტის ნორმების რღვევაა და ბიზნეს კომუნიკაციის წარუმატებლობის საწინდარი.

საქმიანი წერილი, როგორც ინგლისურში, ისე ქართულში მრავალგვარი მიზნით იწერება: ინფორმაციის მოპოვების, ინფორმაციის მიწოდების, რჩევა-მოსახრების მიცემის, შეკვეთის მიცემის თუ შეკვეთის მიღების დადასტურების, საჩივრისა ან საჩივარზე გამოსმაურების, შეთავაზების და ა.შ.

ეტიკეტის მიხედვით საქმიანი წერილი უნდა შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

1. ბლანკის ქუდი
2. ადრესანტი
3. ადრესატი
4. თარიღი
5. რეფერენტი
6. მიმართვა
7. წერილის დასათაურება
8. წერილის ტექსტი (ტანი/ძირითადი ნაწილი)
9. დასასრული (თავაზიანობის გამომხატველი ფრაზა)
10. ხელმოწერა
11. დამატებითი ელემენტები (რაც ყოველთვის არ გვხვდება).

ინგლისური და ქართული ბიზნეს წერილების შესწავლისას გამოვლინდა, რომ ორივე ენაში იდენტურია:

ა) ბლანკის ქუდის და რეკვიზიტების განლაგება.

ბ) ყველაზე ხშირად ხმარებული პირველი და ბოლო ფრაზები.

ვ) წერილის სათაურების განლაგება.

დ) წერილის მოცულობა.

ე) აბზაცების პირველი წინადადების თემატურობა.

ვ) ოფიციალური სტილისთვის დამახასიათებელი ენობრივი ნორმების ხმარება და ხელმოწერის ფორმატი.

განსხვავება ინგლისურ და ქართულ ბიზნეს წერილებს შორის შემდგომში მდგომარეობს:

ა) მისამართსა და თარიღში.

ბ) მიმართვის ფორმასა და პუნქტუაციაში.

გ) წინადადებაში შემავალ სიტყვათა რაოდენობაში, ინგლისური წინადადებები უფრო ლაკონურია, ქართული კი მრავალსიტყვაობით ხასიათდება.

დ) აბზაცების ვიზუალურ მხარეში: ინგლისურ წერილებში აბზაცები ინტერვალით გამოიყოფა, ქართულში – შეწეული ხაზით.

ე) დამატებითი ელემენტების (*cc, enc / as/ i*) განლაგებაში: ინგლისურ საქმიან წერილებში დამატებითი ელემენტი (*cc*) თავსდება წერილის ბოლოს და თან ახლავს თანამშრომლების სახელების და გვარების ანბანური სია, ხოლო ქართულ წერილებში მითითება '*as/ i*' თარიღსა და ადრესატის თანამდებობების მითითების ქვემოთ თავსდება.

### 3.

შინაურული წერილები, ბიზნეს წერილების მსგავსად თემატური მრავალფეროვნებით ხასიათდება ორივე ენაში, შინაურული წერილები

ძირითადად იწერება: მოკითხვის, მადლობის გადახდის, სიახლის შეტყობინების, ყურადღების, მეგობრული დამოკიდებულების გამოხატვის, სათხოვარის ან რჩევის მიცემის მიზნით. ბიზნეს წერილების მსგავსად შინაურულ წერილებშიც სავალდებულოა ეტიკეტის ნორმების დაცვა, რაც ხელს შეუწყობს წარმატებული კომუნიკაციის განხორციელებას. ინგლისური და ქართული შინაურული წერილები მოიცავენ შემდეგ კომპონენტებს:

- 1) ადრესატის (გამგზავნის) მისამართი
- 2) თარიღი
- 3) მიმართვა
- 4) შესავალი ( პირველი აბზაცი )
- 5) ძირითადი ნაწილი ( შემდგომი აბზაცები )
- 6) დასასრული ( ბოლო აბზაცი )
- 7) დამამთავრებელი ( კეთილი სურვილების გამომხატველი ) ფრაზა
- 8) გამგზავნის სახელი ( ხელმოწერა )
- 9) ჰოსკრიპტუმი P.S., რაც ყოველთვის არ გვხვდება

ინგლისურ და ქართულ შინაურულ წერილებს ახასიათებთ შემდეგი მსგავსებანი:

- ა) შინაურული ლექსიკა, შეკვეცილი ფორმების ხმარება.
- ბ) აბზაცებისა და სიტყვების რაოდენობა მკაცრად არაა განსაზღვრული.
- გ) ბოლო აბზაცი ძირითადად მოკითხვას და შეხვედრის სურვილს გამოხატავს.

განსხვავება ინგლისურ და ქართულ წერილებს შორის შემდგომში მდგომარეობს:

- ა) ინგლისურისგან განსხვავებით ქართულში, გამგზავნის მისამართი არ იწერება წერილის ფურცელზე, ქართულში იგი იწერება მხოლოდ

კონვერტის ქვედა მონაკვეთზე, ინგლისურში კი როგორც კონვერტზე ასევე წერილის ფურცელზე, კონვერტის ზედა ნაწილზე იწერება მიმღების მისამართი.

ბ) ინგლისურ შინაურულ წერილებში მისამართი ფურცელის მარჯვენა კუთხეში იწერება შემდეგი თანმიმდევრობით: გამგზავნის სახელი და გვარი (თუმცა ეს სავალდებულო არაა) ბინის, სახლის ნომერი, ქუჩის დასახელება, ქალაქის ფოსტის ინდექსი (კოდი), ტელეფონი (არ არის სავალდებულო და ხშირად არ მიუთითებენ) და თარიღი (რიცხვი, თვე, წელი). შესაძლოა სრული მისამართის ნაცვლად მიუთითონ მხოლოდ ქალაქი (ან სოფელი) თარიღის ზევით, ამ შემთხვევაში საფოსტო კოდის მითითება არ არის სავალდებულო, თუმცა უმჯობესია მიუთითოთ. ქალაქის მისამართის მითითებისას ჯერ ქალაქის საფოსტო კოდს (ინდექსს) ქუჩის დასახელებას, ბინის ნომერს და ბოლოს მიმღების სახელს წერენ კონვერტზე.

გ) ინგლისურ შინაურულ წერილებში, შემომყვანი ფრაზა **Dear + სახელი +**, იწერება წერილის ტექსტის ზევით მარცხენა კუთხეში, ხოლო ქართულში **ძვირფასო + სახელი + !** უმთავრესად წერილის ტექსტის ზემოთ ცენტრალურ ადგილას.

დ) შემომყვანი ფრაზის ბოლოს ინგლისურში დაისმის “, „ხოლო ქართულში “ ! ”

ე) აბზაცის ვიზუალური მხარე განსხვავებულია, ინგლისურში შინაურულ წერილებში აბზაცი გამოიყოფა შეწეული ხაზით ან ინტერვალით, ხოლო ქართულში მხოლოდ შეწეული ხაზით.

ვ) ინგლისურ შინაურულ წერილებში დამამთავრებელ ფრაზაში არ გვხვდება სიტყვა **Kiss (es)**, ხოლო ქართულში **გოცნი (ბეგრს)** ხშირია.

ზ) დამამთავრებელი ფრაზის შემდეგ ინგლისურ შინაურულ წერილებში უმეტესად იწერება სახელი, იშვიათად სახელი და გვარი, ხოლო

ქართულში მხოლოდ სახელი.

4.

კომუნიკაციის წარმატებით განხორციელების მიზნით საქმიანი სატელეფონო საუბრის მსვლელობაში საუბრის ტონი, ხმა, ინტონაცია უნდა იყოს შესაბამისი ანუ მშვიდი და კეთილგანწყობილი. დაუშვებელია საქმიანი პარტნიორის საუბრის შეწყვეტინება ან ახალი საქმის წამოწყება, სასაუბრო თემის მოულოდნელი და ალოგიკური შეცვლა, საუბრის დაწყება უარით ან პრობლემის გადაწყვეტის შეუძლებლობაზე ყურადღების გამახვილებით. საქმიანი საუბრისას ნათლად უნდა გამოიკვეთოს მთავარი საკითხი . მიუხედავად იმისა, რომ ყოველი საუბარი ინდივიდუალურია და განსხვავებულ საკითხებს ეხება, ზოგადი წესების დაცვა სავალდებულოა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სასაუბრო დროის სწორად შერჩევა, საქმიან პარტნიორთან დარეკვის ( თუ ზარი დაგეგმილი არ იყო ორივე მხარის მიერ ) მიზანშეწონილია ვკითხოთ კიდევ არის თუ არა მისთვის ეს დრო სასაუბროდ ხელსაყრელი. ტელეფონით საქმიანი საკითხების მოგვარებისას ეტიკეტის ნორმების დაცვა სავალდებულოა არა მხოლოდ სხვა კომპანიის წარმომადგენლებთან საუბრისას, არამედ თანამშრომლებთან საუბრის დროსაც . ყურადღება უნდა მიექცეს საუბრის ხანგრძლივობას , შესაფერისი ლექსიკის გამოყენებას . სატელეფონო საუბრისას ნებისმიერ კომენტარს თუ ფრაზას, რომელსაც მოსაუბრეები წარმოთქვამენ ორივე ენაში შესაბამისად თან სდევს მსმენლის რეაგირება, საუბარი კი სწორედ იმის მიხედვით წარიმართება, თუ როგორი დამოკიდებულება გაუჩნდება მსმენელს მოსაუბრის მიერ წარმოთქმული ფრაზის მიმართ. ვინაიდან საქმიანი სატელეფონო საუბარი მოითხოვს ოფიციალურ და კეთილგანწყობილ ტონს, შესაბამისად მოსაუბრეთა ლექსიკასაც ოფიციალური და კეთილგანწყობილი უნდა იყოს. ვინაიდან მოსაუბრეები ერთმანეთს არც თუ ისე კარგად ან საერთოდ არ იცნობენ, ორივე მხარეს მოეთხოვება საკუთარი ინტერესების თავაზიანად დაცვა. ინგლისურ და ქართულ საქმიან სატელეფონო საუბრებზე დაკვირვებისას გამოვლინდა შემდეგი მსგავსებანი:



- ა) ხანგრძლივი საუბრის არასასურველობა ,
- ბ) ინფორმაციის ნათლად და მკაფიოდ გადმოცემის აუცილებლობა,
- გ) ყურმილის აღებისას ადრესანტისა და ადრესატის მისაღმება,
- დ) ოფიციალური სტილისათვის დამახასიათებელი ენობრივი ნორმებისა და თავაზიანობის გამომხატველი ფრაზების გამოყენება,
- ე) ოფიციალური წერილობითი სტილისთვის დამახასიათებელი ფრაზებისა და არაპირდაპირი შეკითხვების ხმარება,
- ვ) აზრის გადმოცემისას პაუზიდან პაუზამდე შუალედის ხანგრძლივობის გათვალისწინება,
- ზ) ჯერობის დაცვა ,
- თ) ადრესანტის მიერ იდენტიფიკაციის თავისებურება ორგანიზაციაში ზოგადი ინფორმაციის მოსაპოვებლად დარეკვისას ,
- ი) საუბრის დასრულების თავისებურებანი .

განსხვავებები ინგლისურ და ქართულ საქმიან სატელეფონო საუბრებს შორის შემდეგში მდგომარეობს:

- ა) ინგლისურში ადრესატმა (მოპასუხემ), ყურმილის აღებისას შესაძლოა დაასახელოს საკუთარი ტელეფონის ნომერი, ქართულში კი არა.
- ბ) ინგლისურში მოპასუხის მიერ მისაღმების, ორგანიზაციის დასახელების, ვინაობის იდენტიფიკაციის შემდეგ მიზანშეწონილია ადრესატის მიერ დახმარების შეთავაზება, ქართულში კი მისაღმების,

ორგანიზაციის დასახელების, ვინაობის იდენტიფიკაციის შემდეგ :

- 1) ელოდებიან ადრესატისაგან საჭირო სურვილებს,
- 2) სთავაზობენ დახმარებას.

მსგავსებათა სიმრავლე ცხადყოფს , რომ სამეტყველო ეტიკეტის ნორმები საქმიანი ურთიერთობებისას მეტწილად საერთოა ინგლისურსა და ქართულში. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ეტიკეტის ნორმების უნივერსალურობას ოფიციალური სიტუაციებისათვის სხვადასხვა ყოფაში.

## 5.

ყოველდღიური საუბრები მრავალფეროვნებით ხასიათდებიან, რადგან საუბრის მონაწილეები, მათი სასაუბრო თემა, საუბრის ხანგრძლივობა, სიტუაცია (გარემო), რომელშიც საუბარი მიმდინარეობს ასევე მრავალფეროვანია. საუბრებში (დიალოგი/პოლილოგი) როგორც მოსაუბრის ისე მსმენელის როლი თანაბრად მნიშვნელოვანია. საუბრის ფორმა და სტილი განისაზღვრება მოუბარ პირთა მიზნებით, მათი ურთიერთდამოკიდებულებით, სასაუბრო თემით, გარემოთი, ჯერობით (მოუბართა ცვლით). როგორც ბიზნეს საუბრებში, ბიზნეს და შინაურულ მიმოწერაში, შინაურულ საუბრებშიც, საუბრის წარმატებით დასრულების მიზნით სავალდებულოა თავაზიანობის შესაფერისი ნორმების დაცვა. შინაურული საუბრისას დიდი ყურადღება ექცევა სასაუბრო ტაქტს, ჯერობის დაცვას, შესაფერისი ლექსიკის გამოყენებას, საუბრის სტრუქტურის და სხვა მაჩვენებლების დაცვას.

ინგლისურსა და ქართულში სხვადასხვა სიტუაციებში წარმოებულ საუბრებზე დაკვირვებით გამოვლინდა, რომ ორივე ენაში არსებობს ეტიკეტით გათვალისწინებული არა ერთი ნორმა და გარკვეული მოთხოვნა. დიალოგურ მეტყველებას ორივე ენაში აქვს გარკვეული, სიტუაციურად განსხვავებული სტრუქტურა (დასაწყისი, ძირითადი ნაწილი, დასასრული ან დასაწყისი და დასასრული) ასევე ენობრივი და არაენობრივი მახასიათებლები. დიალოგის თითოეული ნაწილის ხანგრძლივობა განსხვავდება სხვადასხვა დიალოგებში. საუბრისას მსმენელი რეპლიკების საშუალებით გამოხატავს თანამონაწილეობას და

ავლენს ინტერესს საუბრისადმი, კვლევის პროცესში შეგხვდა სხვადასხვა სახის რეპლიკები:

- 1) დაეჭვების,
- 2) შეფასება-აღფრთოვანების,
- 3) თანაგრძნობის,
- 4) აღშფოთების ,
- 5) სიხარულის,
- 6) სინანულის,
- 7) ყოყმანის (პაუზის შემთხვევაში) ,
- 8) დალოცვის ,
- 9) სასოწარკვეთის ,
- 10) თანამონაწილეობის რეპლიკები.

სასაუბრო ფორმა (შინაურული, შუალედური, ოფიციალური) განისაზღვრება მოუბარ პირთა მიზნებით, მოლოდინით, მათი ურთიერთდამოკიდებულებით, სასაუბრო თემით, გარემოთი, ნაცნობობის ხარისხით, სოციალური სტატუსით.

ჯერობის დაცვა უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს კომუნიკაციისათვის, ჯერის გადაცემა სხვადასხვა საშუალებით ხდება: პაუზით, საუბრის ტემპის შენელებით, გარკვეული ფრაზებით, ჯერის ბოლო სიტყვების გამეორებით, დაწყებული წინადადების დასრულებით, შორისდებულების თუ პაუზის შემავსებლების წარმოთქმით, ინტონაციის შეცვლით, მხედველობითი კონტაქტით.

როგორც ინგლისურში ისე ქართულშიც დიალოგსა და პოლილოგში გამოიყოფა ჯერის დარღვევის შემდეგი ტიპები:

- 1) ორი ან რამდენიმე მოსაუბრე ერთდროულად იწყებს საუბარს,
- 2) ჯერის გადაცემა ხდება დიდი პაუზით,
- 3) ჯერის გადაცემა ხდება მცირე გადაფარვით,
- 4) პოლილოგში ჯერობა ფიქსირებული არ არის. განსხვავდება

კომუნიკანტთა საუბარში ჩართვის თანმიმდევრობა,

5) ხდება ჯერის შერჩევა – მოსაუბრე ირჩევს შემდეგ მოსაუბრეს,

6) ხდება ჯერის აღდგენა. საუბარში მოულოდნელად ჩართვის დროს ორივე ენაში მიღებულია ბოდიშის მოხდა.

შინაურული (ასევე შუალედური) საუბრის დროს ხშირია სასაუბრო თემის ასოციაციურად შეცვლა, რაც ზიარი ცოდნის საფუძველზე ან სათანადო ფრაზების წარმოქმნით ხორციელდება. ორივე ენაში ხშირია საუბრისას დაუსრულებელი ფრაზების გამოყენება, რაც ძირითადად მაშინ ხდება როდესაც მოსაუბრე საკუთარ თავს უსწორებს რამეს, როდესაც მას აწყვეტინებენ საუბარს ან როდესაც თანამოსაუბრე შეუსწორებს მას სიტყვას.

ინგლისურ და ქართულ საუბრებზე დაკვირვებისას გამოვლინდა, რომ სიტყვა *please /გეთაყვა*, ინგლისურ ენაში ყველა ტიპის საუბარში საკმაოდ ხშირად გამოიყენება ქართულისგან განსხვავებით, სადაც სიტყვა – *გეთაყვა* – გაცილებით უფრო იშვიათია, ხოლო რაც შეეხება დალოცვის გამომხატველ ფრაზებს ქართულში მრავალად გვხვდება, ხოლო ინგლისურში – არა.

## 6.

ქალისა და მამაკაცის მიერ სამყაროს განსხვავებული აღქმა გავლენას ახდენს მათ სასაუბრო მანერასა თუ ჩვევებზე. ამ მიზეზით არც თუ ისე იშვიათია ქალსა და მამაკაცს შორის წარმოებული საუბრისას გაუგებრობის არსებობა ორივე ენაში. ხშირია შემთხვევა როდესაც ერთი და იგივე ფრაზით ქალი და მამაკაცი სხვადასხვა სათქმელს გამოხატავს, ვინაიდან ქალები საუბრისას ზემოქმედებება – ჩართვის სტრატეგიას მიმართავენ, ხოლო მამაკაცები დამოუკიდებლობის სტრატეგიას. შესაბამისად ვასკენით, რომ ქალები და მამაკაცები მათ მიერ წარმოთქმულ ფრაზებში ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა პრაგმატიკულ დატვირთვას დებენ. აქედან გამომდინარე ვასკენით, რომ ქალები

ლინგვისტურად უფრო თავაზიანნი არიან ვიდრე მამაკაცები. ქალებისთვის ვიწრო სასაუბრო წრე უფრო ხელსაყრელია ვიდრე მამაკაცებისთვის. ეს უკანასკნელნი ფართო სასაუბრო წრეს ანიჭებენ უპირატესობას. თუმცა უნდა ითქვას, რომ არის ისეთი სასაუბრო თემები, რომლებიც საზოგადოებათა უმეტესობაში ქალებს ხელეწიფებათ. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო გარემოში მამაკაცთა მიერ დასმული შეკითხვები ბევრად აღემატება ქალების მიერ დასმულ შეკითხვებს. ამასთანავე მამაკაცები უფრო ხშირად აწვევებენ მოსაუბრეს საუბარს, ვიდრე ქალები. ქალები კი მამაკაცებთან შედარებით (ორივე ენაში) უფრო ხშირად წარმოთქვამენ საუბრის შესანარჩუნებელ სიგნალებს, ნიშნად იმისა, რომ ყურადღებით უსმენენ მოსაუბრეს და ცდილობენ წაახალისონ იგი. ხოლო კაცები ამგვარ სიგნალებს სასაუბრო ჯერის მოპოვების მიზნით იყენებენ. გარდა ამისა ზღუდეს და გამაძლიერებლებსაც ქალები მათი სასაუბრო სტილიდან გამომდინარე უფრო ხშირად იყენებენ ვიდრე მამაკაცები, ზღუდეს და გამაძლიერებლებს ქალები ძირითადად ჩართვის სტრატეგიის განსახორციელებლად მიმართავენ. ქალები მამაკაცებთან შედარებით უფრო მეტ ბოდიშს იხდიან, ვინაიდან მობოდიშება ჩართვის ერთ-ერთი სტრატეგიაა.

დაკვირვებამ გვიჩვენა რომ ინგლისურ ენაში ქალები უფრო მეტ კომპლიმენტს წარმოთქვამენ ვიდრე კაცები. ქართულ ენაში მამაკაცები უფრო მეტ კომპლიმენტს ამბობენ ვიდრე ქალები.

## 7.

ნათელია, რომ გარდა ლექსიკის და გრამატიკის ათვისებისა, ენის სრულყოფილად დაუფლებისათვის, უცხოელებთან სასურველი ურთიერთობის დასამყარებლად აუცილებელია მათი ყოფისა და ფატიკური კომუნიკაციის სამეტყველო თუ წერილობითი ეტიკეტის და ქცევის ნორმების ცოდნაც.

საჩუქრად მიძღვნილ წიგნზე სწორად და შესაბამისად გაკეთებული წარწერა წარმოადგენს თავაზიან საქციელს და განიხილება, როგორც სამწერლობო ფატიკური კომუნიკაციის ნიმუში. ეს წარწერები მიზნად ისახავს თბილი და მეგობრული ატმოსფეროს შექმნას. საჩუქრად

მიძღვნილ წიგნებზე გაკეთებული წარწერების შესწავლისას გამოიყო სამი ტიპის წარწერა: ოფიციალური, შუალედური და შინაურული. სამივე ტიპის წარწერა მივიჩნიეთ ფატიკური კომუნიკაციის სამწერლობო ფორმად. ინგლისურ და ქართულ გარემოში საჩუქრის მიცემა–მიღებას თან უნდა ახლდეს სათანადო თავაზიანი ფრაზების წარმოთქმა, რასაც ითვალისწინებს ეტიკეტის ნორმა. წარწერები რომელშიც მითითებულია მიმცემის და მიმღების სახელი და გვარი ოფიციალურ წარწერად მივიჩნიეთ. წარწერები სადაც მითითებულია მიმღების სახელი და გვარი, ხოლო მიმცემი მხოლოდ სახელს წერს ან პირიქით, მივიჩნიეთ შუალედურ წარწერად. ხოლო შინაურულია ისეთი წარწერა, სადაც მიმცემიც და მიმღებიც სახელით არიან მოხსენებული. ამგვარი მიმართვები მიმცემსა და მიმღებს შორის არსებული ურთიერთობის ტიპზე მიუთითებს. გარდა ამისა ოფიციალურ წარწერებს ორივე ენაში ახასიათებთ სიმოკლე, თუმცა იშვიათად მაგრამ მაინც გვხვდება გრძელი წარწერებიც.

გამოთქმები: *with profound respect / უღრმესი (ღრმა) პატივისცემით* ორივე ენაში ოფიციალურობის მაჩვენებელია და ხაზს უსვამს მიმცემის დამოკიდებულებას საჩუქრის მიმღებისადმი.

ფრაზები *Dear / ძვირფასო, with best wishes / საუკეთესო სურვილებით*

გამოყენების სიხშირის გამო კლიშედ მივიჩნიეთ.

ორივე ენაში შუალედური წარწერები მეტწილად გამოხატავენ მიმცემის მიერ მიმღების პიროვნებით აღფრთოვანებას, ხაზს უსვამენ საჩუქრის დანიშნულებას, გამოხატავენ რაღაცის გამო მადლიერებას მიმღების მიმართ, მოიხსენიებენ გარკვეულ მომენტს, შემთხვევას, რომელიც წარმოადგენს საჩუქრის მიცემის მიზეზს, გადმოსცემენ კონკრეტულ სურვილს.

ორივე ენაში შუალედურ და შინაურულ წარწერებს ახასიათებთ ფრაზის

*For my dear friend / ჩემს (ჩვენს) ძვირფას მეგობარს* ხშირი გამოყენება.

ორივე ენაში არასწორად დაწერილი წარწერა საჩუქრად მიძღვნილ წიგნზე არასასურველ გავლენას ახდენს ადამიანურ ურთიერთობაზე და ხშირად იწვევს ლინგვისტური 'saxi's' რღვევას.

სხვადასხვა კულტურაში განსხვავდება არა მარტო ეტიკეტის ნორმები, არამედ ამ ნორმების გამოყენება ქალთა და მამაკაცთა შორის.

შესაბამისად ქართულ წარწერებში ხშირად ნახსენები მამაკაცების

მეტყველებისთვის დამახასიათებელი ფრაზა „ძმური სიყვარულით“ არ გვხვდება ინგლისურ წარწერებში. ფრაზა 'duri siyvarul iT' არც ქართულში მოიპოვება.

საგულისხმოა, რომ თუ შინაურული წარწერების მახასიათებლებს ოფიციალურ წარწერებში გამოვიყენებთ ან პირიქით, შედეგად მივიღებთ მიმღების და მიმცემის სახის სურვილების რღვევას, რაც ზიანს აყენებს კომუნიკაციას, ხდება მიზეზი ლინგვისტური სახის დაკარგვის საშიშროებისადმი მიმართული ქმედებისა (*FTA*) და ხშირად იწვევს ყოფით შოკს.

## გამოყენებული ლიტერატურის სია

1. Austin J. – How to Do Things With Words , Oxford, 1962.
2. Ashley A.- Commercial Correspondence, Oxford University Press,2003.
3. BBC English Dictionary , BBC English and Harper Collins Publishers Ltd., 1992.
4. Biker D., Johansson S., Leech G., - Longman Grammar of Spoken and Written English, Pearson Educations Ltd, 1999.
5. Bolton K., Kwok H. – Sociolinguistics Today : Eastern and Western Perspectives , London , 1992.
6. Boyer M. Ellis K. Ham. D.R. Soukhanov A.H - The American Heritage Dictionary, Dell Publishing 1989.
7. Brown F.- Terms of Address: Problems of patterns and usage in various languages and cultures , Berlin- New York- Amsterdam, 1988.
8. Brown G., Yule G. – Discourse Analysis, New York. Cambridge University Press, 1983.
9. Brown P. , Levinson S. - Some Universals in Language Usage : Politeness Phenomena, New York , 1987.
10. Bunnell V., Hunt L., - New Directions in The Study of Society and Culture, Beyond the Cultural Turn. University of California Press Ltd , 1999.
11. Cauthard M. - An Introduction to Discourse Analysis, Longman Group Ltd, 1985.
12. Clanke S.- In Company, Macmillan Publishers Ltd, 2003
13. Crystal D.- The Cambridge Encyclopedia of the English Language , Pragmatics (p120-121)
14. Davy D. – Advanced English Course, Linguaphone Institute , 1977.
15. Davidson B.- A Model for The Construction of Conversational Common Ground in Interpreted Discourse, Journal of Pragmatics # 34, 2002.
16. Fasold R. – The Sociolinguistics of Language , Oxford, Blackwell, 1990.
17. Ferguson C.A. – Sociolinguistic Perspectives. Papers on Language and Society, Oxford University press,1996.



18. Fishman J. – Sociolinguistics : A Brief Introduction , Rowley, 1970.
19. Fisher C. – International Negotiation , A Cross- cultural Perspective, Intercultural Press Inc., USA, 1999.
20. Firth J. - Papers in Linguistic - 1934- 1951, Oxford University Press, 1961.
21. Fox S., Etiquette for Dummies, Wiley Publishing Inc., 1989.
22. Goffman E. – Replies and Responses in Language, Random House, Inc 1976 .
23. Goffman E – Intercultural Ritual , Random House, Inc., 1982.
24. Graham J.L.- The Influence of Culture on The Process of Business Negotiations: An Exploratory Study, Journal of International Business Studies, vol.16 , Macmillan , 1989.
25. Gumperz J. –Sociocultural Knowledge in Conversational Inference, Georgetown University Press 1977.
26. Gumperz J. , Humes D., - Directions in Sociolinguistics: The Ethnography of Communication , New York, 1972.
27. Halliday M.A.K. – Spoken and Written Language , Oxford, 1989.
28. Haslett B.J. – Communication , Strategic Action in Context , London, 1987.
29. Holmes J.- Women , Men and Politeness , Longman Group ltd ,1995.
30. Hornby A.S. Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English, Oxford, 1977
31. Hymes D. – Foundations in Sociolinguistics : An Ethnographic Approach , University of Pennsylvania Press, 1974.
32. Hymes D .- Language in Culture and Society , Harper and Row, London, 1964.
33. Irvine J.T. – Formality and Informality in Communicative Events , Blackwell Publishing,1979.
34. Jacob E. – Encyclopedia Britannica, London, 1998.
35. Lakoff R.. – Language and Women's Place ; Language and Society # 2 , 1973.
36. Lakoff R. - Why You Can't Say What You Mean , Centrum, 1976.
37. Leech G. – Principles of Pragmatics, London, 1983.
38. Littlejohn A. – Company to Company, a New Approach to Business Correspondence in

- English, Cambridge University Press, 1994.
39. Mackin R. – A Higher Course of English Study, Oxford University press, London, 1975.
  40. Maier P. – Politeness Strategies in Business Letters by Native and Non-native English – speakers, Oxford University Press, 1992.
  41. Nolasko R. –Listening Elementary , Oxford University Press, 1987.
  42. Ochs E. - Planned and Unplanned Discourse, New York , 1979.
  43. Ockerden M. –Situational Dialogues, Longman Group, UK, Ltd., 1986.
  44. Oxford Wordpower dictionary – Oxford University Press, 1982
  45. Pileguard M. - Politeness in Written Business Discourse, A Text Linguistic Perspective on Request, Demark, 1996.
  46. Piotrovski M. – Effective Business Writing, A Guide for Those Who Write in The Job , Harper Collins books, 1996.
  47. Richards J. , Platt J., Weber H. – Longman Dictionary of Applied Linguistics, Longman, 1985.
  48. Richards J. – Dictionary of Language Teaching and Applied Linguistics , Longman, 1996.
  49. Riley K.- Telling More Than The Truth: Implicature, Speech Acts, And Ethics In Professional Communication ,Journal of Business Ethics; # 12 1993.
  50. Rogers E. – Communication in Organizations, New York , 1975.
  51. Roberts J.- Business Etiquette , Trotman and Company Ltd ,1998.
  52. Roberts J.- Telephoning , Trotman and Company Limited, 1990.
  53. Schlegloff E. – Sequencing in Conversational Opening, New York , 1972.
  54. Schlegloff E., Jefferson G.. – A Simplest Systematics for The Organization of Turn-taking for Conversation , Journal of the Linguistic Society of America, Vol. #50 –Nov 4., Part 1,Wavory Press Inc, 1974.
  55. Scollon R., Scollon S.W.- Face in Interethnic Communication, Longman, 1983.
  56. Scollon R. , Scollon S.W. - Responsive Communication: Patterns for Making Sense, Black Current Press, 1986.
  57. Scollon R., Scollon S.W., - Intercultural Communication, Blackwell, 1994.

58. Smith L. E., - Discourse Across Cultures: Strategies in World English, New York, Prentice Hall, 1987.
59. Spencer-Oatey H.- Explaining Cross-Cultural Pragmatic Findings: Moving From Politeness Maxims to Sociopragmatic Interactional Principles(SIPs), Journal of Pragmatics # 35 ,2003
60. Swann J. – Girls, Boys and Language, Blackwell 1992.
61. Shaw P. – Lexical Phrases, Culture and Subculture in Transactional Letter Writing, English for Specific Purposes, Pengamon, 2000.
62. Tannen D. – Conversational Style : Analyzing Talk Among Friends , Norwood, N.Y. , Ablex, 1984.
63. Tannen D. – You Just Don't Understand : Women and Men in Conversation. New York , 1990.
- 64 Tannen D.- Gender and Conversational Interaction, Oxford University Press, 1993.
65. Tannen D.- Gender and Discourse, Oxford University Press, 1996.
66. The Shorter Oxford English Dictionary. Oxford University Press, 1968.
67. The World Book Encyclopedia , Published in NY , 1985.
68. Tomas J. – Meaning in Interaction (An Introduction to Pragmatics) ,Longman Group Limited, NY , 1995.
69. Turner G, - British Cultural Studies , Longman Group, Great Britain , 1992.
70. Valder Y.M. – Cultural Bound (Bridging the Cultural Gap in Language Teaching) Cambridge University Press, 1992.
71. Westwood R. I. – Organizational Behavior, Longman, 1992
72. Whorf B. L . – Language, Thought and Reality, Cambridge, 1976.
73. Webster New World English Dictionary ,Prentice Hall Press, NY,1984.
74. Yule G.- Pragmatics, Oxford University Press , 1987.
75. Zhong Y . – CCTV “ Dialogue “ , Speaking , Listening: A Case Study of a Prestigious CCTV Talk Show, series Dialogue , Media, Culture and Society, Vol.#26 (Nov. 6) SAGE Publications Ltd., 2004.

76. ), , 1986. (
77. , 1975. , ,
78. , 4, 1981.
79. , 1986.
80. , 2003.
81. , 1989.
82. 2000. , - , ,
83. , , , , 1997.
84. , 2001. , ,
85. , - , 2004.
86. , , , , 1970.
87. , 1985. - , , 23,
88. , 2003.
89. 1985. . XV ( . . ) , ,
90. . XX , , 1987.
91. , , 2004.
92. , 1999.
93. , 2002. ,
94. , ( . ), , 1956.
95. , ,

1987.

96. . . - , , 1988 .
97. . . - : , , 1989.
98. .- , ,1975.
99. .- , - , 1999.
100. , , 1997.
101. , , 2002.
102. - . , 2003.
103. . . ( . . ) - , , 1990.
104. გოგოლაშვილი გ. – ქართული ენაი შემკული და კურთხეული, თბილისი, 2004
105. გოგოლაძე გ. – „ დისკურსის ანალიზის მეთოდები “ , საენათმეცნიერო ძიებანი, IX ქართული ენა , თბილისი 1999
106. გოქსაძე ლ. – „ ცოტა რამ ზეპირი და წერითი მეტყველების თაობაზე“ ჟურნალი ბურჯი ეროვნებისა № 1 1998
107. გოქსაძე ლ., დემეტრაძე ი. – ქართულ- ინგლისური ყოფითი თავისებურებანი, თბილისი, 1996.
108. გოქსაძე ლ. – „ ყოფითი ღირებულებანი და ნორმათა რღვევა როგორც სახის დაკარგვის საშიშროების შემქმნელი ლინგვისტური ქმედება“ , საენათმეცნიერო ძიებანი, XII ,2002
109. გუთბროდი ჰ. – მეგზური წარმატებული ურტიერთობისათვის(მომზადებული სპეციალურად საქართველოსთვის )გამომცემლობა „ საინი“ 2004.
110. დარასელია ნ. – შორისდებულთა სოციალური ფუნქციები ზეპირმეტყველებით დისკორსში, საენათმეცნიერო ძიებანი IX, ქართული ენა, თბილისი 1999.
111. დარასელია ნ. – „ დიალოგური მეტყველების ზოგიერთი ლინგვისტური სტატუსის საკითხი “ , საენათმეცნიერო ძიებანი , X ,ქართული ენა,თბილისი, 2000

112. ზეკალაშვილი რ. – დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები) ,თბილისი 2006.
113. თოფურიძე თ. – საქმიანი მიმოწერა , გაეროს განვითარების პროექტი „საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ეფექტიანობასა და ტრანსპარანტულობის გაუმჯობესება” , თბილისი 2004.
114. თოფურიძე თ.- საქმიანი ეტიკეტი , სერია - ჩვევები მოხელეთათვის , თბილისი 2005.
115. თევზაძე მ. – თავაზიანობის სტრატეგიები სამსახურის მოთხოვნაზე დადებითი პასუხის ინგლისურ და ქართულ წერილებში, საენათმეცნიერო ძიებანი XI, ქართული ენა, თბილისი 2001.
116. კიკვიძე ზ. – „ ენა კულტურაში და კულტურა ენაში” , ავტორეფერატი, თბილისი,2004.
117. კიკვიძე ზ. – თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები (სოციოლინგვისტიკის ასპექტი) თბილისი 1999
118. კურტანიძე თ. – ფრაზეოლოგიური ერთეული „როგორც არაპირდაპირი აზრის გამოთქმის ერთერთი სახე, საენათმეცნიერო ძიებანი IX,ქართული ენა,თბილისი 1999.
119. ლებანიძე გ. – კომუნიკაციური ლინგვისტიკა თბილისი,ენა და კულტურა,2004.
120. ლეპეშინსკაია ო.გ., ორლანსკაია ლ.რ., – ყოფაქცევის ესთეტიკა თბილსი, საბჭოთა საქართველი 1965
121. მოლოჩკოვი ფ. – დიპლომატიური ოქმი და დიპლომატიური პრაქტიკა, თბილისი 1985.
122. სართანია დ. – ჯავახიშვილი და ქართული ეტიკეტის ისტორიის საკითხები, თბილისი, ენა და კულტურა, 2002.
123. ტაბიძე მ. – ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები , თბილისი 2003.
124. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ნაკვეთი I,II, ა-ლ, მ-ჰ, თბილისი, 1990.
125. შამელაშვილი-ზეკალაშვილი რ. – სამეტყველო ეტიკეტი და „ სახის” ღირებულებათა იერარქია ეროვნულ ცნობიერებაში ,თბილისი 2005.

126. ჭიპაშვილი ჰ. – დიპლომატიის ანბანი, იანუხი , თბილისი, 1993.
127. ჯავახიშვილი ივ. – ქართული ეტიკეტის ისტორიის ზოგადი საკითხები ,თსუ 1997.
128. ჯოლია გ. – საქრთაშორისო ბიზნესი
129. ჯოლია გ. – ეტიკეტი. თბილისი 1998.
130. ჯორბენაძე ბ. ქართული ენობრივი ეტიკეტი, ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა“ № 2, 1995.
131. www. Sciencedirect.com
132. [www.elsevier.com/locate/pragma](http://www.elsevier.com/locate/pragma)
133. [http:// www.jstor.org](http://www.jstor.org)
134. www. small talks.com
135. [www.pragmatics.com](http://www.pragmatics.com)
136. www. business letter writing.com
137. [www.rules of etiquette.com](http://www.rulesofetiquette.com)
138. www.internationalgiftpage.com

### საილუსტრაციო მასალა:

#### ოფიციალური წერილები:

Taylor S. - Model Business Letters and Other Business Documents ,(p. 53,71,86,115,136-137,214,259,301), Financial Times , Professional Ltd., 1998.

Barker A.- Writing at Work (p. 26-30,44-52) Industrial Society, London, 1999.

Bly R., W.- The Encyclopedia of Business Letters, Fax , Memos and Email,(27,29-38), The Career Press Inc . , 1998.

საქ. ფინანსთა სამინისტროს, საქ. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქ. მთავრობის პარლამენტის სამდივნოს, საქ. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის, საქ.კონტროლის პალატის,საქ. ტრანსნაციონალური კორუფციისა და კვლევის ცენტრის, თბილისში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის ოფისის,

საქ. სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის ეროვნული სააგენტოს, „თიბისი“ ბანკისა და ბანკი რესპუბლიკის მიერ მოწოდებული ოფიციალური წერილები.

**შინაურული წერილები:**

ინფორმანტების პირადი მიმოწერა.

**სატელეფონო საუბრები:**

Dunn V., Listening Intermediate (p. 50- 54), Oxford University Press, 1987.

Pye D. – Greenal S , - CAE Listening and Speaking Skills (p.112-114 ,117-130), Cambridge University Press, 1996

Richards J.C- Listening Carefully ( p.64-66, 80), Oxford University Press, 1990.

Sweeney S. - English for Business Communication, (p.20- 25),Cambridge University Press, 1997.

ინფორმანტების ოფიციალური სატელეფონო საუბრები.

**საჩუქრად მიძღვნილ წიგნებზე გაკეთებული წარწერები:**

ინფორმანტებთან მოძიებული წარწერები.

**ყოფითი საუბრები:**

Crystal D., Davy D.- Advanced Conversational English (p.52-54) ,Longman Group Limited, 1978.

Dickinson L., Mackin R.- Varieties of Spoken English , Oxford University Press, (p.79-81), 1971.

Wilde O. – The Importance of Being Earnest, (p.7), Penguin Popular Classics, 1994.

დიალოგების ნაწყვეტები მხატვრული ფილმებიდან:

“ How I Met Your Mum!” , “Sweet November”.

საუბრები საზოგადოებრივ ტრანსპორტში, სავაჭრო ცენტრში, სასწავლო დაწესებულებებში, სამეგობრო წრეში.



ტელეგადაცემები:  
„ფელაზე ჭკვიანი“ ; „პირველები“ ; „რეაქცია“; „იმედის დილა“.